



# განათლება

[წალიწალი მართა]

№ 2

თებერვალი

1917 წ.

№ 2

## სამეცნიერო ისტორიის შესწავლის მნიშვნელობა

„ისტორია მეტყველებს ჭეშმარიტებას... მატთანე აცნობს ნათესავთ შთამომავლობას... და მოყვარულ ჰყოფს მოყვასსა მოყვასისა მიმართ. ვახუშტი.

**ვ**არმოიდგინეთ ადამიანი, რომელმაც უნდა გაიაროს ძნელი და ამასთანავე მეტად ძნელი გზა. იგი მიდის შორს, ძალიან შორს, თანდათანობით იწვევს წინ და იმედით სავსე მიეშურება თავის ძვირფას მიზანს მისალწევად.

და როცა მგზავრი იგრძნობს დაღალვას და ენერჯის შესუსტებას, ხანდახან შეჩერდება, რომ ცოტათი დაისვენოს და სული ამოისუნთქოს. შეჩერების დროს ის უნებლიეთ უკუ იხედავს, გადაავლებს თვალს მის მიერ გავლილ მანძილსა და უნებლიეთვე გაიხსენებს იმ სიძნელეს, რომელიც მან სიარულის დროს გამოსცადა და დასძლია კიდევ.

ეს გახსენება მას უძლიერებს რწმენას თავის თავისადმი, გულში უნერგავს მიზნის მისალწევ იმედებს და შესვენების შემდეგ მგზავრი განახლებული ძალ-ღონით თავის აქვე გასას ხეობას გადაუდგება ხოლმე.

ამ დროს მაღალი მისწრაფებით განსკვალულს მგზავრს სრულიად ავიწყდება ენერჯის სისუსტეც და დაღალვა-დაქანცვაც და ის ისევ უშიშრად მიდის წინ; მას ამ წუთებში თითქო გაბედულება ემატება, მგზავრის მოძრაობას ეტყობა არა ჩვეულებრივი სულიერი მღელვარება, იგი მიეჩქარება, ვინაიდან მთელი თავისი არსებით გრძნობს, რომ მალე მიაღწევს მიზანს და სისრულეში მოიყვანს თავის აღთქმის ოცნებას, იმ ოცნებას, რომლის განხორციელება შეადგენდა მთელი მისი ცხოვრების უდიდეს მისწრაფებას.

ხალხის ცხოვრებაც სწორედ ასეთ გძელ გზას მოგაგონებთ. ეს ძიძნელის და დაბრკოლების გზაა, რომელიც არის მოკლე უფრო ეკალ-ნარითა, ვიდრე ია ვარდებით.

როცა ერი გონების თვლით უკან მოიხედავს და თავის ცხოვრების წარსულს დააკვირდება, ის ბევრს რასმე სწავლობს და იძენს...

ამ დაკვირვებით იგი ადვილად შენიშნავს აგრეთვე თავის ცხოვრების წარმატების და გამარჯვების ნაბიჯსაც. ამით მას უმტკიცებდა ნდობა თავის საკუთარი ძალ-





ლონისადმი და ცდილობს ნაკლულევა-  
ნება თანდათან გაასწოროს გამოცდილე-  
ბის მიხედვით.

ჩვენი წინაპართა გამოცდილება და  
ცხოვრება, მამა-პაპათა მოღვაწეობა საზო-  
გადო ასპარეზედ, მათი თავ-გადასავალი  
და გავლილი გძელი გზა—ყველა ეს შე-  
ადგენს ჩვენი ერის ისტორიას. აი სწო-  
რედ ამ ისტორიის შესწავლას აქვს რო-  
გორც მეცნიერული, ისე დიადი პრაქ-  
ტიკული მნიშვნელობა.

ისტორიის მეცნიერული სხვა და სხვა  
დასკვნა მართა განყენების ცოდნის მა-  
სალად როდი უნდა შეიქმნეს: შთამომავ-  
ლობისათვის ისტორიის დასკვნა უნდა  
გამოდგეს ცხოვრების ამოცანის ასახნელ  
საშუალებათ და იარაღათ, უამისოთ ის-  
ტორიის შესწავლას არავითარი აზრი არ  
ექნებოდა. ყოველ ცოდნას იმდენი ღი-  
რებულება აქვს, რამდენათ იგი დაკავში-  
რებულია ჩვენ საქირებებასა, მოქმედება-  
სა და მისწრაფებასთან.

რაში უნდა გამოიხატოს პრაქტიკული  
მიზანი ხალხის წარსულ ცხოვრების შეს-  
წავლისა?.. რა სარგებლობა მოაქვს ასეთ  
შესწავლას?..

მიუდგომელი და მართალი ისტორია  
არის ნამდვილი და სწორი სარკე, რო-  
მელიც წარსულ დროთა ვითარება ცხა-  
დათ იხატება. ჩვენ თვალწინ ცოცხლად  
წარმოგვიდგება წინაპართა მოღვაწეობის  
სურათი, ჩვენ დავინახავთ მათ ცხოვრე-  
ბას, გავიცნობთ როგორც მათ ღირსებას,  
ისე ნაკლულევიანებასაც. ისტორიკოს ვა-  
ხუშტის თქმისა არ იყოს, ისტორია „გა-  
არჩევს კეთილსა და ბოროტსა, ისტორია  
აღამაღლებს კეთილ ქმნულებასა და ჰგმობს  
უკეთურთ ქმნულებასა“.

წარსულ ცხოვრების საფუძვლიანი შე-  
სწავლა აშკარად დავინახებებს, თუ რა

ვიმართულ ებას მისდევდა ჩვენი ერი, რო-  
მელი ელემენტი მოქმედი მის ცხოვრე-  
ბაში სჭარბობდა და ძლიერდებოდა ამ  
თუ იმ დროს, ან რომელი იყო ნაკლები  
და სუსტი. ერთი სიტყვით ისტორია გვი-  
ჩვენებს ჩვენ წინაპართა მიერ გავლილ  
გზას და იმასაც თუ როგორ მიდიოდნენ  
ამ გზით.

და როცა ჩვენ, თანამედროენი წარ-  
სულ ცხოვრებას შევისწავლით ზედ მი-  
წვენით და ნათლად დავინახავთ წინაპარ-  
თა ავ-კარგიანობას, მათ დადებით ან  
უარყოფით მხარეს, მაშინ გვეძლევა სა-  
ფუძველი, მივმართოთ მომავალი მოღვა-  
წეობა სულ სხვა გზით, იმ გზით, რომე-  
ლიც ბედნიერებას გვიქადის. უნდა ვე-  
ცადოთ, რომ ჩვენმა მოქმედებამ სარგე-  
ბლობა მოუტანოს მთელ ერსა და არა  
რომელიმე მის ნაწილსა.

თუ შევნიშნავთ, რომ წასულ დრო-  
ში ჩვენ ხალხს სძულდა ერთობის იდეა  
და გათიშვის ან გაყოფის იდეა უფრო  
ესასოებოდა, მაშინ ჩვენი მოქმედების და  
მოღვაწეობის საგნად ამ ერთობის აზრის  
გაძლიერება უნდა დავინახოთ ცხოვრება-  
ში; უნდა მთელი ჩვენი არსებით და  
ძალდონით ვემსახუროთ იმ იდეას, რო-  
მელიც არის ყოველი ხალხის კეთილ-  
დღეობის საშუალება.

თუ შევნიშნავთ, რომ ჩვენ წინაპრებს  
სძულდათ დისციპლინა და მულამ არღვევ-  
დნენ წეს-რიგობას, ჩვენ უნდა ვეცადოთ  
მომავალში მაინც ეს თვისება სავსებით  
უარყუოთ და მივაჩვიოთ ხალხი დისციპ-  
ლინას, ურომლისოდ არავითარი საზო-  
გადო საქმე არ გაკეთდება.

აქედან ნათლად სჩანს, რომ სამშობლო  
ისტორიის შესწავლა ჩვენი პრაქტიკული  
მოღვაწეობის საგანსაც ცხადად საზღე-  
რავს.





ყველასთვის ადვილი გასაგებია, რომ კერძო ადამიანს არ შეუძლიან შეგნებულად იცხოვროს, თუ მას არ აქვს თავის იდეალი, თუ იგი არ ელტვის რომელიმე მაღალ მისწრაფებას. თუ ეს ასეა, მით უმეტეს მთელი ერისათვის უიდეალოთ არსებობა მოუხერხებელია და შეუძლებელიც.

რა არის იდეალი? იგია ნაყოფი განვითარებულ ხალხთა შეერთებული ძალებისა.

მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ამ იდეალს თვითვეული ერი ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე ზომით ვერ განახორციელებს ცხოვრებაში; აუცილებლად საჭიროა მისი ცოდნაც, თუ რომელი იდეალი, რომელი უმაღლესი მისწრაფება შეიძლება რომ შეითვისოს ამა თუ იმ ხალხმა.

ამიტომ ყველამ უნდა უეჭველად შეისწავლოს თავისი ერის წარსული; უნდა შეისწავლოს ის მრავალგვარი შთაბეჭდილებანი, რომელიც ხალხმა გამოსცადა რამცდენიმე საუკუნოთა განმავლობაში ღ გადასცა იგი თავის შთამომავლობას. ამასთანავე მხედველობაში მიღებულ იქმნება მხოლოდ ის ფაქტები, რომელიც კრიტიკამ განიხილა და დაასაბუთა.

აი ამ დასაბუთებულ ფაქტების ძალით ჩვენ მოგვეცემა საშუალება უარვეყოთ სავსებით წინაპართა ცუდი თვისებანი და შევითვისოთ მხოლოდ მათი ხასიათის დადებითი მხარე.

როდესაც კარგათ გავეცნობით და შევისწავლით მთელი ერის იმ შინაგან ძალას, რომელიც მას წარსულში შეუძენია, მაშინ გაბედვით შეგვიძლიან ვიმოქმედოთ და სისრულეში მოვიყვანოთ ჩვენი ალექსანდრეული წადილი შეიარაღებული მკაცრული კოლონიის ჩვენ ათიოთათ

განახორციელებთ უმაღლეს მიზანსა და დროის შესაფერ მისწრაფებასაც...

თუ ამ გარემოებას გავითვალისწინებთ, მაშინ აშკარად დავინახავთ, რომ ჩვენი ქვეყნის ისტორიის შესწავლა არამც თუ საჭირო ყოფილა, არამედ პირდაპირ სავალდებულოც.

ტყუილად კი არ არის ბრძენთაგან ნათქვამი ეს შემდეგი მარტივი ქეშმარიტება: თუ გვინდა გავიგოთ, რა გზით ან და როგორ ვიაროთ, საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, კარგად ვიცოდეთ, თუ საიდან მოვედით და ან როგორ გვივლია.

უამისოდ ჩვენი წინსვლა ყოვლად შეუძლებელია.

ვისაც უნდა აწმყოს საფუძვლიანად გაცნობა, იმან უეჭველად წარსულზე კარგად უნდა იცოდეს, ვინაიდან მათ შორის ორგანიული კავშირი არსებობს. აწმყო მობილი წარსულისაგან არის დასაბამი მომავლისა. წარსულის ცოდნით ჩვენ გვეადვილება მოქმედება ცხოვრებაში და ამავე დროს მაგარ ნიადაგსაც უმზადებთ მომავალ თაობას.

საჭიროა მუდამ გვახსოვდეს ერთი აუცილებელი გარემოება: ყველა ჩვენთაგანი მოხუცი თუ ახალგაზდა, ქალი თუ კაცი, მდიდარი თუ ღარიბი—არის, უწინარეს ყოვლისა, მოქალაქე, რომელიც დაინტერესებული უნდა იყვეს თავის ქვეყნის წარმატებაში, თავის მოძმეთა წინსვლაში. მხოლოდ ის ჩაითვლება საზოგადოების ნამდვილ წევრად, ვინც შეიგნებს როგორც თავის მოქალაქობრივ უფლებას, ისე მოვალეობასაც.

მართალია, ყველა ჩვენთაგანს ცხოვრებაში აქვს კერძო ინტერესებიც, მაგრამ ამავე დროს არავენ არ უნდა დაივიწყოს სამსახური ხალხისადმი. ყოველი მოქალაქე, განურჩევლად წოდებისა და მიმარ-



თულებსა, ზნეობრივ მოვალეა განისკვა-  
ლოს ამ აზრით და ემსახუროს თავის სამ-  
შობლო მხარეს ისე, როგორც ემსახუ-  
რება საკუთარ ოჯახს...

რა არის სამშობლო? იგია ჩვენი საერ-  
თო აკვანი, რომელმაც გაგვზარდა და  
ფეხზე დაგვაყენა, იგია ჩვენი საერთო ოჯა-  
ხი, რომლის წარმატებისათვის ყოველმა  
წევრმა უნდა თავისი წვლილი შეიტანოს  
და ემსახუროს მას, რითიც კი შეუძლიან:  
სიტყვით, საქმით, ქონებით და მთელი  
თავისი სიცოცხლით. აი სწორედ ამ სა-  
ერთო ძალების თანხმობრივ მოქმედებაში  
გამოიხატება ხალხის მოქალაქობრივი გან-  
ვითარება და სიმწიფე.

მივალწიეთ ასეთ სიმწიფეს და განვი-  
თარებას?

სამწუხაროდ ჩვენდა, არა. რატომ? იმი-  
ტომ, რომ არ ვიცით საფუძვლიანად  
ხალხის აწმყო ვითარება და სრულიად არ  
ვიცით მისი წარსულიც. გარდა ამისა, ის  
კავშირი, რომელიც უნდა სუფევდეს წარ-  
სულ და აწმყოს შორის, გაწყვეტილია  
სხვა და სხვა მიზეზებისა გამო; მით უმე-  
ტეს საჭირო იყო ჩვენთვის წარსულის  
შესწავლა; თავი დავანებოთ საქართველოს  
მთელ ისტორიის ცოდნას; ჩვენ ისიც არ  
ვიცით რიგიანად თუ რა მოხდა გუშინ,  
უახლოეს წარსულში, სახელდობრ მე 18  
საუკუნეში... პოეტის თქმისა არ იყოს,  
ათასში ერთმა არ იცის ჩვენი წარსული  
ცხოვრება, თვალი გიჭირავს სხვისაკენ—  
მიგვიდის სული და გული...

ამ მხრივ განსაკუთრებით ყურადღებას  
იქცევს ის გარემოება, რომ უმრავლესო-  
ბისათვის უახლოეს წინაპართა პსიხოლო-  
გია სრულიად უცნობია. განა ჩვენ ნათ-  
ლად გვაქვს წარმოდგენილი მათი დადე-  
ბითი ან უარყოფითი თვისებები?.. განა  
ჩვენ ვიცით ის მიზეზი, რომლის გამო

საქართველოს ბედის ჩარხი ასე უკუღმარ-  
თად დატრიალდა?... არა და...

სამშობლოს წარსულის უცოდინარო-  
ბის გამო ჩვენ ვიმეორებთ იმას, რასაც  
სწადიოდა მე 18 საუკუნის ქართველობა;  
გამოიცვალა მხოლოდ ცხოვრების პირო-  
ბები, შინაარსი კი და თვით ჩვენი სულის  
ამამოძრავებელი ფაქტორები არსებითად  
თითქმის იგივე დარჩა. ისტორია მცტყვე-  
ლებს ქეშმარიტებასაო, ამბობს ისტორი-  
კოსი ვახუშტი. ეს აზრი, დიახაც მართა-  
ლია და აი ქეშმარიტების მლალადებელი  
ისტორია რა სურათს გვიხატავს ჩვენ უახ-  
ლოეს წინაპართა ცხოვრებიდან: კახელი  
ეჩხუბება ქართლელს, ქართლელი-კახელს;  
ვითარცა მოსისსლე მტერნი, ამ ჩხუბში  
არ ზოგვენ ერთმანეთს. ამ გაუგებარ და-  
ვიდარებაში გადის ნახევარი საუკუნე.  
შემდეგ ისინი, როგორც იქნა რიგდებიან,  
თუმცა ამავე დროს ამ ორ ხალხის გამა-  
ერთებელ მეფეს ქართლელები უნდობლად  
უყურებენ, ვითარცა გერები მამინაც-  
ვალსა. შემდეგ იმერეთიდან ქართლ-კახე-  
ლებთან მოდიან დასავლეთ საქართველოს  
წარმომადგენელნი და სთხოვენ, შევერთ-  
დეთო, გაგვაძლიერეთ თქვენითო, განძ-  
ლიერდით ჩვენიო... გარეგნულად შეერ-  
თებულ ქართლ კახელთა უმრავლესობა  
უარყოფს ამ იდეის განხორციელებას...

ასეთივე სურათს წარმოდგენს დასავ-  
ლეთ საქართველოს ვითარებაც. იმერე-  
ლი გაშმაგებით ებრძვის მეგრელს, მეგ-  
რელი გურულს, გურული-იმერელს. სწყვე-  
ტენ და დაუზოგველად ჟლეტენ ერთმა-  
ნეთს ეს „ძენი ერთი ეკლესიისაგან შო-  
ბილნი, ერთი ენისა მქონებელნი და სი-  
სხლით ნათესავნი“. იმ დროს, როცა ზო-  
გიერთი წარმომადგენელნი იმერეთის ქა-  
რთლ-კახელებთან შეერთებაზე ზრუნავ-  
დენ, ბევრი იყო აქ ისეთი, რომელ-



იც არ თანაუგრძნობდა ამ იდეას; განსაკუთრებით გათიშვის მომხრე იყო ძლიერი ფოედალი პაპუნა წერეთელი, რომელმაც იმერეთის მეფედ გამოაცხადა სოლომონ დიდის ბიძაშვილი დავით გიორგისძე. ასე დაწვრილმანდა მე 18 საუკუნის ქართველობა!.. და ეს გარემოება იყო ბუნებრივი შედეგი იმ კერძობითი ცხოვრებისა, რომელსაც ოთხი საუკუნის განმავლობაში მიეჩვივნენ ჩვენი წინაპრები. მართალს ამბობს მგოსანი დავით გურამიშვილი, როცა იგი სწერს შემდეგ სტრიქონებს ქართველებზე: „ჯერ შინაც აიშალნენ, ძმამ მიუღდა ძმასა ყისტი, თავის თავსა ხმალი იცეს, გულსა მოახვედრეს ხიშტი“. ამ შინაური არეულობითა კარგად სარგებლობდნენ ჩვენი მეზობლები და სამარეს უთხრიდნენ საქართველოს. თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზი, ოლიღვი, დიდო, ქისტი—სრულიად ქართველის მტერნი იყვნენ, ყველამ წაჰკრა თვითო ქიშტი.

ამ გარეშე მტრების შემოსევით და უფრო კი შინაური ჩხუბის და არეულობის გამო საქართველო პოლიტიკურად ისე დასუსტდა, რომ საქირო გახდა მისთვის რომელიმე დიდი სახელმწიფოს მფარველობა. ასეთი ძალა ჩვენმა წინაპრებმა ვერ იპოვეს დასავლეთ ევროპაში და ამიტომაც მიმართეს ერთ-მორწმუნე რუსეთს, რომელმაც თავისთავი დიდი ხანია აღიარა პატარა ქრისტიანულ სამეფოთა მფარველად. დაიწყეს მოლაპარაკება, მიწერ-


მოწერა. ამ დიად საქმეშიც გამოაშკარავდა ჩვენი წინაპართა მოუმიზანდებლობა და წინდაუხედაობა... მათთვის მიულოდნელად რუსეთის პროტექტორატმა გააძლიერა ჩვენი მტრები და აი დადგა კიდევ განსაცდელის ჟამიც. სპარსეთის შაჰმა აღა-მამადხანმა აიკლო ქართლ-კახეთი და სატახტო ქალაქი თბილისი, ჩვენი სამშობლოს შშვენება, საძირკვლიანად დაანგრია.

საქართველო, როგორც პოლიტიკური სხეული არარად იქცა. დასრულდა ესე ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა. ისე დასრულდა ეს ამბავი, რომ ქართველთა უმრავლესობამ ვერც კი იგრძნო ამ ტრადიციის საშინელება და ძველებურად ერთიერთმანეთს ეჩხუბებოდნენ...

ნეტა რად ჩხუბობდნენ ქართველები ამ დასაღუპავ დროს? რა იყო მიზეზი ასეთი განხეთქილებისა? რა ჰქონდათ სადავო, საერთო განსაცდელის ჟამს?...

მოვიწვიოთ ისტორიის სამსჯავროს წინაშე მაშინდელი ქართველობა და მივსცეთ ასეთი კითხვები... ნეტა იტყვიან რასმე თავის გასამართლებლად თუ არა?.. დანამდვილებით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ვერაფერს იტყვიან, ვინაიდან თვითონაც არ იცოდნენ, რას სჩადიოდნენ. რომ თავისი მდგომარეობა ჰქონოდათ რიგიანად გათვალისწინებული, ხომ სხვანაირად მოიქცეოდნენ და არ ჩაიდნდნენ ამდენ ცოდვებს მთელი ერის წინაშე... („სამშობლო“)

აღ. გარსევანიშვილი





# ილია მერნიკოვი, როგორც მეცნიერი და მოაზროვნე \*)

(დისასრული)

## II

**ჩ**ვენ რომ ვთქვამთ ქვეყნიერებას თვალი გადავავლოთ, შევისწავლოთ სხვა და სხვა გვარ ცხოველთა არსებობა, დავინახოთ, რომ სიცოცხლის ხანგრძლივობა ერთგვარი როდია, სხვა და სხვა გვარ არსებათ სხვა და სხვა გვარი სიცოცხლის ხანგრძლივობა აქვთ.

შეცნეოთა შორის დიდი კამათი იყო იმის შესახებ, თუ რაზეა დამოკიდებული სიცოცხლის ხანგრძლივობა. ბოლოს უმრავლესობა დაადგა შემდეგ აზრს:


ყოველ სულიერ არსების დანიშნულება ის არის ქვეყნად, რომ შექმნას თავისი მზგავსი არსება და ამით უკვდავი ჭეოს თავისი მოდგმა. ბუნებას მუდმივ სახეში აქვს სარგებლობა მთელის მოდგმისა და არა კერძო არსების — ინდივიდისა. ამიტომ, ამ უმრავლესობის აზრით, სიცოცხლის ხანგრძლივობის განაწილება სულიერი არსებათა შორის დამოკიდებულია იმაზე, რა დრო და ხანი უნდა ამა თუ იმ ცხოველს, რომ შესძლოს აასრულოს თავისი უმთავრესი დანიშნულება — ესე იგი შექმნას თავისივე მზგავსი არსება მოდგმის გასაძლიერებლად.

ჩვენ რომ სულიერ არსებათა ცხოვრება შევისწავლოთ, დავრწმუნდებით, რომ სიცოცხლის ხანგრძლივობას ზირდაზირი დამოკიდებულება აქვს ცხოველის სქესურ ნაყოფიერებასთან და აგრეთვე იმ გარემოებებთან,

მეტ თუ ნაკლებ განსაღდეღში არიან ხოლმე ნორჩი არსებანი გამოკვებისა და აღზრდის დროს. ორი ცხოველი რომ ერთმანეთს შევადაროთ დავინახოთ, რომ იმათში ხანგრძლივი უფრო ის არის, რომელიც ნაკლებ ნაყოფიერია, ხოლო ხან-მოკლეა ის, რომელიც რამდენიმე შვილს აჩენს. ამიტომაც, რომ ასე ხან-მოკლეა არიან შვეინი; ზოგი მათგანი დაჭერის თუ არა თესლს, მაშინვე კვდება, ზოგი ჯიშის ზეპელს დილას გაჩნდება და საღამოთი კვდება; არის ისეთი სხვა შვეირიც, რომელიც მხოლოდ რამდენიმე საათსა სცოცხლობს.

მაშინ როდესაც ოთხ-თუხი ცხოველთა შვილები უფრო ნაკლებ განსაღდეღში არიან, რადგან მათი განვითარება დედის საშვილდონში ხდება, ფრინველთა გამრავლებას ხელს უშლის მრავალი დამაბრკოლებელი მიზეზი; სინამ კვერცხიდან გამომჩეკებოდეს ფრინველი, ვინ იცის რამდენ ცხოველის გაუმადრობას უნდა გადურჩეს, რადგან კვერცხი ძლიერ გემრიელი და ნოყიერი საჭმელია. ხოლო როდესაც გამომჩეკა იმ დრომდის ვიდრე ფრთებს გაიმარებდეს და თვით შესძლებდეს საჭმლის შოვნას, დიდი ხანი გაივლის; ამ ხნის განმავლობაში კი ფრინველმა ათასი განსაღდეღი უნდა გამოიაროს. ამიტომაც რომ ბუნებამ ფრინველნი დააჯილდოვა უფრო ხანგრძლივი სიცოცხლით, რათა ამით ფრინველთა მოდგმა არ შეწყვეტილიყო. ასე, მაგალი-





თად, ყვაუი ასს წელიწადზე მეტს სტოცხ-  
ლობს, ისინი გალიაში დამწვევდუელი; შუგარ-  
დენი კი 160 წელიწადმდინაზ მიაღწევს, ია-  
დონი და ტორფლა 30.—40 წ. სტოცხ-  
ლობენ; მხოლოდ ამ ორი-სამი წლის წინად  
მოკვდა ნახლოეონ ჰირველის საყვარელი თუ-  
თიუში.

ხოლო რაც შეეხება ადამიანს, უნდა ვსთქ-  
ვათ, რომ იგი ეკუთვნის იმ ანსებათ, რომ-  
ლებიც ბუნებაში დააჯილდოვა ხან-გრძლივი  
სიცოცხლით. მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა ხაზ  
გასმით აღვნიშნათ, რომ ეს განდელი და წი-  
ნანდელი სიცოცხლის ხანგრძლივობაში დიდი  
და დიდი განსხვავებაა. აი ამის შესახებ ჩვენ  
მოვიუვანთ დიდებული მეჩნიკოვის აზრს, რომ  
მელიტ არკვევს მიზეზებს და გარემოებებს  
ეს განდელი ადამიანის სიცოცხლის ხანმოკ-  
ლეობისას.

უწინდელ დროში ადამიანი გაცილებით უფ-  
რო დიდ ხანს სიცოცხლობდა ვიდრე ეს  
სიცოცხლობს. დიას, ადამიანი უფრო ხან-  
გრძლივი სიცოცხლისა იყო, სიცოცხლობდა  
ასს წლამდინ და კიდევ უფრო მეტსაც; და  
ეს იყო ჩვეულებრივი მოვლენა და არ შუად-  
გენდა ისეთ გამონაკლისს, რომორც ჩვენ  
დროში. ბიბლიის ლეგენდალურმა მათუსაფამ  
ათასი წელიწადი იტოცხლა; ბიბლიაშივე აღ-  
ნიშნულია 150 და 200 წლის მოხუცი ზი-  
რები, აბრამა და იოზა 180 წლამდე მიაღ-  
წიეს. ისტორიაში აღნიშნულია რომორც ნამ-  
დვილი ფაქტი, რომ მეთვრამეტე საუკუნეში  
არამა ადამიანმა არას წლამდინ იტოცხლა.  
მეტწამეტე საუკუნის ბოლოში ერთმა ოსის  
დედაკარმა 185 წლამდინ მიაღწია; მიუხედა-  
ვით ამ ხნოვანობის იმდენად სადი და მომ-  
ქმედი იყო, რომ მთელ ოჯახის საქმეს თვი-  
თონვე უძღვებოდა. მეტწამეტე საუკუნეში  
ასის წლის მოხუცთა რიცხვი ფრად შემცირ-  
და, თუმცა ჩვენ დროშიაც აქ-იქ გავიგონებთ  
ისეთ მოხუცთა გვარებს, მაგრამ ეს იმდენად

იმეათი ხდება თანდათან, რომ საკმაოდ  
განდება ხოლმე, რომორც რადაც გასაკვირვე-  
ლი, არა ჩვეულებრივი მოვლენა.

ესა ჩვენი დროის ადამიანი სამოცი წლის  
უკვე მოხუცებულია ითვლება, სამოცდა ათი  
წლის როდესაც კვდება, სიბერის გამო მო-  
კვდაო, ვიტყვიოთ ხოლმე.

ამ ფრად თვალსაჩინო მოვლენას განთქმუ-  
ლი მეჩნიკერი ასე ხსნის: ადამიანი დღეს ერ-  
თი უმადლესი განვითარებული ანსებათა-  
განია ქვეყნად, დღეს იგი შეიქმნა მზერო-  
ბელი მთელი ქვეყნიერების: მიწა, წყა-  
ლი და ჰაერი, სდაც იგი ფრინველით და-  
დად დანავარდობს, დღეს სრულ მის ბრძანე-  
ბის ქვეშაა. ადამიანის ტვინი გასაოცრად გან-  
ვითარდა, ესეთმა გონებრივმა და სულიერმა  
განვითარებამ შექმნა ისეთი სულიერი ცხოვ-  
რების გარემოებანი, რომლებსაც დღევანდელი  
ადამიანის ფიზიკური და ფიზიოლოგიური თვი-  
სებანი ვეღარ უძლებენ ჯეროვანად. გონებრივ-  
მა განვითარებამ და ძალამ დასთრუგმნა ადა-  
მიანის ფიზიკური მხარე; ერთი რა ვითარ-  
დებოდა, ძლიერდებოდა, მეორე იმავე დროს  
თანდათან ითრგუნებოდა. აი ესეთი უთანა-  
სწორობა მიზეზი შეიქმნა ადამიანის მრავა-  
ლი ტანჯვისა და ზნეობრივი უამყოფილე-  
ბისა. არასადღეს ადამიანი არ უყოფილა ისეთი  
უამყოფილო თავისი ბედისა, ისე ზნეობრივ  
უბედური, რომორც ესაა. ადამიანი ჩადგა  
ისეთ ხელგონურ, ბუნებასთან დამორბეულ ზი-  
რობებში, რომლებსაც კიდევ და კიდევ უფრო  
გადაგვარეს მისი ბუნება. დღეს რა ადამი-  
ნის სხეულის აკებულება გულდასმით შევი-  
სწავლოთ, დავინახავთ თუ რამდენი ნაკლი  
ყოფილა მის ანსში, თუ რა ძლიერად არის  
გამოხატული მისი ფიზიკური და ფიზიო-  
ლოგიური გადაგვარება.

ადამიანის სხეულში არის ისეთი ორგანო-  
ბი, რომლებსაც წინად საჭირო და გამოსა-  
დგო ორგანოებს, დღეს ჩვენთვის ზირვანდე-







მთავრებულია დაკმაყოფილებს სხვა ბუნებრივი სქესური გრძობა. აქედამ კი წარმოსდგა მრავალი მანკი და უზნეო ჩვეულებანი, როგორც მაგალითად ჟან-ჟაკ რუსოს ავადმყოფობა და სხვა.

ცხოვრების ჭირ-ვარამით დაღლილი და სხვაში შესული ადამიანი, ხოლო მატურიალურად უკვე უზრუნველყოფილი, შეერთავს თუ არა ცოდეს, უკვე მალე გრძობს თავისი ფიზიკურ სიძაბუნეს და სისუსტეს, სურვილი და ლტოლვილებანი დადი აქვს კიდევ, ხოლო დაკმაყოფილება კი მათი სიძაბუნის გამო ვეღარ ძაღუძს, აი აქედან ტანჯვა, ზნეობრივი უკმაყოფილება, ხოლო შთამომავლობა კი ისეთი ზიარაგებისა გადაგვარებული და ავადმყოფი.

ასეთმა დაგვიანებულმა შეუღლებამ და სხვაზოგადოდ თანდათანობით შემცირებამ შეუღლებულთა რიცხვისა, როგორც ზემოდაც აღვნიშნე, გამოიწვია მრავალგვარი კარუენილობა, ანაროდეს არ უოფილა ისე სსშინლად განშირებული სხვა და სხვა ვენერიული ავადმყოფობანი, როგორც ჩვენ დრეს. არასოდეს არ უოფილა მოდებული სიფილისი მთელ დედამიწაზე, როგორც დდეს. ხოლო სიფილისი ერთი იმ სენთაგანია, რომელიც ნამდვილი გამანადგურებელია მთელი კაცობრიობისა. შსამავს და ანადგურებს არა მარტო იმას, ვისაც ის შეეერება, არამედ შემკვიდროებით გადადის შთამომავლობაზე და ძირიანად ანადგურებს და სხობს მთელ გვარეულობას.

არა ნაკლები, თუ არა მეტი, მიზეზი ადამიანის სიცოცხლის ხანმოკლეობისა არის ჭლეტი. თუ რა სსშინელებას წარმოადგენს ჭლეტი მთელ კაცობრიობისათვის, თუ რა გასაცრად მძინვარებს მთელ დედამიწაზე და როგორ მუსრს ადენს კაცობრიობას ეს სენი, უველამ კარვად იცის. მეცნიერულ გამოკვლევადან სხანს, რომ უოველ თრმოდლათ კაცზე თითქმის ერთი ჭლეტიანი მოდის.

მთელ რუსეთში ჭლეტით ავადმყოფთა რიცხვი თრ მილიონ ნახევრამდე ადის. ესლს რა ჭლეტით გარდაცვალებულთა რიცხვს მივაქცითთ უურადლებს, სწორედ განცვიფრებაში მოვალთ; უგროზაში ყოველ წლივ ერთ მილიონამდე კაცი იხტება ამ სენით.


სამწუნრო კიდევ ის უფროა, რომ ამ სენით იწამლება ანადგავდა და ძაღდებით სავსე სხეული, და რამდენსამე წლის ტანჯვის შემდეგ, ხდელს მსხვერზლი უღმობელი სიკვდილისა. ჭლეტი იმ გვარი სენია, რომელიც ანადგურებს ფიზიკურად მთელ შთამომავლობას ჭლეტიანისას და ხდის ფრიად ხანმოკლეად. ესლანდელი სიღარიბე მასისა, მტირე და შეუფერებული სსშმელსაჭმელი, გარდამეტებული მუშაობა და დაღლილობა, სუღაერი და ზნეობრივი უკმაყოფილება, აი სუვეეთესრ ნიადაგი ჭლეტისა.

მესამე გამანადგურებელი ჭირი ადამიანის ჟანმრთელობისა, მიზეზი მისი სიცოცხლის ხანმოკლეობისა არის ლოთობა—აღკოტლიზში, რომელიც ასე სსშინლად განვითარდა ჩვენ დროში და რომლის მიზეზი არის კიდევ დღევანდელი სუღაერი უკმაყოფილება, სუღაერი სისწორის დარღვევა და ზნეობრივი სიმაგრის შესუსტება ესლანდელ ადამიანში.

შეგვეძლო კიდევ ბევრი რამ ისეთი დაგვესახელებინა რაც ამოკლებს ადამიანის სიცოცხლეს, მაგრამ ბევრს არას ვიტყვით, ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ არას დრეს ისე განშირებული არ უოფილა სხვა და სხვა სხვის სუღით ავადმყოფობანი, როგორც ჩვენს დროში; კანდა მრავალი ისეთი გვარი სხვა და სხვა ავადმყოფობათა, რომელიც ჩვენი წინაპრებისთვის სრულებით უცნობი იო; ყოველივე ეს რასაკვირველია, ცხოვრების მანვე გარემობათა გავლენით არის გამოწვეული, ხოლო სუვეელს ეს კი თავის მხრივ კიდევ უფრო ამოკლებს ადამიანის სიცოცხლეს.

აი სუვეელს ეს არის მიზეზი დღევანდელი





ჩვენი სიტყვების ხანმოკლეობისა, აი ზემო-  
თქმული მიზეზების გამო დღეს ადამიანი ად-  
რე ბერდება. ეს ღანდელი ჩვენი სიბერე არის  
ანა ჩვეულებრივი ფიზიოლოგიური მოვლენა,  
ესეთი სიბერე ისე ნადრეგია, რომ იგი უფ-  
რო ავადმყოფობას ქცავს.

სიბერე ის ხანა ცხოვრებისა, როდესაც  
სხეული უძურდება, ტკნება, უჯრდება სხე-  
ულის აკლდება სიტყვების ძალა და ენერ-  
გია. ბერდება ადამიანი და მასთან სიტყვების  
სურვილი და სიკვდილის შიში უძლიერდება.  
ჯერ კიდევ ჟან-ჟაკ რუსომ სთქვა, რომ რამ-  
დენად სიტყვებს ფასი აკლდება, იმდენად  
მას უფრო ვაფასებთო. მართლაც მხოუცი  
უფრო აფასებს და თრთის სიტყვებისათვის,  
ვიდრე ახალგაზდა. გასაკვირველიც არ არის!  
ნადრევე სიბერეს უდროფო სიკვდილიც მოზ-  
დევს; სიბერე ხომ დია კარება სიკვდილის-  
თვის.

რამდენად ადამიანი უფრო ბერდება, იმდენ-  
ად უფრო ძლიერდება მასში სიკვდილის ში-  
ში. ასე სტანჯავს ყოველ ადამიანს სიკვდი-  
ლის შიში, ყოველ ჩვენთაგანს სდევნის სიკვ-  
დილის აჩრდილი, ეს შიში და ტანჯვა სიკვ-  
დილისა ყოველთვის იმდენად ძლიერი იყო  
ადამიანში, რომ თვით საწმინტოებამ—რელი-  
გიამაც მიაქცია ურადლება და ძველადვე ცდი-  
ლობდა ნუგეში მიეცა ადამიანისათვის. აი  
აქედამ წარმოსდგა საიქიო ცხოვრების ნუგე-  
ში; ყოველ მორწმუნე ადამიანს ის ანუგეშებ-  
და, რომ სსაქიო ცხოვრება დროებითია, ხო-  
ლო იქ კი საიქიოს მოქალის მას ნეტარება  
და ცხოვრება დაუსრულებელი. არ არის ისე-  
თი ხალხი, რომ საიქიო ცხოვრება არ ეწა-  
მის.

არის ერთი კუნძული ჭიჭი, რომლის მცხოვ-  
რებთ ისე სწამთ საიქიო ცხოვრება, რომ  
როგორც კი იკრძობენ სიბერის მოახლოე-  
ბას თავებს იხრცავენ, ასე რომ იქ თურმე  
იშვითა მხოუცი კაცის ხსნა; მათი წარმ-

დგენით საიქიოს უგელანი 16 წლისა იქნე-  
ბიან და ყოველ გვარი საიმოვნება მოკლით.

მაგრამ დღეს კი მაინც ჩვენში საიქიოს  
ცხოვრების იმედი და რწმენა ისე მცირეა,  
რომ ეს ნუგეში სრულებით არავის არ უმსუ-  
ბუქებს გულში სიკვდილის შიშს. მე როგორც  
ქემს ხშირად მქონია შემთხვევა დავრწმუნე-  
ბულეფიფივი, რომ თვით მხურვალე რელიგიო-  
ზური რწმენა სრულებით ვერ უქარწყლებს  
ავადმყოფს სიკვდილის მოლოდინის შიშს.  
სსაქიო ცხოვრება, თუნდაც ტანჯული, საიქიო  
ნეტარებაზე არავის არ გაუცვლია, ისე ძლიერია  
სიტყვების წყურვილი ყოველ სად ადამიანში.  
ჭმირისის გმირი აქილესიც ამას ამბობს:  
„ქე მეგობრო, მიჩვენა მონასვით ძრწო-  
ლა ცოცხლებს შორის, ვიდრე ბატონთა აჩრ-  
ლდა სამეფოში“.

როგორც ხედავთ, ჩვენი მდგომარეობა  
თითქმის ნუგეში ყოფილა. და მართლაც  
ჩვენი მეცნიერი (მეჩნიკოვი) თავში ყოველივე  
ამ გვარ დაკვირვების შემდეგ ჰესიმისტიურ  
შეხედულებას დაადგა; მაგრამ ხანგრძლივი და  
ღრმა მოსაზრების შემდეგ ეს ჰესიმისტიური  
აზრი მასში თანდათან ოპტიმისტიურათ იც-  
ვლება და ბოლოს იგი ნამდვილი ოპტიმისტი  
ხდება; და წინანდელი მისი უიმედობა ად-  
გილს უთმობს სრულ რწმენას ადამიანის არ-  
სებობის უკეთეს მომავლისას.

საიღამ უნდა ველოდეთ შველას? რამ უნ-  
და შეგვიმსუბუქოს ტანჯვა და მოგვიმატოს  
დღეგრძელობა? შველას უნდა ველოდეთ მეც-  
ნიერებისაგან, ამბობს მეცნიერი. მართლაც  
მეცნიერებამ უკვე დღესაც დიდი შედეგათი  
მისცა ტანჯულ ადამიანს; მეცნიერების წყა-  
ლობით დღეს ზედმიწევნით შევისწავლეთ  
ადამიანის აგებულება, მიზეზი სხვა და სხვა  
გვარ სენისა, აღმოაჩინეს მანვე მიკრობები,  
მეიგნეს მათი თვისებანი, გამოიგონეს სხვა  
და სხვა სენის ასაძრელი შრალი.

ერთი მხრივ სხვა და სხვა გვარი ასაძრე-



ლი შრატო, ხელთ მერე მხრივ კი სანი-  
ტარულ—გიგიენური ზომები შეიქმნა მიზე-  
ზი, რომ ხელერას, ჟამს, უგავილს და სხვა  
ამგვარ სენს მოქმედობით საშუალება ისეთი გავრ-  
ცელებისა, როგორც წინადა. ქირურგია ხომ  
ისე განვითარდა, რომ არ არის ადამიანის  
სხეულში არც ერთი ადგილი, სადაც ქირურ-  
გის დანა არ მისწვდება. ვინ მოსთვლის  
თუ რამდენი ათასი და ათი ათასი კაცი გა-  
დურჩენია ქირურგის დანას სიკვდილისაგან.

დიდი უურადლება მიაქცია მეცნიერებამ აგ-  
რეთვე იმასაც, თუ როგორი საჭმელი შეჭეუ-  
რის ადამიანს; გამოიჩინა, რომ შესაფერი  
საჭმელი არის უდიდესი მიზეზი ჯანმრთელო-  
ბისა და სიცოცხლის ხანგრძლივობისა: საჭმე-  
ლი უნდა შეეფერებოდეს ადამიანის ინდივი-  
დუალურ აგებულებას, მის ფიზიკურ მუ-  
შაობას, მის ხასიათს და საზოგადოდ იმ  
ცხოვრების გარემოებებს, რომლებშიც ინდი-  
ვიდი იმყოფება, თვით ჭკეპი დღეს ისეთი  
საშიში არ არის, მასაც შეეგუება ფრთხილად:  
მას შემდეგ რაც აღმოაჩინეს ჭკეპის ბაქტერია,  
შეისწავლეს მისი თვისებანი, საშუალებანი  
რომელითაც ვრცელდება ეს სენი და იწამლება  
ადამიანი, მას შემდეგ, ვიმეორებთ, ისეთი  
ზომებს ვიღებთ, რომლის წყალობით შესა-  
ძლავა ადამიანმა თავი დანახოს ამ სენიდან.

გამოიგონეს დიდებული საშუალება სიფი-  
ლისის წინააღმდეგ, რომელიც ძირიანად  
სწობს ამ საშინელ სენს, მე ვიგულისხმებ  
ერლიხის მიერ შემოღებულ „696“ („914“).

რაც შეეხება ალკოჰოლიზმს (ალკოჰოლიზმს),  
მასაც დიდი და სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს,  
ეგვლამ გაითვალისწინა თუ რა საშინელ და გა-  
მანადგურებელ ძალას წარმოადგენს ეს სენი,  
და ვიმეორებთ, რომ თანდათან, ახლა მო-  
მავალში თუ არა, მოისპობა ეს სყოველთაო  
კაცობრიობის ჭირი. ვიმეორებთ იმასაც,  
რომ თანდათან ადამიანი დაუბრუნდება სად,  
ბუნებრივ ჩვეულებებს, დაუნაღვრდება ბუნე-

ბას, შეიცვლება ესლანდელი უსამართლო სე-  
ნისა და წეს-წყობილება და ეს სუფიქსი კი  
გამოიწვევს ესლანდელ გადაგვარებულ, დაძ-  
ბუნებულ ადამიანში ბუნებრივ სისაღეს, გან-  
კარგებას და სიმაკრეს, მის სხეულში მოქმე-  
დება მას სიცოცხლის ხანგრძლივობა და სი-  
ბერეც, ესლანდელი ავადმყოფური სიბერე,  
უფრო ნორმალური შეიქმნება და გვიანაც და-  
დება.

მართალია, მეცნიერება ჩვენი მსხნელია,  
შეუკლას მავისაგან მოველით, მაგრამ ადამიანი  
ჯერ კი ძლიერ ადრე ბერდება, და თუ რომ  
ესლანდელი სიბერე არა-ფიზიკოლოგიურია,  
ნაადრევია, უფრო ავადმყოფობის მსგავსია,  
იქნება წამლობაც მოუხერხდეს!

ამ წამლასაც მეცნიერი მეჩნიკოვი გვიჩი-  
რებს და აი რაზე ამყარებს მას: როგორც  
ქვეყნად სულიერ არსებათა შორის შეუწყობი-  
ლი ბრძოლა არსებობს, ისეთივე ბრძო-  
ლა ადამიანის უჯრედებთან შორის. ვადრე  
ადამიანის უჯრედებთან შორის ბუნებრივი სი-  
სწორება, ერთნი მეორეს ვერა სხატავენ, ხე-  
ლო როდესაც ეს თანასწორობა ირღვევა, აი  
მშინ არის რომ ადამიანის სხეული ბერდება;  
მშინ ერთი ჯგუფი უჯრედებისა სძლევენ მე-  
რე ჯგუფს; დამარცხდებიან ხელმე უფრო  
ნაზი, მალე განვითარებულ დანიშნულების  
უჯრედები, რომლებისაგან შესდგებიან ტვინი,  
ნერვები და სხვა მალე ხარისხიანი ორგა-  
ნობი. ამ გვარ ნაზს და „კეთილშობილ“,  
როგორც მეჩნიკოვი ეძახის, უჯრედების გა-  
ნადგურებაში დიდ მონაწილეობას იღებენ  
ლეიკოციტები—ფაგოციტები, რომლების შე-  
სახებზე უმოდ გვქონდა ნათქვამი. როცა უჯრე-  
დებთან შორის ბუნებრივი სისწორე ირღვევა  
ლეიკოციტები—ფაგოციტები სარგებლობენ  
იმით და თავს ესხმიან უჯრედებს და იწო-  
ბენ მათ განადგურებას. წინადა, როცა შრეტი  
ბუნებრივი ძალა ქმნადა, უჯრედებს შეე-  
ძლათ მათი მოგერება: იმ დროს მათ ლეიკო-





ციტების მოსაგერებლათ ერთ გვარი სითხე გამაქქონდათ, სიბერის დროს კი ეს თვისება აკლდება უჯრედებს.

მაშ ლეიკოციტები—ფაგოციტები უფრო ემტერებიან და ანადგურებენ ნახს და „კეთილშობილ“ უჯრედებს, რომლის მაგიერ ჩნდება მდაბალი ხარისხის გამოუსადგვარი უჯრედები—უფრო მაგარი და ძარღვიანი ქსოვილი. ამიტომაც რომ ბებური ცხროველის ხორცი და შიგნეულობა მაგარი და ძარღვიანია. მოხუცი ადამიანის ტვინი იმიტომ შიშველ მუშაობს, რომ მასში ესლას ნახ ტვინის უჯრედების მაგიერ, რომელიც ლეიკოციტებმა განადგურებს, მდაბალი ხარისხის უჯრედებს დაუჭერის ადგილი.

იქნება ისეთი რამ დენისძიება ვიხმარეთ, ამბობს მეცნიერი, რომლის წყალობით ეს ლეიკოციტები ისე შევსუსტოთ, რომ სიბერის დროს ვეღარ შესძლონ ნახ „კეთილშობილ“ უჯრედების განადგურება. ჩვენში, განაგრძობს მეცნიერი, ზოგიერთ გადაშვებ სენს ვარჩენთ იმ სითხეთი, რომელიც მომზადებულია ამ სენის მიკრობებისგანვე. ასეთი სითხე რა ჩვენ თვით ლეიკოციტებისგან მოვაშინადოთ და მეტე ეს მოხუცს კან ქვეშ შევუშინებოთ, მოსალოდნელია, რომ ლეიკოციტები ამით ისე დავაუძღურეთ, რომ ვეღარ შესძლონ ნახ უჯრედების განადგურება. მაშინ ადამიანი ასე ადრე აღარ დაბერდება, ახალგაზდობა, ძალ-ღონე, ხადისი დიდ ხანს შერჩებოდა ადამიანს, ასს წელიწადს შეტს თუ არა, ასს წლამდინ ხომ მაინც იცოცხლებოდა.

ძალიან კარგი. სჩანს, სიბერესაც ეშველება რამ. მაგრამ ასეა თუ ისე ადამიანის გულს მაინც სავსებით ვერ დაამშვიდებთ; ადრე თუ გვიან ადამიანს ბოლო მაინც ხომ უნდა ქქონდეს ამ ქვეყნად, რადგან სიკვდილი აუცილებელი რამ არის; ადამიანის გულში კი სიცოცხლის წუურვილი არასოდეს არ ქქრება. მეჩინიკოვმა დათვალიერა მოხუცთა მრავალი თავ-

შესაფარი, ქქონდა ხანგრძლივი ბასი მათთან და დარწმუნდა, რომ უფელ მოხუცს დიდი შიში აქვს სიკვდილისა, თუმცა დავრდომილნი არაან და სახელმწიფო მათ სამადლოთ ინახავს, მაინც უფელი მათგანი მთელი თავისი არსებით ეჭიდება სიცოცხლეს, თრთის სიკვდილის ახრდილის წინაშე.

რაცორც ხედავთ, მდგომარეობა ჩვენი სიტანჯველი ეფილია და თითქოს უსაშველოცა. მაგრამ გამოდის მეცნიერება და აქაც იმედს გვაძლევს.

ესლას შევუდგეთ იმის ახსნას თუ რა გვარ ბუნებრივ მოვლენას წარმოადგენს სიკვდილი; შესაძლოა მისგან თავის დახსნა თუ არა? მეცნიერება გვეუბნება, რომ არ არის ქვეყნად არც ერთი სულიერი არსება რომ არ კვდებოდეს. თვით თვალათ უხილავი არსებანი მიკრობებიც კი ემორჩილებიან ამ საერთო კანონს. ავიდეთ მიკროსკოპიული ერთ უჯრედოვანი არსება—ინფუზორი, შევისწავლოთ მისი თვისებანი და ვხანსოთ რაცორც მრავლდება. ეს ზაწაწკინა არსება მრავლდება უბრალო გაყოფით: ერთი ინფუზორი იყოფა ორათ ან რამდენათმე, თვითეული ნაწილი დამოუკიდებელ არსებათ ხდება. თავისი მხრავ ეს ახალი არსებაც იყოფა და ამ გვარად ცოტა ხნის განმავლობაში ერთი ინფუზორისგან ჩნდება თავისუფალი ინფუზორთა ახალი ჯგუფი. მაგრამ ამ გვარი დყოფავა და გამრავლება როდი არ არის დუბოლოვებუელი: ინფუზორის ცხროვრებაში ისეთი ხანაც ღვება, როდესაც იმდენად უძღურდება, რომ თუ იგი თავისსავე მზგავს მეორე არსებას არ შეუერთდა ვეღარ ახერხებს გამრავლებას; მაშინ მას სრულებით ბოლო ედება; ხოლო შეერთებით კი ინფუზორს ძალა ეძლევა ახალი სიცოცხლისა, იგი ძველებურად კვლავ იწყებს გამრავლებას. მასსადამე ინფუზორი ამ შეერთებაში ზოულობს გამაახლებელ ძალას.

მდაბალი განვითარებული არსება მით გან-



სხვაგვრად ასეთ მარტივ არსებისაგან, როგორც ინფუზორია, რომ ჰიროსოლის სხეული მრავალ უჯრედოვანია, ხოლო ინფუზორის სხეული ერთი უჯრედისაგან შესდგება. ყოველი სუ-  
ლიერი არსება რაც უნდა განვითარებული იყოს, თავის ცხოვრების დასაწყისში გამოიფლის ხოლო განვითარების ისეთ ხანას, როგორც ინფუზორი, იგიც იმისავით ერთ უჯრედოვანია. როცა მამრობითი სქესის სანაშენო უჯრედი შეუერთდება დედრობით სანაშენო უჯრედს, და აი აქედამ წარმოსდგება ის მიკრო-  
სკოპიული არსება რომელიც გაყოფით როგორც ინფუზორი, ხდება მრავალ უჯრედოვანი, განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ როდესაც ინფუზორი რამდენიმე ნაწილად იყოფება, ყოველი ნაწილი განცალკევებულ არსებობას იწყებს, ხოლო მალე არსების განვითარების დროს ახალი უჯრედები არ შობიან ძველებს, უერთდებიან მათ და ამ გვარად შეადგენენ ერთ მჭიდრო დაუმჯეღ სხეულს. თავ-  
დაპირველად უჯრედები თვისივე აკებულებით და მოყვანილობით ერთგვარნი არიან, მერმე კი მათ ცვლილება ეტყობათ, იყოფებიან ჯგუფებათ და ყოველი ჯგუფი ასრულებს რაიმე დანიშნულებას, ხოლო უჯრედების ყველა ჯგუფთა მუშაობისაგან წარმოსდგება მთელი სხეულის მუშაობა. ამ გვარად ყოველი გან-  
ვითარებული არსება შესდგება ძარღვებისაგან, ძვლებისაგან, კუნთებისაგან და სხვა. ყოველი მათგანი შესდგება განსაკუთრებული უჯრედებისაგან.

ამასთან ყოველ სულიერ არსების სხეულში უჯრედების აღნიშნულ გამრავლებასთან ერთად ხდება დაშლა დაძველებულ, დონე მოკლებულ უჯრედებისაც. ამ დაშლის მიუხედავად არსება იზრდება, ცოცხლობს, რადგან უჯრედების დაყოფა და გამრავლება ძლიერია. მაგრამ როდესაც არსება ხანში შედის უჯრედთა გამრავლების ძალა იმდენად სუსტდება, რომ არსება თანდათან უძლურდება და ბოლოს კვდება.

იმ დროს როდესაც უჯრედთა გამრავლების ძალა სუსტდება, ცხოველთა სსეულიც მრავალგანაგებნი გამარჯვებულნი სანაშენო უჯრედები: მამრობით და დედრობით სქესის სანაშენო უჯრედების შეერთებით ჩნდება ახალი არსება; ამ გვარად ორმა ძველმა არსებამ შეერთებით შექმნეს ახალი, უფრო ძლიერი არსება.

ყოველი სულიერი არსება და მათ შორის აღამიანიც ცოცხლობს მანამდე, ვიდრე იმის უჯრედებს აქვს ბუნებრივი ძალა გამრავლებისა, ხოლო როდესაც ეს ძალა ელევა, არსებასაც ძალა ედება. ასეთ დროს გამაძლიერებელი ძალას ინფუზორი უბოძებს ერთ-მეორესთან შეერთებაში, ხოლო მალე არსებათა შორის კი ამ გვარი შეერთება ხდება მხოლოდ მათი სქესური უჯრედების წყალობით. ამ უჯრედების შეერთებით შეიქმნება ახალი სულიერი არსება.

ამ გვარად აღამიანის სხეულის ის უჯრედები ეკვემდებარებიან სიკვდილს, რომლებიც მხოლოდ ინდივიდის სიცოცხლისათვის არიან საჭირონი, ხოლო ის უჯრედები კი რომლებიც სსხეთა—მოდგმის—გამრავლებისათვის არიან დანიშნულნი—მამრობითი და დედრობით სქესური სანაშენო უჯრედები—უკვდავნი რებიან: ამ ელემენტთა წყალობით თუმცა ინდივიდი კვდება, მაგრამ სსხე—მოდგმა კი უკვდავია. რასაკვირველია მეცნიერების ამ გვარი ახსნა აღამიანის გულს ვერ დაამშვიდებს. მართალია, მოდგმა უკვდავია, მაგრამ აღამიანის შიროვნება ხომ იკარგება. აი, ეს აზრია რომ სტანჯავს აღამიანს, აი ამ აზრსაა რომ აღამიანი ვერ შეჭრიკებია. აღამიანს შიროვნული სიცოცხლე სწყურია, მის გულს რას ანუგეშებს მოდგმის უკვდავება.

მაგრამ აქაც გამოდის ჩვენს სსეულათ მეცნიერება მეჩნიკოვის შიროთ. ჩვენი სიკვდილი, ამბობს იგი, არა ბუნებრივია, საჭიროა რომ იგი განდეს ბუნებრივი.

ზოგი მოხუცი თითქოს ბუნებრივად კვდებოდა.





ბა; მას არავითარი ტკივილი არ აწუხებს, მაგრამ ანატომიური გასინჯვის შემდეგ ამ მოხუცის სხეულში უტკივლად ამჩნდება დაზიანებული ორგანოები, სიკვდილი ამ ორგანოების ავადმყოფობით არის გამოწვეული; საჭიროა ამის შემსუბუქება და შესუსტება. რადესაც სიბერეს ფიზიოლოგიური ხასიათი მიეცემა, ბუნებრივი სიკვდილიც მხოლოდ მშინ დადგება.

მაგრამ ვსთქვათ ეგეც ასრულდა. სიბერეს ავადმყოფური ხასიათი მოესწვა; რა უნდა ვუყოთ სიცოცხლის წყურვილს, სიცოცხლის ბუნებრივ ინსტინქტს. სანამ ეს სიცოცხლის ინსტინქტი ჩვენში ასე ძლიერია, სიცოცხლე და სიკვდილის შორის არსებული ტრავიკული წინააღმდეგობა ხომ ვერ მოისზობა.

მეჩნიკოვი გვამხნევებს, ადამიანში აღმოცენდება სიკვდილის ინსტინქტი, რომელიც ჩვენ გულში აღმოფხვრის სიკვდილის შიშს. მართალია, სიცოცხლის ინსტინქტი ისეთივე ძლიერია, როგორც სიმშვილის და ძილის ინსტინქტი, მაგრამ ინსტინქტის ბუნებაც ცვალებადია: კრუსი წიწილებს იმ დრომდე დასდევს, სანამ წამოიზდება და ხოლო რადესაც გაიზრდება არამც თუ გულ-გრილად, შტრულათაც კი ეზურება მათ. ახლად დაბადებული ძუძუთა ბავშვი სტკებუა ღედის ძუძუთი,

ხოლო შემდეგ კი იგივე რძე აუზიზღება მას, სკანდიტროში ახალ მიღებულ შეგირდებს არ უშლიან ტკბილეულობის ჭმას; მართლაც ცოტა ხნის შემდეგ ბოლას ისე მოიძრუებენ გულს, რომ შესჯავრდებათ ტკბილეულობა და ხელს ადარ ახლებენ მას.

და აი ვერც შეილება მისი ეფარული დედა და ვერც ტკბილეულობის მოტრფიალე ბაღლი, ამბობს მეჩნიკოვი, ვერ გაიკებენ იმას, თუ როგორ უნდა მოსწყინდეთ ის, რაც წინადა მაგრე უფარდათ; ამ გვარადვე კაცობრიობა, რომელსაც ასე სწყურია სიცოცხლე, სულის უგვდავების აზრს უფრო ებღაუჭება, ვიდრე იმ შეგნებას, რომ სიცოცხლის ინსტინქტი სიკვდილის ინსტინქტით გადაიტყვევა.

ადამიანის სიცოცხლე რომ ნორმალურად, ფიზიოლოგიურად მიმდინარეობდეს, სიკვდილის ინსტინქტი თავის დროზე, ჯანსაღ და ხანგრძლივ სიბერის შემდეგ გაიღვიძებდა ჩვენში.

სიკვდილის შიში ადარ გვექნება, რაკი სიკვდილის ინსტინქტი დაიბადება ჩვენში; დაიბადება ამ გვარად, იმედოვნებს მეჩნიკოვი, და სიკვდილი, რომლის აჩრდილი მუდამ სდევნის ადამიანს, დაჭკარვას თავის საშინელებას.

ექიმი ბადროძე.







# საზღალო სკოლა

დ ა

## საკროფესიო განათლება\*)

სკოლის გასახლებელი საშუალებანი

აღზრდის ახალი პრინციპები მოითხოვენ, რომ დასაწყის სკოლებში ცოდნის ყოველგვარი დარგი გაერთებული იქმნეს, ყველა სასწავლო საგნები ქვეყნიერების გასაცნობ სერთო სურათად იქმნეს წარმოდგენილი, გაცალკევებული მეცნიერება სინტეზის საშუალებით გაერთიანდეს. პროფესიონალიზმში არ არის ეს შემაერთებელი ძაფი აღმზღელობისა და ზოგად განათლების მომენტებისა. ეს ისეთი საბუთია, რომელიც შეუძლებლად ჰხდის პროფესიონალიზმს სპეციალ ტექნიკურ სკოლებისთვისაც, რომელშიაც შრომის სკოლის დადებითი თვისებანი არ არსებობენ. პროფესიონალიზმი შეუფერებელია თავისი საორგანიზაციო პრინციპებითაც: გაორკეცებული ფილანტროპიზმი, საწყალ და ღარიბ ბავშვთათვის მზრუნველობისა და კეთილმოყფელობის პრინციპი თავისი დანიშნულების ვიწრო შეზღუდვით შეუძლებლად ჰხდის პროფესიონალიზმს იმ გვარ მომზადებით, რომლის დროსაც სამუშაო ეძლევა მხოლოდ ხელებს და გონებასა და გულს კი არ ჰხვდება რა. პროფესიონალიზმი შეუძლებელია თავისი პედაგოგიური პერსპექტივის სივიწროვითაც, რადგანაც იგი აღმზრდელობითისა და ზოგად განათლების მიზნისკენ მისწრაფებას სრულიად უარჰყოფს.

აწინდელი აღზრდის რეფორმატორები დაჟინებით მოითხოვენ, რომ სასკოლო პროგრამიდან ამოიშალოს ყველა ის მასალა, რომელიც ცხოვრებაში უსარგებლოა და არც ხელს უწყობს საზოგადოების მომავალ განათლებულ და სასარგებლო წევრთა აღზრდას; ისინი მოითხოვენ, რომ ბავშვს მიეცეს ფართო განვითარება, ისეთი სწორი და საღი მსოფლმხედველობა, რომელშიაც ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკური მეცნიერების, ფსიხოლოგიურს, მორალურსა და სოციალურ გამოკვლევათა შედეგებს საპატიო ადგილი ექნება, სადაც თვითოეულს ნივთს, თვითოეულს ფაქტს, თვითოეულს მოვლენას თავისი ღირებულება ექნება. აღზრდის რეფორმატორები მოითხოვენ, რომ ძლიერ ადრე არ ამზადებდნენ ბავშვებს მომავალ საპროფესიო ხელობისათვის, არამედ აღზარდონ თავდაპირველად ადამიანი, მომავალი მოქალაქე, ოჯახის მამა, პატრონი. ლიტერატურის, ისტორიის, გეოგრაფიის, ზოოლოგიის, ბოტანიკის, გეოლოგიის, ქიმიის, ფიზიკისა და მათემატიკის ცოდნას აქვსთ თავისი ღირებულება იმდენად, რამდენადაც ისინი მთლიან ადამიანის განათლებას უწყობენ ხელს. თუ ეს ცოდნა ასეთს მიზანს ვერ აღწევს, სჩანს სწავლება წვალება ყოფილა მოწაფეთათვის.

ზოგადი განათლების სკოლის მიზანი არ არის რომელიმე განსახლვრული

\*) იხ. „განათლება“ 1917 წ. № 1.



პროფესიისათვის მოამზადოს მოწაფე. ბავშვი არ უნდა გახდეთ სპეციალისტად ამა თუ იმ დარგში; ბავშვში **სხვა და სხვაგვარ** მიმართულებით უნდა ვაღვრებდეთ მხოლოდ ცოცხალ შემოქმედებითს მუშაობას და ყველა მისს ზნეობრივსა და ფიზიკურს ძალას სასურველ საზრდოს უნდა ვაწვდიდეთ. საღმა პედაგოგიკამ უნდა გადაშალოს ადამიანში ყველა **შესაძლებლობა**, რომელიც ბუნებას მასში ჩაუნერგავს; ერთს მათგანს, საჭიროების მიხედვით, წკიპურტი დასჭირდება, მეორეს—ხელის დაჭირება. როცა რაიმე ხელოსნობას ასწავლიან ზოგად განათლების სკოლაში, თვალწინ სულ უცხო მიზანს ისახავენ. აღზრდის მხრივ საჭირო მნიშვნელობა აქვს არა შრომის ნაყოფს, არა გაკეთებულ საგანს, არამედ სამუშაოს შესრულების მეთოდსა და პროცესს. **შრომის პროცესი** არის ის სტიქიონი, რომელშიაც ხასიათი ყალიბდება, ესა თუ ის ჩვეულება ჩნდება, ნება იწრთენება და შალაშინდება. ეს ის მომენტია, როცა გამოცდილი და საქმის მოყვარული პედაგოგი აამოძრავებს მთელს თავისს საზნეობრივო ვაგლენას, თან და თან აცხოველებს ყოველს წვრილმანს სიტყვითა და საქმით.

როცა ხელოსნობის სწავლება ზოგად განათლების სკოლებში ყველგან უნაყოფო შეიქმნა, როცა დარწმუნდნენ, რომ ხელოსნობა არ შეესაბამება ზოგად განათლების სკოლის მიზანს, იმის შემდეგ სკოლის რეფორმატორები სულ სხვა გზას დაადგნენ, და ეს გზა დღეს უკვე გაკვალულია მოწინავე ქვეყნებში და ამის წყალობით ქვეყანაც კეთილ დღეობაშია.

#### IV

**რა საშუალებას უნდა მივმართოთ? ფართო საპროფესიო განათლების საჭიროება. სახალხო სკოლების რეორგანიზაციის საჭიროება და ხელგარჯილობის სწავლების შემოღება.**

თუ დღევანდელი სკოლა თავისს დანიშნულებას საკმაოდ ვერ ახორციელებს, თუ სახალხო სკოლაში და საზოგადოდ დასაწყისს დაბალს სასწავლებლებში არავითარი საპროფესიო

განყოფილებათა მოწყობა არ შეიძლება, მაშასადამე საჭირო ყოფილა სხვანაირი ღონისძიება და ზრუნვა ჩვენი სახალხო სკოლების განახლებისათვის და იმავე დროს ზრუნვა ჩვენში საპროფესიო განათლების ნაყოფიერად მოწყობის შესახებაც.

ჩვენში აუცილებლად საჭიროა ფართე საპროფესიო განათლება, რომელიც მტკიცე, შეგნებული და სასარგებლო მაშინ იქნება, თუ მოწაფეს თავდაპირველად საკმაო ზოგადი განათლება ექნება მიღებული. მოუსავლობა, ყანების მოცდენა, სიმშილი და სხვა და სხვა გვარი არა სასურველი ეკონომიური პირობები, ხალხის ნივთიერი ჩამოქვეითება, უმეცრებისა და ათასგვარ ცრუმორწმუნოების გამო, დიდი საჭირობოროტო საკითხია ჩვენი ერის ცხოვრებაში. ბრძოლა არსებობისათვის, ბრძოლა ნივთიერ საშუალებათა მოსაპოვებლად პირველს რიგზეა და ამიტომ ჩვენს დროში საპროფესიო განათლების საჭიროებას ყველანი უნდა გრძნობდნენ. საპროფესიო განათლება უზრუნველ ჰყოფს ადამიანს მოიპოვოს „პური არსობისა“ და ეს უფრო ამტკიცებს ასეთი განათლების საჭიროებას ადა-



მიანის პიროვნებისა და მისი ბუნებრივი მიდრეკილების მიხედვით. ასეთი განათლება საჭიროა საზოგადოების აზრითაც, რომელიც შეგნებულსა და განვითარებულს მუშებს თხოულობს. ასეთი განათლება უფრო ჩვენშია საჭირო, სადაც პირველ ყოფილი წესი მეურნეობისა დღესაც არსებობს, სადაც გაუმჯობესებულს სამეურნეო იარაღებს ჯერ კიდევ ვერ შესჩვევიან, სადაც ადგილობრივ ნაწარმოები განუვითარებელია, ფაბრიკის ნაწარმოები ცუდი ღირსებისა და არ იციან მრავალი კარგი მხარე აწინდელის ტექნიკისა. სადაც მუშის შრომა მცირე ნაყოფს იძლევა, იქ საპროფესიო განათლება უსაჭიროესს საგანს შეადგენს, მაგრამ დასაწყისი სახალხო სკოლა, როგორც ზევით დავინახეთ, ამ საქმეში უძლურია და შემდგომი არიან ისინი, ვინც დღევანდელ სახალხო სკოლის საშუალებით ხალხში საპროფესიო განათლების მოფენას და ამ გზით ქვეყნის ეკონომიურად აყვავებას ჰფიქრობენ.

დღევანდელი ცხოვრების პირობები ასეთია: თუ ჩვენს ერს თავისი თავის დაღუპვა და გადაშენება არ უნდა, ყოველ დარგში საუკეთესო სპეციალისტები ბლომად უნდა ჰყავდეს. ჩვენ გვესაჭიროება აგრონომები, რომელთაც პრაქტიკულად და თეორიულად ზედმიწევნით უნდა იცოდნენ თავისი საგანი. ისინი უნდა დაეხმარნენ ჩვენს გლეხობას, მიწის მუშაკთ და მიწის შემუშავება და მოსავლის მოყვანა იმ დონეზედ დააყენონ, როგორც ეს კულტურულს ქვეყნებშია. ჩვენში საჭიროა მეცნიერების ყველა დარგის კარგი მკოდნენი, სპეციალ პედაგოგები, რომ დღევანდელი დამახინჯებული და უკუღმართი სკოლა განახლების გზას დაადგეს და თავისს წმინდა დინიშნულებას პირნათლად ემსახუროს. თვითონ ზოგადი განათლება და მისი შინაარსი მკიდროდ არის დაკავშირებული სპეციალ ცოდნის განვითარებასთან. თავისს შინაარსსა და მეთოდებს ზოგადი განათლება სხვა და სხვა მეცნიერებისაგან და ხელოვნებისაგან იძენს. მეცნიერება და ხელოვნება კი ყველგან უმთავრესად სპეციალისტების მიერ მიღის წარმატებაში. რამდენადაც ამა თუ იმ ქვეყანაში მეცნიერება და ხელოვნება უფრო განვითარებულია, იმდენად ზოგად განათლებისთვისაც უფრო საუკეთესო განძს ირჩევენ.

დასაწყისი სახალხო სკოლები კი ჩვენში აუცილებლად უნდა გაჰყვეს ზოგად განათლების გზას, მაგრამ არა იმ წესით, როგორც დღეს არის შემოღებული, არამედ სხვა გზითა და სხვა საშუალებით. ჩვენებური სახალხო განათლების საქმე მოითხოვს როგორც სკოლაში სასწავლო დროს გადიდებას, აგრეთვე სასწავლო საგნების შერჩევას, სკოლის საქმის სრულს რეორგანიზაციას, პროგრამის გაფართოებას, დედაენაზე საგნების სწავლების შემოღებას, სალი პედაგოგიური პრინციპების დაცვას და სკოლის ცხოვრებასთან დაახლოვებას.

თუ გვინდა, რომ ზოგად განათლების სკოლა საზოგადოდ და კერძოდ სახალხო სკოლა მართლა პირნათლად ემსახურებოდეს განათლების საქმეს, იგი ადგილობრივს პირობებთან შეგუებით ისე უნდა მოეწყოს, როგორც მოწინავე ქვეყანაშია. ევროპა და ამერიკა ამ მხრითაც საუკეთესო მაგალითს იძლევიან. ის, რაც ევროპისა და ამერიკის სკოლებში ბავშვის ბუნებრივი ნიჭის განვითარების



კენტროს შეადგენს, ჩვენებურსა და რუსულს სკოლებში ან სრულიად უარყოფილია, ან მხოლოდ ახლა ცდილობენ ამ გზით სკოლების განახლებას.

**ხელგარჯილობა.** ერთი საუკეთესო ფრიად საჭირო და აუცილებელი ელემენტი შრომის სკოლისა არის ხელგარჯილობა, რასაც რუსები Ручной труд-ს ეძახიან, შვედლები sloyd-ს, გერმანელები—Handarbeit-ს, ფრანგები—Travail manuels-ს და ინგლისელები—Manual training-ს. ხელგარჯილობა შეიცავს ყოველგვარი პრაქტიკული ცოდნის შეერთებას ხის, ლითონის, კარდონის, ქაღალდის, თიხისა და სხვა მასალაზე მუშაობით. ხელგარჯილობა უერთდება საგნების თეორიულად შესწავლას და თვალსაჩინოდ ჰხდის სასწავლო მასალას. ტერმინი ხელგარჯილობა სწორი არ არის. იგი შეიცავს აგრეთვე თვალის, ტვინისა და მთელი სხეულის ვარჯიშობას. Rene Leblanc-ი ასე განსაზღვრავს ამ ტერმინს: „შეერთება ვარჯიშობათა, რომელნიც კარგა შეთვისებისათვის თვალის, ხელისა და ტვინის შეერთებულს მუშაობას მოითხოვენ და დანიშნულება აქვსთ პირველი ორი ორგანოს განვითარება მესამის შემწეობით“ \*). ინგლისური ტერმინი Manuel training—ხელის განვითარება და—Hand and Eye training—ხელისა და თვალის განვითარება ნიშნავენ, რომ ხელგარჯილობა პრაქტიკული მუშაობის შეერთებაა სხვა და სხვა მასალაზე და წარმოადგენს სხვა და სხვა ნივთთა დამზადების პროცესს, საშუალებას გარეგან ორგანოების, გრძნობების, ხელისა და ტვინის განვითარებას. მაგრამ ხელგარჯილობა მარტო ორგანოთა ვარჯიშობას არ შეიცავს, იგივე არის საშუალება, ხერხი გონების, ნებისყოფისა და ესთეტიური გრძნობის აღზრდისა. იგი ხელს უწყობს გონებრივს განვითარებას, აზროვნების სინამდვილეს ძალასა ჰმატებს, ნებასა და ესთეტიურს გრძნობას ზრდის, ავითარებს. „Manuel training is mental training“—ამბობენ ამერიკელები—ე. ი. „ხელის განვითარება იმავე დროს გონების განვითარებაა“. ამით განსხვავდება ხელგარჯილობა ხელოვნობაში. ხელგარჯილობას მიზნად აქვს არა ტექნიკური სიმარდის განვითარება, როგორც ხელოვნობას, არამედ ის, რასაც ბავშვი იძენს მუშაობის პროცესის დროს. „Not matter but mind“ (საჭიროა არა საგანი, არამედ გონებრივი მუშაობა). ყველაფრის კენტრო თვითონ ბავშვია, მისი ფიზიკური და სულიერი ბუნება, მისი ინტერესები და შეკითხვები, მისი სულის მოთხოვნილებანი, რომლითაც განისაზღვრება ხელგარჯილობით მუშაობა და არა ტექნიკურის მოთხოვნილებით, რომელიც ხელოვნობას უძევს საფუძვლად. ხელგარჯილობის დროს მუშაობა კერძო სავარჯიშოებზე სწარმოებს, ან ამა თუ იმ ამოცანას წარმოადგენს, რომელიც შესრულებისა და გადაწყვეტის შემდეგ უკვე ჰკარგავს თავის მნიშვნელობას. ასეთია თვისება კერძო სავარჯიშოებისა, რომელიც საფრანგეთში და უფრო კი ამერიკის სკოლებშია გავრცელებული.

ქენევის უნივერსიტეტისა და ე. ე. რუსსოს სახელობის საპედაგოგო ინს-

\*) „C'est un ensemble d'exercices qui Exigent, pour leur bonne etercution, le concours de l'aeil“ და სხვ.



ტიტუტის პროფესორი დ-რი ა. ფერიერი სკოლებში ხელგარჯილობის მნიშვნელობას ასე გვიხსიანებს \*):

1. ხელგარჯილობა აიძულებს ბავშვს საგანს წესიერად უცქიროს, კარგად დაინახოს, წვრილმანებსაც გულისყური მიაპყროს, სწორედ გამოიანგარიშოს, თვალთ გაზომოს.

2. ხელგარჯილობა ბავშვს შემთხვევას აძლევს ისე ივარჯიშოს, რომ თავის აზრს ნამდვილი თვალსაჩინოდ გამოხატული სახე მისცეს.

3. ბავშვი, როცა კუნთების მუშაობას ტვინის მუშაობასთან აერთებს, სულიერად უკეთ ვითარდება.

4. ხელგარჯილობა აიძულებს ბავშვს ახლო შეეხოს სხვა და სხვა მშრალ მასალას, რომლის თვისებებს ყველა გარეგან გრძნობათა შემწეობით დამოუკიდებლად ითვისებს.

5. პრაქტიკული ცდის საშუალებით ხელგარჯილობა მოაძებნინებს ბავშვს ნივთთა შორის ყოველგვარ არსებულს დამოკიდებულებას, თანდათან აჩვენებს შრომას და შეფასებებს შრომის ნამდვილ ღირებულებას და მისს სოციალურს მნიშვნელობას, გააცნობს საჭირო იარაღებს და ხელოვნობის ისტორიულს მნიშვნელობას.

6. ხელგარჯილობის დროს ნივთების პრაქტიკულად მოპყრობას ვარჯიშობით აწავლობენ, ეჩვენებენ მათი მიზანშეწონილად და სასარგებლოდ გამოყენებას, ეკანონიურ ხმარებას და სასარგებლოდ გარდაქმნას.

7. ხელგარჯილობა აკმაყოფილებს ბავშვების მოძრაობის, მათი კუნთების მუშაობის მოთხოვნილებას, რაც ბავშვთა ასაკის თვისებაა, იგი საზოგადოთ ბავშვის სხეულსაც ავითარებს.

8. ხელგარჯილობა ბავშვს ხელის სიმარჯვეს უვითარებს, ხელს უმსუბუქებს და დარწმუნებულსა ჰხდის მოხერხებულს მოძრაობაში.

9. ხელგარჯილობა ბავშვს გამოგონების ნიჭსაც უვითარებს, ერთის მხრით აიძულებს სძლიოს ტენიკური სიძნელე, მეორე მხრით შემთხვევას აძლევს შესამუშავებელ საგანს თავისი მოსაზრებით, მოხერხებით მისცეს ესა თუ ის ფორმა, მოყვანილობა.

10. ხელგარჯილობა ბავშვებს დანახვებს მცირედ იმას, რაც ცხოვრებაში უფრო ფართოდ უნდა განხორციელდეს, აჩვენებს თეორიისა და პრაქტიკის წესიერ შეერთებას: შრომიდან და ცდიდან როგორ გამომდინარეობს წესიერი თეორია, რომელიც თავის მხრით ხელმძღვანელობას უწევს და ამსუბუქებს შრომას, თავიდან იშორებს ხელის ცეცებით ეძიოს შრომაში საჭირო ხერხი და ხელს უწყობს შრომაში უუდიდეს სისრულესა და ძალთა დაზოგვას მიაღწიოს—„მაქსიმალური შედეგები მცირე ენერჯიის დახარჯვით“.

11. რადგანაც ხელგარჯილობა მოითხოვს ყველა გარეგან გრძნობათა გამოყენებას, სხვა და სხვაგვარ სავარჯიშოებს და ყველა ნიჭთა კონცენტრაციებს,

\*) Новѣйшая педагогическія теченія на западѣ. „Русская шк.“ за 1914. № 12.



განსაკუთრებით, როცა სამუშაო წინასწარ მოფიქრებულის პროექტით არის დამზადებული, ცხადია, რომ იგი საუკეთესო საშუალებაა, რათა ბავშვი თავიდანვე სისტემატიურსა და წესიერ შრომას მიეჩვიოს.

12. აწინდელი ფიზიო-ფსიხოლოგია ხაზგასმით აღიარებს ხელგარჯილობის ზნეობრივს გავლენას: მოხერხება და ტექნიკური სიმარღე, რომელთაც იძენენ პროცესის დროს განსაზღვრული მიზნისადმი მისაღწევად, იმავე დროს ბავშვს თავშეკავებასაც აჩვევს, თავისი თავის, მუსკულებისა და ნერვების დამორჩილებას შესძენს,—ეს **სულის თვისებანი**, უსაქიროესნი სამუშაოს კარგად შესასრულებლად, მოსამზადებელი საფეხურია ორის ზნეობრივის თვისებისა, რომელიც ცხოვრებაში დიდს ღირებულებას წარმოადგენს: ა) ხალხთან და ნივთთან შეგუების ხელოვნება, თავისი ცოდნის შემოფარგვლა, კაცთა ძალთაგან და ნივთთა თვისებათაგან შეუძლებელისა და შეუსრულებელის არ ნდომა და ბ) როცა ბავშვი ან ადამიანი თავის ძალაში დარწმუნებულია, იცის რა სწადიან, საითკენ მიისწრაფვის მისი გონება, მთელს თავისს ძალასაც იქითკენ მიჰმართავს, რომ საწადელს დარწმუნებით მიაღწიოს“. ამ სახით ჩვენ ვხედავთ, რომ სულის ამ თვისებათა აღზრდა ნამდვილი აღზრდაა ნებისა და ზნეობისა. ასეთის აღზრდისათვის უკეთესი საშუალება, გარდა ხელგარჯილობისა, არ არსებობს.

ხელგარჯილობა ერთი იმ საშუალებათაგანია, რომელიც სწავლებას ბავშვის ბუნებას უახლოვებს—ე. ი. ზრდის ბავშვის ფიზიკურსა და სულის თვისებებს, უვითარებს ინტელექტუალურსა და ნებიყოფის ინიციატივას, ხელს უწყობს პიროვნების აღზრდას, აცნობს საზოგადოებრივს შეგნებას, რაც კი შესაძლებელია ბავშვის ასაკში. ხელგარჯილობას ბავშვი შეჰყავს ფიზიკურ რეალ ცხოვრებაში, იგი აძლევს ბავშვს საკუთარ აზრის გამოთქმის საშუალებას, აკმაყოფილებს ინტელექტუალურს და მეხანიკური შემოქმედების მოთხოვნისა და უნერგავს გულში საზოგადოებრივს მიდრეკილებასა და სიმპატიას. დიუი განსაკუთრებით დიდს ყურადღებას აქცევს ხელგარჯილობას, როგორც ფაქტორს საზოგადოებრივის აღზრდისას, რადგანაც სხვა და სხვა მასალაზე პრაქტიკული მუშაობის მიზნად საზოგადოებრივი შეჩვევა, განვითარება და ცოდნის შეძენაც სჩანსო. ხელგარჯილობას სისტემაში მოჰყავს ყოველგვარ მექანიკური მუშაობის ბუნებრივი პროცესის განვითარება, რომლის საფუძველზედაც დამყარებულია მუსკულებისა და ორგანოების თანდათან გართულებული კოორდინაცია. ამნაირად ხელგარჯილობა ბავშვის პიროვნების ფიზიკურს მხარეში ადამიანის ჰარმონიულად განვითარების სხვა და სხვა პრინციპს ახორციელებს. მაგრამ ხელგარჯილობის მნიშვნელობა არც ამით თავდება; თანახმად აწინდელის ფიზიოლოგებისა და ფსიხოლოგების გამოკვლევისა ხელგარჯილობას მრავალ გვარი გავლენა აქვს ბავშვის მთელს არსებაზე: იგი უვითარებს ნებას, გულისყურს, აზროვნებას, საგნის სინამდვილით შეგნებას, ზრდის სოციალურსა და ზნეობრივს პიროვნებას.

ადამიანში ყველაზე უფრო მისი დამახასიათებელი ის არის, რაც მისს პიროვნებას გვიხატავს, რაც მისს პრაქტიკულსა და ზნეობრივს ღირებულებას საზღვრავს. ეს, უეჭველია, ნებაა. ნება ადამიანის ზნეობრივის, გონებრივის, ესთე-



ტიურისა და პრაქტიკულ მხარეთა სინტეზია. »ნება—ფუნტის აზრით—მღიერ დაფარული ჩვენი არსებობის იგივეობითი სამკვიდროა“. ხელგარჯილობა ყოველთ უწინარეს ბავშვის ნებას ავარჯიშებს და ზრდის. მაგრამ ხელგარჯილობა მარტო ნებაზე გავლენით არ განისაზღვრება, იგი ისეთს ელემენტებსაც შეიცავს, რომელთაც ბავშვის გონებაზედაც დიდი გავლენა აქვს: ხელგარჯილობა აწესრიგებს და უვითარებს ბავშვს ფიქრს, აზროვნებას, საგნების განხილვას და სხ. სკოლა ხელგარჯილობის სწავლებით ახორციელებს წმინდა **აღმზრდელობითს, პედაგოგიურს** მიზანს, აერთებს სხვა და სხვა საგნების ცოდნას (არითმეტიკა, გეომეტრია, ფიზიკა) პრაქტიკულს მუშაობასთან.

ხელგარჯილობა აკმაყოფილებს ბავშვის მისწრაფებას მოქმედებისა და შემოქმედებისაკენ, უვარჯიშებს მას ხელებს და ფიზიკურს ძალებს, აჩვევს დამოუკიდებლობას, პრაქტიკულ მოხერხებულებას, თავის შეგლას, უვითარებს ნებისყოფას, გულსიყურს, შნოიანობის ნიჭს, აყვარებს და აჩვევს პატივისცემით მოეპყრას ყოველგვარ პრაქტიკულს საქმეს; შრომის შეჩვევას კი საზოგადოების ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამ შრომაში ყალიბდება ადამიანის სულის უსაჭიროესი ნიჭი—ნება; დროზე მუშაობა, ზოგჯერ პასიურად ყოფნა, ბევრჯერ კჳერა და ყულისგდება, ყველა ეს ნებისყოფაზეა დამოკიდებული.

თუ სკოლა საერთოდ საზოგადო შრომის დასაწყისს საფუძვლად გაიხდის, მოზარდი თაობაც შავი ფიზიკური შრომისადმი სიყვარულით, ხალისით და პატივისცემით აღიჭურვება და აწინდელს აღზრდის მიზანსაც ადვილად მივალწევთ. პედაგოგიურად მოწყობილი ხელგარჯილობა გონებრივისა და ფიზიკურის განვითარების გარდა ბავშვის ყოველმხრივ ჰარმონიულად განვითარებასაც და სკოლის ცხოვრებასთან დაახლოვებასაც ხელს შეუწყობს. ასეთს სკოლას მოწაფენი საზოგადოების ისეთს პირობებში შეჳყავს, რომელშიაც თვითოეულს მათგანს მოელის ცხოვრება და საზოგადო ასპარეზზე მუშაობა.

ადამიანი მარტო გონიერი და მეტყველი არსება კი არ არის, იგი იმავე დროს უფრო მომქმედი და ნებით დაჯილდოვებული არსებაა. **მოქმედებისა და შემოქმედებისაკენ** მისწრაფება ყველაზე უფრო ბავშვებს აქვსთ. ისინი უფრო მეტს აკეთებენ, მუშაობენ, ფათურობენ და ნაკლებ ფიქრობენ. აწინდელი სკოლა ბავშვის გონების განვითარებისათვის თითქოს ბევრსაც ზრუნავს, მაგრამ ბავშვის ბუნებრივის უძვირფასესის თვისებით, ბუნებრივის ნიჭით,—მოქმედებისა და შემოქმედებისაკენ მისწრაფებით სრულიად არ სარგებლობს. ახლანდელს სკოლაში ყმაწვილის სწავლაში წარმატება მისს მეხსიერებაზეა დამყარებული. ამის წყალობით ზოგი შესანიშნავადაც ზეპირობს, მაგრამ ამ ბრწყინვალე გარეგნობაში ქიანნი გული სჩანს. ასეთი ცოდნა უმოქმედოა, ყველასთვის უცხოა, არც ნამდვილი გონების განვითარება სჩანს. მსჯელობა სუსტი, მოწაფე უძლოურია ყველგან, სადაც კი მარტო თავის ამარად ყოფნა მოელის. ყველა ეს იმისი ბრალია, რომ ყმაწვილის ბუნების ძირითადი ძალები უყურადღებოდ რჩებოდა და ამ ძალებმა მიიძინეს კიდევ. ჩვენს პედაგოგებს მოწაფის ნების, ხასიათისა და ფიზიკური ძალების განვითარება ნაკლებ აინტერესებთ. მთელი ყურადღება დღევანდელ სკო-



ლაში მოწაფის აზროვნების ნიჭის განვითარებისკენ არის მიქცეული. ამას, როგორც არა ერთხელ შეუნიშნავთ, შედეგად გონებრივი მოქანცულობა, განკაფულება მოჰყვება, ე. ი. გარეგან გრძობათა დაუძღურება და მათი პერიფერიის ნერვების მოდუნება. ერთად ერთს ხელგარჯილობას შეუძლიან გრძობითი მიმდობისა და ორგანოთა აქტიური მოქმედების მუდმივის თანდათან განვითარებით აღმოფხვრას სკოლებში უკვე დამყარებული ცალმხრივობა. ხელგარჯილობა ზოგად განვითარებას ხელს უწყობს, იგი მოითხოვს სხეულის მოძრაობას, იწვევს მუსკულეების მუშაობას და ამით სასიკეთო გავლენა აქვს მოწაფის ჯანმრთელობაზე. ცნობილი პედაგოგი კ. ცირული \*), რომელიც ზედმიწევნით მცოდნეა ხელგარჯილობის საკითხისა, როგორც პრაქტიკულად, ისე თეორიულადც, ამბობს: „პრაქტიკულად მუშაობის დროს სასხლი სწრაფად მოძრაობს, სუნთქვა სრული და ღრმაა, რაც იწვევს მადას და მთელი სხეულის ძლიერსა და ნორმალურს მუშაობას. ხელგარჯილობის დროს მონაწილეობას იღებენ არა მარტო ხელის მუსკულეები, არამედ მთელი სხეულის კუნთების ჯგუფიც დახმარებას ეწევა. წმინდა გონებრივი მუშაობა სისხლს თავის ტვინისკენ გზავნის, ფიზიკური მუშაობა კი ჯერ სისხლს მომქმედ მუსკულეებისკენ და ფილტვებისკენ ერეკება. ამ მხრივ ეს უკანასკნელი სამუშაო ნამდვილ შემამსუბუქებელია აზროვნების ორგანოს — ტვინის მუშაობისა, იგი ამშვიდებს სასკოლო მუშაობით დაღლილ-დაქანცულს ტვინს. ჩვენს ნერვებ აშლილს დროში ხელგარჯილობა აუცილებელი საშუალებაა, რომელიც აღადგენს სულსა და სხეულს შორს დარღვეულს სწორწონაობას. ხელგარჯილობა სასიკეთო ცვლილებას შეჰქმნის გონებისა და სხეულის ძალდატანებაში, სასწავლო მასალის პასიურად შეთვისებაში და თავისუფალ თვითმოქმედებაში, მუდმივს ჯდომასა და ცოცხალ მოძრაობაში. მუშაობასა და სხეულის სხვა და სხვა ორგანოთა წესიერს მოქმედებას ყოველთვის მშვიდობიანი და საღი ძილი მოჰყვება ხოლმე. ექიმების მოწმობით ნერვების მოქანცულობა და ცუდი ძილი ეკარგებათ ბავშვებს ძალისებრივი წესიერი მუშაობით, ხელგარჯილობით. დასვენების შემდეგ, მეორე დღეს ბავშვები ისევ ხალისით და წარმატებით ჰკიდებენ ხელს ახალს სამუშაოს. ამას გარდა ექიმებსა და ყველას, ვისაც თვალყური უდევნებია ხელგარჯილობის წესიერად სწავლებისათვის, შეუნიშნავთ, რომ ამ საგნის სწავლებით ყველა გარეგანი გრძობა, განსაკუთრებით მხედველობა, შეხება და მუსკულეების გრძობა ბავშვებს ნორმალურად უვითარდებათ, მათ არ იკიან არც მოქანცულობა, არც ისეთი სიბეცე ეტყობათ, როგორიც წინად ექიმებს არ ერთხელ შეუნიშნავთ. ეს ჰიგიენური მოსაზრებანიც თავისთავად, განუმარტებლად, ცხადად ამტკიცებენ ხელგარჯილობის მნიშვნელობას პედაგოგიურის თვალსაზრისით“.

ხელგარჯილობა აჩვენებს ხელს სიმარდეს ყოველგვარ ფიზიკური მუშაობის დროს. მუშაობაში ხელი ყველაზე უფრო საჭიროა. ადამიანის კულტურული

\*) Ручной трудъ въ общеобразовательной школѣ. თავი I გვ. 4—10.




განვითარება მაშინ დაიწყო, როცა ხელ-ფეხ შორის შრომის განაწილება აღორძინდა. როგორც ადამიანის თანდათან კულტურული განვითარება გვამცნევს, ხელი წინად ადამიანს სხეულის სწორად დაქერას ჰშველოდა, ერთმანეთთან პასუხის მიმცემი ორგანო ხელი იყო, შეგრძნობისა და შეხების ორგანოდაც ხელი ითვლებოდა, პირველ ბუნებრივს ზომას ხელის საშუალებით აწარმოებდნენ, მრიცხველობის საფუძველიც ხელიდან გამომდინარეობდა. დასასრულ კი ხელი გახდა იარაღად სხვა და სხვა მუშაობისა და ბოლოს— შემოქმედებისა. ხელის თანდათან განვითარებასთან მაგრდებოდა და იზრდებოდა აგრეთვე ადამიანის სულის ძალაც. აქედან სჩანს თუ, რა მჭიდრო კავშირი ყოფილა ადამიანის ხელსა და მისი გონებრივს თვისებათა შორის. საგულისხმოა ამ მხრით ხელის ანატომიურ-ფიზიოლოგიური აგებულება, რომელსაც კ. ცირული ასე აგვიწერს; თვითოეულს ხელში ანატომ-ფიზიოლოგების სიტყვით 27 ძვალია, 80 გადასაბმელი ხმელი ძარღვი და 40 მუსკული. თითების ბოლოში აუარებელი პაწაწა სხეულებია, ნერვების ბოლო. თითო ოთხკუთხ მილიმეტრზე—30. ეს რიცხვი თითების ბოლოდან თანდათან მცირდება, მაგ. მეორე სახსარში—26-ია, მესამეში—20 და ხელის გულზე ერთს ოთხკუთხს მილიმეტრზე 12 ნერვია. მაშასადამე ადამიანის ხელი ისეთი სრული და საოცარი მანქანაა, რომლის მსგავსი იშვიათად თუ ექნება რომელსამე სხვა ქმნილებას“ \*).

თვისი აგებულობის მიხედვით ადამიანი თითქმის ვერც ერთს მოძრაობას, ვერც ერთს სამუშაოს უხელოდ ვერ აკეთებს. ამბობენ ქვეყანაზე მოქალაქეთა ცხრა მეათედი თავისი ხელით იძენს ლუკმა პურსო. ეს მართალი თქმულება მართო სოფლისა და ქალაქის მუშებს კი არ გულისხმობს, არამედ ისეთებსაც, ვინც მეცნიერებასა და ხელოვნებას ემსახურებიან. ტექნიკოსების, ინჟინერების, ხელოვნების, მხატვრების, მუსიკოსებისა და სხვების არსებობაც უმთავრესად განვითარებულის და მარდი ხელით არის უზრუნველყოფილი.

ხელი, ეს ადამიანის უძვირფასესი ორგანო, ბავშვობისას განვითარდება სისტემატიური ვარჯიშობით, მიზანშეწონილის შრომით; სკოლის ამ დანაკლისს შემდეგში ვერ შევავსებთ. მოსწავლეებმა სკოლაშივე უნდა შეითვისონ ტექნიკური და სახელოსნო ანბანი წერა-კითხვასთან და არითმეტიკასთან ერთად, მიუხედავად იმისა თუ მოწაფე რა სპეციალობას აირჩევს ბოლოს, ხელგარჯილობა დიდათ საჭიროა როგორც კერძო პირებისთვის, ისე საზოგადოებისა და მთელი ერისათვის, საჭიროა კარგ მშრომელთა რაზმის მომზადება, რომ ერი არ დამარცხდეს საერთაშორისო შრომის შეჯიბრებაზე; ამ სახით ხელ გარჯილობა ეროვნულ საკითხანაც არის დაკავშირებული. საჭიროა მასის გრძობათა ლამაზ ფორმებში აღზრდა და ესთეტიური განვითარება.

დღეს თითქმის ყველა მექანიკურს სამუშაოს მანქანა ასრულებს, მით უფრო საჭიროა მეტი ყურადღება იმ პიროვნებითი ხასიათის სამუშაოს მიექცეს, რომელიც ხელოვნებით განისაზღვრება და რომელიც დღესაც მხოლოდ სწორი თვა-





ლითა და გამოცდილის ხელით სწარმოებს. ესეც ხელგარჯილობის პედაგოგიურს მნიშვნელობასა და მისს საჭიროებას ამტკიცებს სკოლებში, სადაც დღეს-დღეობით, პედაგოგიურად სწავლებას მოუწყობლობის გამო, მრავალი ნიჭიერი ყმაწვილი იღუპება, რომლებიც, სხვა პირობებში ფართო განვითარებასაც შეიძენდნენ და თავისთვინ და საზოგადოებისთვისაც სასურველი და სასარგებლო წევრნი შეიქმნებოდნენ.

ცხოვრებაში პრაქტიკულ მუშაობისათვის მომზადების მაგიერ აწინდელი სკოლა, სამწუხაროდ, სისტემატიურად აშორებს მოწაფეებს ცხოვრების რეალ ინტერესებს. ჩვენს სკოლებში ამ ჟამად ცოტად თუ ბევრად პრაქტიკულის ნიჭით დაჯილდოვებულნი მუშავნი კი არა, უმეტესად ხელსუფთა, მუშაობის უნარ მოკლებული თაობა იზრდება. ყველა საშუალებათა შორის ხელგარჯილობის სწავლებას შეუძლიან სკოლა აიყვანოს მისი ბუნებრივი დანიშნულების სიმაღლემდე — მოწაფის სიცოცხლის ყველა ძალებისა და ნიჭის ჰარმონიულად განვითარებამდე. ხელგარჯილობა არის *imum fundamentum* ყოველგვარ მოქმედებისა, რომელ დარგსაც უნდა ეხებოდეს იგი.

**დიდებული პედაგოგები კომენიუსი და პეტალოცი, ფრებელი და ჰერბარტი ხელგარჯილობის შესახებ.**

ხელგარჯილობის მნიშვნელობა სკოლებში აღნიშნული აქვს ყველა წარჩინებულს პედაგოგებს. ცნობილი

დიდებული პედაგოგი კომენიუსი მეჩვიდმეტე საუკუნეში, თანახმად თვისი პედაგოგიურის შეხედულობისა, მოითხოვდა ბავშვების წაქეზებას „მექანიკურს მუშაობაში“. „დეე, ბავშვები ჰბაძავდნენ ქიანტველებს, რომლებიც აქეთ-იქით დაცოცავენ, მიაქვთ რამე, მიათრევენ, აწყობენ, ალაგებენ, ბავშვებს მხოლოდ უნდა დაეხმარნენ, რასაც კი აკეთებენ, გონივრულად გააკეთონ. აღამიანს, რამდენადაც შესაძლებელი იქნება, უნდა ასწავლიდნენ არა წიგნებიდან, არამედ ცისა და ქვეყნისადმი დაკვირვებით, მუხისა და წიფლის გაცნობით, ე. ი. მან უნდა გამოიკვლიოს და შეისწავლოს თვითონ საგნები და არა მიიღოს მხოლოდ სხვისი დაკვირვებანი და სიტყვები ნივთთა შესახებ“. კომენიუსის ასეთს შეხედულობაზე დამყარებული დაკვირვებითი სწავლება ხელგარჯილობის საშუალებით. კომენიუსივე თხოულობს, რომ ბავშვებმა თავიანთი აზრი სიტყვებითაც გამოსთქვან და ხელის საშუალებითაც გამოხატონ; კომენიუსის აზრით საჭიროა სკოლა სახელოსნოთ იქცეს, სადაც გაცხარებული მუშაობა იქნება, რადგანაც „აღამიანი ქემარტიტ არსებობას მხოლოდ საქმიანობით, მუშაობით აღწევს“.

მე XVIII საუკუნეში პეტალოცი ცდილობდა სწავლების მუშაობასთან შეერთებას, ცდილობდა სკოლასთან სახელოსნოც მოეწყო და ბავშვებისათვის მუშაობა ესწავლებინა. პეტალოცი ეძებდა ფიზიკური განვითარების „ანბანს“, რომელიც ხელს შეუწყობდა ბავშვის გონებრივსა და ზნეობრივს განვითარებას. საქმიანობა, მუშაობა თავის თავად არ ჩნდება, ისიც სწავლის შედეგია, ეს სწავლა კი, პეტალოცის აზრით, „ხელოვნების ანბანის“ ღრმა მექანიზმზე უნდა იყვეს დაფუძნებული, რომ ეს ნიჭი ვარჯიშობით, აღვილიდან მოძნელობედ გადასვლით,



განვითარდეს. ცოდნა მოქმედებისა, მუშაობისა ადამიანის მთელი არსებობა. ცოდნით ადამიანი ყველაფერს მიაღწევს, რასაც მისი განვითარებული გონება და ვაკეთილშობილებული გული მოითხოვს“. ამ სახით დიდებულ პესტალოცის ცხადად ჰქონდა წარმოდგენილი ბავშვებისთვის სწავლა-აღზრდაში ხელგარჯილობის მნიშვნელობა \*).

ყველამ იცის, თუ რა დიდი ადგილი უჭირავს ხელგარჯილობას ფრებელის სისტემაში. საბავშვო ბალები მთლად ამ სისტემაზეა აგებული. ფრებელის სისტემით ხელგარჯილობას მიზნად აქვს ბავშვის სულის ნიჭის განვითარება და დადებითი ცოდნის გადაცემა

ჰერბარტის აზრით ხელგარჯილობა ჩინებული საშუალებაა, რომ მთელი საკლასო სწავლება თვალსაჩინოდ მოეწყოს.

**ხელგარჯილობა ევროპის სხვა და სხვა წარსულ საუკუნეში ხელგარჯილობის სახელმწიფოებში და ამერიკაში.** ბის სწავლებამ დიდი ნაბიჯი წარსდგა

წინ ფინლანდიის სკოლებში ცნობილის უნო ციგნეუსის მეთაურობით. ხელგარჯილობის საკითხში ფინლანდიამ წინ გაუსწრო მრავალ სახელმწიფოებს.

გერმანიაში მთელი საზოგადოება სდგას ხელგარჯილობის მოძრაობის სათავეში („Deutsches Veriein für Knaben handarbeit“ „გერმანიის კავშირი ბავშვთათვის ხელგარჯილობისა“), რომელმაც ლეიპციგში თავისი სემინარია დაარსა, სადაც ხელგარჯილობის სწავლებას განსაკუთრებულ ყურადღებით ეპყრობიან. ლოზუნგი გერმანელებისა ხელგარჯილობაში ამ სიტყვებით გამოიხატება:

„Bilde das Auge, übe die Hand

Fest wivd der wille schartwivd vestand“

(„ავარჯიშე ხელი, განავითარე თვალი, ძლიერი იქნება ნება, გამჭრიახი გონება“)

შვეციაში ხელგარჯილობის მეთაური იყო ოტტო სალომანი. მისი ნესკის სემინარია ხელგარჯილობის სწავლებითაც ცნობილია უცხო ქვეყნებშიაც. ოტტო სალომანის სისტემით ხელგარჯილობა მისდევს ყოველგვარ ხელით სამუშაოს და ადგილობრივი ნაწარმოების შემუშავებას. ასეთი მისწრაფება წმინდა ეროვნულ-ეკონომიურია.

\* ალსანიშნავია, რომ საშუალო საუკუნეებში, როცა დასავლეთ ევროპაში სახალხო სკოლებში მხოლოდ 10 მცნებას, მამაო ჩვენოსა, დავითნსა და კატეხისმოს აზებირებდნენ და არავითარი წარმოდგენა რეალ საგნებისა არ ჰქონდათ, ვიდრე ბეკონი, მონტენი, კომენიუსი და ლოკი არ გამოვიდოდნენ არსებული სასკოლო წესების წინააღმდეგ საბრძოლველად, საქართველოს დაბალს სკოლებში, რომელიც თავისი კურსით აღემატებოდა დღევანდელს სასულიერო სასწავლებლებს, ასწავლიდნენ ხელგარჯილობასაც—, „მწიგნობრობას. ხუცურის წერას. ეტრატის შექმნას, წიგნის შეკვრას, მხატვრობას (სწორედ ხატის წერასაც) მკერვალობას, ტყავის კერვას, ხუროვნობას, კონობას, მაზმანობას (ბალნის მქსოველობას), კალატოზობას და „ყოველსავე სოფლიოჲსა მუშაობასა“ (ტყავის ხელთნაწერი





ნესკის სისტემა ხელგარჯილობას უსაჭიროებს იარაღად სთვლის ფორმალურად განვითარებისათვის; იგი მიზნად ისახავს ბავშვის შრომისადმი ხალისი და სიყვარული გაუღვიძოს, შეაჩვიოს საზოგადოთ ხელით მუშაობას, განუმტკიცოს ჩვეულება დამოუკიდებლობისადმი, მიაჩვიოს წესიერებასა და სისწორეს, განუვითაროს გულისყური, ბეჯითობა და ხასიათის სიმტკიცე.

წარსულ საუკუნის 80 წლებიდან ხელგარჯილობა დიდს ყურადღებას იქცევს ამერიკის შტატებშიაც. როგორც ფაქტორს ზოგად განათლებისას ხელგარჯილობას არსად ისეთი ფასი არ აქვს, როგორც ამერიკაში. ამ საგნის შემუშავებას, მისი ბავშვის ბუნებასთან შეკუებას, სასკოლო სწავლების მოთხოვნილებების მიხედვით არსად იმდენს ყურადღებას არ აქცევენ, როგორც ამერიკაში. იქ ურიცხვი საზოგადოებაა, რომელიც ხელგარჯილობის იდეის გავრცელებას ემსახურება; იქვე გამოდის მრავალი ეურნალი, რომელიც ხელგარჯილობის საკითხის ყოველმხრივ შემუშავებას ისახავს მიზნად.

1882 წლიდან ხელგარჯილობა, როგორც სავალდებულო საგანი, შემოღებული იქმნა საფრანგეთის სკოლებშიაც.

ხელგარჯილობის შემოღებას სკოლებში სხვა და სხვა ადგილს, სხვა და სხვა აზრი ჰქონდა. მაგრამ ამ საკითხშიაც ყველგან ევოლუცია ჰხდებოდა. თავდაპირველად ხელგარჯილობას იმ თვალსაზრისით უყურებდნენ, რომ სახელმწიფოში სამრეწველო განათლება გაეგრძელებინათ. შვეციაში აზრად ჰქონდათ მკოდნე მუშა ხელის განვითარება წარმოებაში და მათი ტექნიკური განათლების ამაღლება. ამასთან, რასაკვირველია, საზოგადო განვითარებაც მხედველობაში ჰქონდათ, რასაც კი ხელგარჯილობა იძლევა, მაგრამ ზოლო ხანებში ყველგან საზოგადო განვითარებას, ზოგად განათლებას პირველს რიგზე აყენებენ. გერმანელი ცნობილი პედაგოგი კერშენშტეინერი, მიუნხენის სახალხო სკოლების დირექტორი და ავტორი მრავალი თხზულებისა სკოლების რეფორმის შესახებ და სხვა საუკეთესო აწინდელი ცნობილი პედაგოგებიც ხელგარჯილობას სხვა სასწავლო საგნების მასალებს უკავშირებენ. კერშენშტეინერი ამბობს: „ჩვენ ორგანიულად უნდა შევეყვართოთ პრაქტიკული მუშაობა საზოგადო გეგმას, თანდათან უნდა ვცდილობდეთ, რომ სახელოვნოები, ლაბორატორიები, სამხატვრო დარბაზები, სკოლის სამხარეულო, სკოლის ბაღი და სხვა კენტროდ გარდაიქმნენ სასკოლო სწავლებაში და თეორიული საგნები შეძლებისადაგვარად მას დაეუკავშიროთო“ — ამავდროს უნდა დავიცვათ სასწავლო საგნის მოთხოვნილება, დამყარებული აწინდელი პედაგოგიკის პრინციპებზე, რომ ყველა სასწავლო მასალაში, რასაც მოწოდებებს აწვდიან, ორგანიული ერთობა იყვეს დაცული. ყველა ცოდნა, რასაც ერთი დარგიდან იძენენ, მეორე დარგის ცოდნას უნდა უკავშირდებოდეს და ამავრებდეს მას“.



ხელგარჯილობას ნიმუშები  
ჩვენს სკოლებში.

ჩვენშია ამ ბოლო დროს ახლანდელი სწავლო ოლქის მზრუნველის თაოსნობით ცდილობენ რაღაც ხელგარჯილობის მსგავსი სავარჯიშოების შემოღებას. ეს არის კალათების წნვა და ინდოეთის ლერწმის ჩალამ-კალამის ავეჯის კეთება. ეს ცერთგვარი დარგია ხელგარჯილობისა, მაგრამ საპართლიანად შენიშნავენ მკოდნე პირები და გამოცდილი პედაგოგები, რომ ისეთი სამუშაო, რომელსაც ბავშვი დამოუკიდებლად და სინამდვილით ვერ შეასრულებს, სასკოლო კურსიდან განდევნილი უნდა იქმნესო. ასეთ შეუფერებელ სავარჯიშოთ გამოცდილი და ცნობილი პედაგოგი ოტტო სალომანი სცნობს კალათების წნვას. მისი აზრით ასეთი სამუშაო დასაწყისი სკოლის ბავშვების ძალღონეს აღემატება, მათ არ შეუძლიათ დასაწნავ კალათს ლამაზი სახე და მოდელის შესაფერი ფორმა მისცენ. გამოცდილებამ დაგვანახვია, ამბობს სალომანი, რომ არ არის არც ერთი ბავშვი, რომელსაც დამოუკიდებლად და კარგად შეეძლოს თითქმის რიგიანი კალათის დაწნვა. ამას გარდა—მისივე აზრით, კალათების წნვა დიდ დროსაც თხოულობს და ამ სამუშაოს დროს არც შეიძლება ნამდვილის წესისა და სინამდვილის დაცვა, ეს სავარჯიშო აღმზრდელიობით მნიშვნელობას მოკლებულია; იგი არ შეუფერება მოწაფის ძალის თანდათან განვითარებას, თავიდანვე ძნელია: მუდამ თითების გაქიმვა ტკივილებს იწვევს. კალათის წნვა დამჯდარი შეიძლება, თუ ფეხზე ადგომით იმუშავებს, დასაწნავი კალათა ლაჯებში უნდა დაიჭირონ, დაიკუზონ და ისე იმუშაონ, რაც წინააღმდეგია მომუშავის ნორმალური მდგომარეობისა \*).


ამ სახით ჩვენში აზრი ხელგარჯილობისა სახალხო სკოლის მასწავლებელთა შორის მაინც უცნობი არ უნდა იყვეს, თუმცა ეს აზრი, როგორც სჩანს, სისწორით არ ესმის მის მოთავეს. იმ მასწავლებლებშია, საიდანაც მასწავლებლები გამოდიან, თითქოს ხელგარჯილობასაც კი ასწავლიან, მაგრამ მისი სკოლებში შემოღება და ცხოვრებაში გატარება იშვიათად თუ სადმე ხერხდება და ეს იმის გამო, რომ ეს საგანი ჩვენში პედაგოგიურის თვალსაზრისით გაზომილი არ არის, და არც არავითარი მიზანშეწონილი პროგრამა არსებობს ამ საგნისა და ისე უყურებენ მას, როგორც არასავალდებულო საგანს, მაშინ როდესაც აწინდელისა და ყველა ძველი ცნობილი პედაგოგების აზრით, რაც მოწინავე ქვეყნებში უკვე განხორციელებულაა, ხელგარჯილობა კენტრია, რომლის გარშემო ტრიალებენ სხვა მასწავლო საგნები.

ცხადია, რომ დღევანდელი ჩვენებური სახალხო სკოლა ძირითადად ცვლილებას, განახლებას მოითხოვს. ეს განახლება კი უნდა მოხდეს არა იმ გზით, რომელსაც ზოგიერთები გვიჩვენებენ ე. ი. საპროფესიო განათლების დარგის შეტანით სკოლაში, არამედ ახლანდელი წიგნური სკოლის შრომის სკოლად გარდაქმნით და პედაგოგიურის მიზნით ხელგარჯილობის სწავლების შემოღებით.

თუ ჩვენებური კულტურულ საზოგადოებათა კავშირი თავის ნათესავი შეძლების კვალობაზე მიზნად ქართული სკოლების განახლებას დაისახავს, იგი უნდა

\*) კ. ცირული, გვ. 85—86.





შეუდგეს შრომის სკოლის პრინციპების თანდათან განხორციელებას, რასაც შედეგად მოჰყვება გონებითა და ჯანღონით განვითარებული, საჭირო ცოდნით აღჭურვილი და სულით ძლიერი შთამომავლობა.

## V

**სკოლის განახლების  
საშუალებანი.**

ახლა საკითხია თუ რა საშუალებითა და რა გზით შეუძლიან საზოგადოებას თანდათან განხორციელოს ის უტყუარი პედაგოგიური პრინციპები, რასაც აწინდელი ცხოვრება სასკოლო საკითხში გვიკარნახებს და რა გზით შეიძლება ქართული სკოლების განახლება?

პირველ ყოვლისა საზრუნავია მასწავლებლის საკითხი და მისი მომზადება ისე, რომ მან ნამდვილი მასწავლებლობა გაუწიოს სახალხო სკოლას. მოგვხსენებთ, რომ დღევანდელს მასწავლებლებს, მთავრობის საოსტატო სემინარიაში და ინსტიტუტში აღზრდილებს, არ აქვთ ისეთი სასურველი მომზადება, რომ შრომის სკოლის პრინციპები სასურველად განხორციელონ და ხელგარჯალობის გაკვეთილებიც ნაყოფიერად აწარმოონ სკოლებში. ამას გარდა ისიც უნდა აღვიპროთ, რომ მთავრობის სასწავლებელში აღზრდილნი მასწავლებლნი, როგორც მოუმზადებელნი ეროვნულს საკითხში, ვერ შესძლებენ ჩვენს სკოლას სასურველი ეროვნული სული შთაბერონ და განახლების გზაზე დააყენონ. მაშასადამე საჭიროა ქართველმა ერმა თვითონ იზრუნოს თავის თავზედ ისეთი სასწავლებლის დაარსებით, რომელიც დროს შესაფერად მომზადებულს მასწავლებლებს მისცემს სახალხო სკოლას.

მართა დასაწყისი სახალხო სკოლაზე შეჩერებაც ცოტაა. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ უმაღლესი დასაწყისი სკოლების შესახებაც, რომელთა რიცხვი ქალაქად და დაბა-სოფლად დღითი დღე მატულობს. ასეთ სკოლებში მასწავლებელთა უმრავლესობა უცხო ტომის ხალხია, რომელთაც არ იციან არც ადგილობრივი ენა, არც ხალხის ზნე-ჩვეულება. რასაკვირველია მათი გავლენა არც მოწაფეებზე და არც ადგილობრივს მკვიდრზე ისეთი ირ იქნება, როგორიც უნდა იყვეს და როგორიც სასურველია. თუ რა მოსაზრებით არის გამოწვეული ასეთი არანორმალური მოვლენა ჩვენი სკოლების ცხოვრებაში, ან რა მიზეზით ერეკებიან ქართველ მასწავლებლებს უცხო ქვეყნებში და უცხოელებს ჩვენში, ან რა მიზეზით უხშვენ კარებს ქართველებს საოსტატო ინსტიტუტში, ან სად და როგორ გაჰქრა ქართველებისათვის დანიშნული სტიპენდიები ტფილისის საოსტატო ინსტიტუტში, ეს ყველა კარგად მოცხსენება ქართველ საზოგადოებას. ცხადია, რომ დღევანდელს პირობებში საჭიროა ყოველგვარი უკუღმართობის წინააღმდეგ კანონიერის გზით ბრძოლა და ამ ბრძოლის საშუალებად კერძო საკუთარი ქართული საოსტატო სემინარიისა და ინსტიტუტის დაარსება უნდა იქმნეს ალსარებული.

ჩვენში საოსტატო ინსტიტუტის და სემინარიის საშუალების მართა ადვილათ მოეწყობა, თუ შემდეგი მოსაზრება მიღებულ იქნება: ჩვენ გვაქვს ოთხი კერძო კლასიკური გიმნაზია. ოთხი მეთქი, ვამბობ იმიტომ, რომ ქუთაისში და



საგან შესდგება. როცა უკვირდები ამ გიმნაზიების ცხოვრებას და ჰხედავ, რომ პირველი კლასის 50 მოწაფიდან მერვე კლასამდის 8—10 ძლივსა მიდის, და ნარჩენი 40 ე. ი. 80% შუა გზაზე რჩება უგზო უკვლოდ, ან იძულებულია სწავლა მიატოვოს და ცხოვრებაში სრულიად მოუშვადებელი შევიდეს, უნებლიეთ დაგაფიქრებსთ ეს მოვლენა, რომელსაც ქართველ ყმაწვილების უნიჭობით ვერ ახსნით, არამედ იმ რთული და შეუფერებელი პროგრამით, რომელიც გამეფებულია საზოგადოდ კლასიკურს გიმნაზიებში, იმ ფართო მოთხოვნებით, რომელსაც მთავრობა უყენებს კერძო გიმნაზიებს, იმ სიძნელით, რომელსაც წარმოადგენს უცხო ენაზედ სწავლება და გამოცდების ჩაბარება და უფრო კი ჩვენი საზოგადოების კლასიკური განათლებისადმი ბრმა მისწრაფებით.

რომ კლასიკურ განათლებას ჩვენშიაც განუსჯელად სხვისი ფეხის აყოლით მიჰყვებიან, ეს საეჭვო არ არის. ამ ჟამად კლასიკურს განათლებას უფრო განათლებულს ქვეყნებშიაც აღმაცერად უცქერაინ. საჭიროდ მიმაჩნია ამ საკითხის გამო მოვიყვანო ზოგიერთი ადგილები გერმანელ ცნობილ პროფ. დ-რი ლ. გურლიტის ნაწერებიდან (Pr. f. D-r. Ludwig Gurlitt); გურლიტტი თვითონ ფილოლოგ-კლასიკია და კლასიკურ გიმნაზიებს უარყოფითად უყურებს \*).

„ცხადიაო, ამბობს ბ-ნი გურლიტტი, — რომ კლასიკური კულტურა იყო უმეტესად საფილოსოფო და სარიტორიკო. აწინდელი კულტურა ემყარება ბუნების მეტყველების მეცნიერებას. თვითოეულმა აწინდელმა კულტურულმა სკოლამ თვალი უნდა აუხილოს მოწაფეს და დანახვოს, რომ ბუნების სიცოცხლე და საკუთარის კანონით მიმდინარეობს და ყოველი კაცობრიული სიცოცხლე და კულტურა, რომელიც თავის თავად ნაწილია ამ ბუნებისა, ბუნების თავისებურ სიცოცხლეზე, მისდამი დაკვირვებაზეა გადაბმული და დამოკიდებული. ამიტომაც სწავლების ძირითადს საგანს აწინდელს სკოლაში ბუნების შესწავლა უნდა შეადგენდეს. ამას ეკუთვნის ენის შესწავლაც, მაგრამ არა უცხო ან ძველი ენისა, არამედ დედაენისა, როგორც იარაღისა, რომლის საშუალებითაც ჩვენ შეგვიძლიან ჩვენი დაკვირვებანი სხვას გავუზიაროთ. ძველი ენებისა და ანტიური კულტურის შესწავლას მხოლოდ მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს და მათს შეგნებას მხოლოდ ოდნავი მნიშვნელობა აქვს დედაენისა და აწინდელის პირობათა შესწავლაში. ეს ფაქტი გვითითებს კლასიკური სასკოლო სისტემის მთავარ ბოროტებისაკენ. კლასიკური სისტემა განათლების განვლილ იდეას ემსახურება. ყმაწვილი ყოველთვის თავისს გულისყურს შორეულს, გაუგებარს წარსულზედ ამყარებს, მაშინ როცა მან მთელი თავისი ყურადღება აწინდელს ცოცხალ ცხოვრებასა და მომავალს უნდა მიაპყრას და მას მოახმაროს თვისი ძალღონე. კლასიკური სკოლა თავისი სისტემით ხელს უწყობს მოწაფე პასიური, უქმი მაცქერალი, განუსჯელი დილეტანტი იყვის, რომელსაც ფრაზებით მოაქვს თავი და არა საქმიანობით; იგი ანათესავებს ყმაწვილებს უცხო ენასთან და უცხო კულტურასთან და თავის ოჯახსა და სამშობლოში კი მას უცხოდა ჰხდის.

\*) „Отрицательные стороны классической школьной системы“ „Русская школа“ 1914 г. № 1.





კლასიკურმა გიმნაზიებმა უღალატეს ძველი ბერძნების ქეშმარიტს იდეალს — აღამიანის სხეულისა და სულის თავისუფალ განვითარებას და კიდევ მიიძინეს ბიუროკრატიულს ფორმებში. კლასიკურმა სისტემამ ალღო ვერ აუღო ახალ კულტურის მოთხოვნილებას, რომლისკენაც მიისწრაფოდნენ პოლ დე ლეგარდი (Paul de Lagarde), რემბრანდტი და უფრო კი ფრიდრიხ ნიტშე. ეს იყო სრული დამარცხება გიმნაზიებისა. სკოლა, რომელიც დრომოქმულ იდეალებს ემსახურება და თავის მონათხვეებს არა საკმარისად ამზადებს პრაქტიკულ ცხოვრებისათვის, ჰკარგავს თავისი არსებობის უფლებას.

გიმნაზიელებს აკვირვებენ „ლათინური გრამატიკის სასტიკ წესებით და ლათინური სტილის საუნჯით“, მაგრამ მათ შეგნებამდის არ მიღეს, რომ დედანის წესები უფრო სასტიკია. შეგნების კანონებს რომ დავეყაროთ, გრამატიკის შესწავლა მხოლოდ დედანაზე შეიძლება. ამ დასკვნამდის მიღის ბერტოლდი ოტტო (Bertold Otto), რომელიც ღრმად და დამოუკიდებლად აზროვნებს ამ საკითხებში.

ბერძნები, რომელთაც ძველად უმაღლეს კულტურას მიაღწიეს და ახლანდელი ინგლისელებიც კმარობენ მხოლოდ საკუთარ დედანას და კარგათაც იქცევიან. ყოველს შემთხვევაში მათს კულტურაზე უცხო ენებს განსაზღვრული გავლენა არ მოუხდენიათ. დღეს გერმანიაში უარყოფენ ენების ძველი კულტის გავლენას და ფიქრობენ უცხო ენების სწავლების შეზღუდვას იმ საგნების სასარგებლოდ, რომლებიც ხელს უწყობენ მოწაფის ხასიათისა და მისი ფიზიკური ძალღონის განვითარებას. როცა ყმაწვილის გონებას, ტვინს ძლიერ ჰღლიან პასიური მუშაობით, მარტო მეხსიერების დატვირთვით, რასაც უმთავრესად ენების შესწავლა მოითხოვს, მოსწავლეებიც მალე ჩლუნგდებიან და საზოგადო ცხოვრებაში დაღლილ-დაქანცულნი და უპიროვნო არსებანი გამოდიან“.

თუ პროფესორ გურლიტის სიტყვები სამართლიანია საზოგადოთ ყველა კლასიკურ გიმნაზიების შესახებ, იგი უფრო სამართლიანი უნდა იყვეს ჩვენებურ გიმნაზიებისათვის, რომელშიაც ქართველ ყმაწვილებს უფრო მეტი სიძნელე ელობებათ წინ, ვიდრე რუსებს, გერმანელებს და სხვ.

რასაკვირველია სრულიად უარყოფა გიმნაზიებისა არ შეიძლება, მაგრამ მას არ უნდა ჰქონდეს ისეთი პრივილეგია, როგორიც დღეს აქვს ჩვენში, სადაც დაბასოფლებიც კი ლამის გიმნაზიებითა და პროგიმნაზიებით მოიფინოს. გიმნაზია ჩვენში ისეთი სკოლა უნდა იყვეს, სადაც რამდენიმე მოწაფე ისწავლის, განსაკუთრებით, ვისაც ლინგვისტიკის ნიჭი აქვს და ისტორია აინტერესებს. ამისათვის ჩვენთვის საკმარისი იქნება ჯერჯერობით არა ოთხი, არამედ ორი გიმნაზია, რომელიც საფუძვლიანად უნდა გადაკეთდეს აწინდელი პედაგოგიკის მოთხოვნილებათა მიხედვით.

მართალია, თუ საზოგადო მუშაკებს უზრდის ჩვენს ქვეყანას, ისევ ჩვენი ქართული გიმნაზიები, მაგრამ, სამწუხაროდ, ისიც შეინიშნება, რომ ამ მუშაკთა რიცხვიც ცხოვრებაში ისე ითქვიფება, რომ მათი არსებობა თითქმის არც კი სჩანს. ალბად მათშიაც არიან ისეთები, რომელთაც საზოგადო საქმეები მაინც და





ლები მაინც დაადგეს შრომის პრინციპს და ხელგარჯილობის სწავლებით ხელი შეუწყონ ჩვენი მოზარდ თაობის კანონიერს აღზრდას.

ქართულ კულტურულ საზოგადოებათა კავშირს ამ ჟამად შეუძლიან აიჩიოს რომელიმე ნიჭიერი ქართველი მასწავლებელი საოსტატო ინსტიტუტში ან მაღალ სასწავლებელში კურს დასრულებული, რომელსაც ხალისიც და სიყვარულიც ექნება მასწავლებლობისა და გაგზავნოს იგი თავისი ხარჯით საზღვარ გარეთ, ან პეტროგრადის საოსტატო ინსტიტუტში ხელგარჯილობის სხვა და სხვა დარგის მეთოდურად და პრაქტიკულად შესასწავლად. საკმაო მომზადების შემდეგ იგივე პირი დაინიშნოს ხელგარჯილობისა და ხატვის მასწავლებლად "განათლების" საზოგადოების ქალ-ვაჟთა სემინარიაში.

ზაფხულობით საზოგადოებათა კავშირს შეუძლიან თავისი შეძლების მიხედვით, გაგზავნოს რამდენიმე სოფლის სკოლის მასწავლებელი მოსკოვში ვ. ს. მურზაევის პედაგოგიური მხატვრობისა და საილუსტრაციო ხელგარჯილობის პრაქტიკულსა და თეორეტიულს კურსებზე.

შემდეგ, როცა ხელმძღვანელები ქართველთა შორის აღმოჩნდებიან, ადგილობრივად შეიძლება მოეწყოს ასეთი კურსები.

ამ საქმეში დახელოვნებულს და გამოცდილს მასწავლებელს საზოგადოების კავშირი გაგზავნის უცხოეთშიაც, სადაც შრომის სკოლის პრინციპები და ხელგარჯილობის სწავლება საუკეთესოდ არის დაყენებული.

სწავლა-განათლების საკითხი ჩვენში იმდენად მნიშვნელოვანია, რომ იგი მეტს ყურადღებას მოითხოვს ყველა საზოგადოებისაგან; ჩვენი ერის ბედი და მომავალი სწორედ წესიერ სწავლა-აღზრდაზე და განათლებაზეა დამყარებული. ცხადია ყველასთვის, თუ რა ნაყოფი მოგვიტანა ჩვენში არსებულმა განათლების სისტემამ და რას გვიქადის იგი მომავალშიაც, თუ ჩვენი სკოლები დროზე განახლების გზას არ დაადგა. ხოლო სკოლის განმაახლებელი, მისი ცოცხალი სულის ჩამდგმელი, მისი ყველაფერი მასწავლებელია და ჩვენც პირველ ყოვლისა შესაფერ მასწავლებელთა მომზადებას უნდა მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება.

## დ ა ს კ ვ ნ ა :

დასასრულ ამ მოხსენებისა საჭიროდ მიმაჩნია მოკლედ ავთუსხო ყველა ის დებულებანი, რომელთა შესახებაც ზემოთ ვრცლად გვქონდა ნათქვამი.

1. სახალხო სკოლა ასცდა თავის პირდაპირ დანიშნულებას და ამიტომ სასურველი ნაყოფი ვერ მოიტანა ვერც ჩვენში და ვერც რუსეთში; პირიქით სახალხო სკოლა ჩვენში ისეთს მიზანსაც ემსახურებოდა, რომელსაც სახალხო განათლებასთან არავითარი დამოკიდულება არ აქვს.

2. სახალხო სკოლა ზოგად-განათლების სასწავლებელია და იგი ვერ დაისახავს სხვა მიზანს, რომლისთვისაც არც დრო აქვს და არც ძალა შესწევს.



3. ყოველს საპროფესიო ცოდნას წინ უნდა უძღოდეს საკმარისი ზოგადი განათლება, რომელიც ყველა ადამიანისათვის საერთო ნიადაგსა ჰქმნის, მისწრაფვის ნამდვილი ადამიანის, მოქალაქის განვითარებისაკენ და იძლევა საერთო ცოდნას, საზოგადო იდეას, ზოგად მსოფლმხედველობას.

4. საპროფესიო განათლება უნაყოფოა დაბალსა და საშუალო ზოგად განათლების სასწავლებელშიაც კი.

5. რუსეთის ერობას და სახალხო განათლების ასპარეზზე მოღვაწეებს არა ერთხელ გამოუთქვამს საერთო აზრი, რომ სახალხო სკოლას ზოგად განათლების ფართო მიზანი დაესახოს და არა რაიმე საპროფესიო დანიშნულება, რომლისთვისაც სპეციალი სასწავლებელია საჭირო.

6. დაბალი სამეურნეო სკოლები ვერ აღწევენ თავიანთ მიზანს, ისინი უძღლური არიან ხალხში სამეურნეო ცოდნა გაავრცელონ და ამიტომაც ნაყოფი ასეთის სკოლებისა უარყოფითია, ვიდრე სასურველად არ გადაკეთდება.

7. ყოველგვარს სასწავლებელში, თანახმად საზოგადოების სოციალური ცხოვრებისა, მრეწველობის ზრდა-განვითარებისა და ევოლუციისა, ყველგან განხორციელებული უნდა იქმნეს ახალი პრინციპები შრომის სკოლისა, რომელიც სასწავლებლო უნდა იყვეს ყველა წოდებისა და კლასებისათვის. შრომის პრინციპზე აღიზრდებიან მოქალაქენი, რომელნიც თავიანთი ნიჭისა და მოწოდების მიხედვით საზოგადოებისთვის საჭირო შრომის ყოველგვარ ფორმებში მიიღებენ სასურველს მონაწილეობას.

8. ფართო საპროფესიო განათლება საჭიროა და ასეთი განათლება შესაძლებელია სპეციალ სასწავლებლებში

9. სახალხო სკოლის განახლებისათვის საჭიროა სხვა ზედმეტი ბარგის ჩამოშორების გარდა ხელგარჯილობის სწავლების შემოღება ე. ი. სისტემატიური პრაქტიკული მუშაობა, რომელიც შესდგება ქაღალდის, კარდონის, თიხის, ხის, ლითონის და სხვა მასალათა შემუშავებაში ბავშვების ინტერესის, ნიჭისა და ძალთა მიხედვით იმ მიზნით, რომ ბავშვმა გაიცნოს ფიზიკური შრომის „ანბანი“.

10. სკოლის განახლების უპირველეს საშუალებად აღსარებული უნდა იქმნეს მასწავლებელთა სერიოზული მომზადება. კლასიკურ სისტემას განათლებისას მრავალი უარყოფითი მხარე აქვს. ტფილისის ქართული გიმნაზიის თითო კლასი მეხუთე კლასიდან უნდა გადაკეთდეს ქართულ საოსტატო ინსტიტუტად, ქუთაისის ქართული გიმნაზიის თითო კლასი კი იმავე მეხუთე კლასიდან — ქართულ საოსტატო სემინარიად. „განათლების“ საზოგადოების ქალთა სემინარია უნდა გადაკეთდეს ქალ-ვაჟთა სემინარიად. რომელიმე მასწავლებელი უნდა გაიგზავნოს პეტროგრადის საოსტატო ინსტიტუტში ხელგარჯილობის მეთოდურად და პრაქტიკულად შესასწავლად; სახალხო სკოლის მასწავლებლები უნდა გაიგზავნოს საფხულში მოსკოვში ვ. ს. მურზაევის კურსებზე პედაგოგიური მხატვრობისა და საილუსტრაციო ხელგარჯილობის პრაქტიკულად და თეორიულად შესასწავლად. ადგილობრივადაც უნდა მოეწყოს ასეთი კურსები. მასწავლებელი უნდა გაიგზავ-



ნოს აგრეთვე საზღვარ გარეთაც ხელგარჯილობისა და შრომის პრინციპებზე აგებული სკოლების დასათვალისწინებლად და შესასწავლად. სკოლის განახლებაში ყოველივე უცხო უნდა ეგუებოდეს ადგილობრივს პირობებს.

რ. წ. ამ მოხსენების შედგენის დროს ვისარგებლეთ შემდეგის მასალებით:

1. **А. Коршуновъ.** „Образовательное значеніе ручного труда“.
2. „Законы эволюціи и новѣйшія задачи воспитанія Д-ра А. Ферьера пер. С. Левитина.“
3. „Спорные вопросы образованія“, В. П. Вахтерова.
4. „Отчеты о профессіон. учил. гор. Москвы за 1905 г.“
5. „Ручной трудъ въ общеобразоват. школѣ“, К. Ю. Цируль.
6. **Н. Рудольфъ.** „Къ вопросу о комерческомъ и другихъ профес. отдѣленіяхъ при женскихъ гимназіяхъ“ 1915 г.
7. Проф. **Л. Гурлитъ.** „Отрицательныя стороны классической школьной системы“, пер. С. Левитина.
8. **С. Бобровскій.** „По вопросу о введеніи въ программу начальныхъ училищъ сельскаго хозяйства“.
9. **Д. Лобановъ.** „Начальная школа и профессиональныя знанія“.
10. **М. Неручевъ.** „Связь народной школы съ интересами сельскаго хозяйства“.
11. **В. Измайловъ.** „Вопросы времени и низшая сельско-хозяйственная школа“.
12. **Вл. Щерба.** „Сельскія школы и сельско-хозяйственный прогрессъ страны“... და სხვა.

ლ. ბოცვაძე





# პროგრესის უმთავრესი ფაქტორთაგანი.

მეოცე საუკუნე პროგრესის ხანაა. აწინდელ სოციალურ ურთიერთობაში, თვითვეული ერი იყოფა კლასებად. იმის და მიხედვით თუ როგორ ნაწილდება და ვინ როგორ ჰქმნის ნაციონალურ სიმდიდრეს. ნაციონალურ სიმდიდრის შექმნაში მონაწილეობას იღებს ორი უდიდესი კლასი: კლასი კაპიტალისტთა (სამრეწველო) და კლასი მიწათ მოქმედთა. დანარჩენი კი დამხმარე როლს ასრულებენ და ყოველ შემთხვევაში არაპირდაპირ მონაწილეობას იღებენ ნაციონალურ სიმდიდრის შექმნაში. ახლა განვიხილოთ, თუ რომელი კლასის აღორძინება უფრო უწყობს ხელს მთელი ერის კულტურულ პროგრესს. კულტურა მხოლოდ იქ შეიძლება აყვავდეს, სადაც ერი წელ გამაგრებულია ეკონომიურად. მატერიალურად უზრუნველყოფა მშვენიერ ნიადაგს წარმოადგენს კულტურულ პროგრესისთვის. ერთი სიტყვით, ჩვენი ცხოვრების მატერიალური მხარე ის დედა ბოძია, რომელზედაც ამართულია მთელი ჩვენი კულტურული ცხოვრება. რამდენადაც სახელმწიფო უფრო მდიდარია, იმდენათ ის უფრო განათებულია, საჭიროა მხოლოდ მთელი ნაციონალური სიმდიდრე ისე ნაწილდებოდეს მცხოვრებთა შორის, რომ რაოდენიმეთ მაინც უზრუნველყოფდეს მათ მატერიალურათ. ავიღოთ მაგალითად პატარა დანია, რომლის ნაციონალური სიმდიდრე არც ისე დიდია, მაგ-

რამ რაც არის, ისეა განაწილებული მცხოვრებთა შორის, რომ ყველა დაკმაყოფილებულია მატერიალურათ. აი სწორეთ ესაა მიზეზი, რომ დანია განათლებით გაცილებით მაღლა სდგას, ვიდრე ინგლისი, რომლის ნაციონალური სიმდიდრე ფრიად დიდია და რომელიც მეტათ უსწორ-მასწორათაა განაწილებული მცხოვრებთა შორის. დღეს ყველასათვის ცხადია, რომ ყველაზე მეტ მოგებას ვაჭრობ-მრეწველობა იძლევა. ნაციონალურ სიმდიდრის გასადიდებლათ საჭიროა სახელმწიფოდგან გაჰქონდესთ რაც შეიძლება მეტი ღირებულების საქონელი, ვიდრე შამოქონდესთ. ამ შემთხვევაში სახელმწიფოში სულ უფრო და უფრო მეტი ღირებულება (ოქრო) იყრის თავს. ამ გვარ კონცენტრაციისთვის აუცილებელია საგარეო ვაჭრობის გაფართოება, მხოლოდ ამ ვაჭრობაში ღირებულების რაოდენობით ექსპორტი (საქონლის-გატანა) უნდა სჭარბობდეს იმპორტს (შემოტანას). მაგ.: თუ სახელმწიფოს გააქვს გარეთ ათ მილიარდათ ღირებული საქონელი და შამოაქვს კი ცხრა მილიარდის, მაშინ მისი ნაციონალური სიმდიდრე ერთი მილიარდით იზრდება. შინაურ ვაჭრობას ვერ ძალუძს ნაციონალური სიმდიდრის გადიდება, როგორც ფთქვით ეს სავსებით საგარეო ვაჭრობის საქმეა. ამიტომაც არის, რომ საგარეო ბაზრების მოსაპოვებლათ დღეს ამოდენი სისხლი იღვრება. ამას





გარდა, როდესაც ნაციონალურ კაპიტალს აღარ ჰყოფნის არსებული ვაჭრობ-მრეწველობა დასაბანდებლათ, მაშინ ის გვევლინება ფინანსიურ კაპიტალად, რომლის საქმეა გზების გაყვან-გამოყვანა, სატრანსპორტო საქმის მოწყობა და სხვა.

ამას გარდა ის ნაციონალურ საღვრებ გარეთ მიიღების დასაბანდებლათ. ასეა, მაგ. გერმანიის კაპიტალი მოდებული მთელ ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე. ოსმალეთში ზა სხვ... წარმოშობის დამიხედვით პირველათ იქმნება სავაჭრო კაპიტალი, შემდეგ სამრეწველო და ბოლოს კი ფინანსიური. ამ უკანასკნელის როლი წარმოებაში სულ უფრო და უფრო იზრდება. რაიცა შეეხება მეურნეობის ინტენსივობას, ესეც კაპიტალზეა დამოკიდებული. მაგ. მხოლოდ მდიდარ მიწათმოქმედს ეძლევა შეძლება შეიძინოს სამიწათმოქმედო მანქანები, მიწის სასუქი მასალა და სხვა. რაც უფრო სამიწათმოქმედო კლასი მდიდარია, მით უფრო საუცხოვო ნიადაგს პოულობს ინტენსიური მიწათმოქმედება. ამას გარდა, რაც უფრო ფართო ბაზარი გაუჩნდება სამეურნო ნაწარმოებს, მით უფრო ისწრაფვის ის განვითარებისკენ. მეურნეობა, როგორც ყოველგვარი მრეწველობა, ვითარდება იმდენად, რამდენადაც ფართოვდება მისი ბაზარი; პირველი შედეგია, მხოლოდ მეორე კი მიზეზი. ინდუსტრიის აყვავებით კი სამეურნეო ნაწარმოებს ფართო ბაზარი უჩნდება, რადგანაც იზრდება ქალაქთა რიცხვი, მრავლდება არა სამიწათმოქმედო კლასი, იქსელდება მხარე გზებით, ვითარდება ტენიკა და სხვა. ყოველივე ეს კი დიდათ უწყობს ხელს მეურნეობის ინტენსივობას, მის რაციონალურ ნიადაგზე დაყენებას. ამ რიგათ ინდუსტრიის აყვავებასთან სდევს პროგრესი, რომელიც მ-

ლაგრათ იკიდებს ფეხს ჩვენი ცხოვრების თვითეულ დარგში. ამ გვარათ შეიძლება ითქვას, რომ ვაჭრობ-მრეწველობა კრიტიკულია კულტურულ პროგრესისა. ეს ასედაც უნდა იყოს, ვინაიდან არა სამიწათმოქმედ კლასს, რომელსაც ასე ამრავლებს ინდუსტრია, აღარაფერი დარჩენია საცხოვრებლათ გარდა ცოდნისა, რომელსაც ის ასე ძლიერ ეწაფება. ბრძოლა არსებობისათვის მწვავედ და აი სწორედ ეს გამწვაება ავალებს ადამიანს რაიმე საშუალობით უზრუნველყოს თვისი არსებობა. ბუნება გვახვევს თავზე რაიმე უბედურებას, მაგრამ მას ამის საწინამდეგო ძალაც მოეპოვება, რომელსაც ის საიდუმლოთ ინახავს; მაგრამ ადამიანი საქიროების დაგვრათ მისწრაფვის ამ ძალის მოსახაზათ; ის ფარდას ჰხდის ბუნების საიდუმლოებას, იკვლევს მას, იღებს ხელში და თავისდა სასარგებლოთ იყენებს...

ქალაქი ეს კულტურის ცენტრია, რის გამრავლებაც ვაჭრობ-მრეწველობის შედეგია. ვაჭრობ-მრეწველობა ამწვაებს არსებობისათვის ბრძოლას; ხდება ერის ძალთა უკიდურესი დაჭიმვა; შემოქმედების უნარი აღწევს უზენაეს წერტილს; ყალიბდება კლასები, მწვავედება კლასთა ბრძოლა, იზრდება ნაციონალური სიმდიდრე და მთელი კულტურული ცხოვრებაც ნამდვილ პროგრესის გზას აღდგება. მაშასადამე ამ პროგრესის მატარებელია ბურჟუაზიულ კლასი.

ჩვენში სავაჭრო კაპიტალი სავსებით კიდევ არაა განვითარებული, მხოლოდ სამრეწველო და ფინანსიურ კაპიტალზე ლაპარაკიც ზედმეტია. ომის ასპარეზის სიხსლოვით დიდძალი ფული დატრიალდა კავკასიაში; ამ ფულის ნაწილი ქართველთა ხელშიც გადადის და ეს გარემოება



კიდევ უფრო აჩქარებს მსხვილ-ბურჟუაზიულ კლასის წარმოშობას ჩვენში. რადგანაც ჩვენი კაპიტალი მეტათ სუსტია, ამისათვის მას არ შეუძლიან უცხოთა კაპიტალს მეტოქეობა გაუწიოს. განვითარების პირველ საფეხურზე ჩვენს ვაჭრობ-მრეწველობას შინაური ბაზარი სავსებით ეყოფა. შინაურ ბაზრის სავსებით შენარჩუნება აუცილებელია ჩვენი ვაჭრობ-მრეწველობის პროგრესიულ გზაზე დასაყენებლათ, რასაკვირველია თუ არ გვინდა, რომ ეს პროგრესი მეტათ ნელი ნაბიჯით ხდებოდეს. ლიუდოვიკ მე-XIV-ს მიერ მფარველობითი სისტემის შემოღებას მოჰყვა ვაჭრობ-მრეწველობის აყვავება საფრანგეთში, რამაც მიანიჭა მას, როგორც ეკონომიური, აგრეთვე პოლიტიკური ძლიერებაც. ჩვენთვისაც საჭირო იყო პროტექციონიზმის შემწეობით უზრუნველგვეყო ჩვენი ვაჭრობ-მრეწველობის განვითარება; მაგრამ, საუბედუროთ, ამის ნებას არ გვაძლევს ჩვენი ეკონომიურ-პოლიტიკური დამოუკიდებლობა. ამ გვარად პროტექციონიზმის საშუალებით ჩვენ დღეს არ ძალ-გვიძს შინაური

ბაზრის შენარჩუნება, მისი უზრუნველყოფა გარეშე „სტუმრებისგან“. მაშ რაღა დაგვრჩენია? მხოლოდ ერთობა; საერთო ძალით გამკლავება: ძალა ერთობაშია! ჩვენ უნდა შამოვიკრიბოთ მთელი ჩვენი ეკონომიური ძალა: უნდა დავაარსოთ ბანკები, სააქციონერო საზოგადოებანი და სხვ... მხოლოდ ამგვარ საერთო ეკონომიურ ძალას შეუძლიან მოგვეცეს სასურველი შედეგი. ინდუსტრიის ასაყვავებლად ჩვენი ქვეყანა საუკეთესო ნიადაგს წარმოადგენს. მადნეულებით საქართველო მეტათ მდიდარია, მაგრამ ეს სიმდიდრე უძრავათ ძევს მიწაში, მხოლოდ მანუგეშებელი ისაა, რომ ხელთა გვაქვს ასე ვსთქვათ პოტენციალური სიმდიდრე. საჭიროა მხოლოდ ამ სიმდიდრის მოხმარება, მისი გამოჩენა... ნიადაგი საუკეთესოა; ყველაფერი ჩვენ უნარზეა დამოკიდებული. მაშ რაკი ვაჭრობ-მრეწველობა კრიტიკურია პროგრესისა, ამისათვის შეძლების დაგვარათ ხელი შევეუწყოთ მის აყვავებას!

ან-განი.





# კატარა წერილები.

## 5. მოწყაფეთა ამორჩევა.

მრავალ სხვათა შორის არის ერთი მოვლენა, რომელიც ისეთივე მტერია პედაგოგიკისა, როგორც არის ნათლიმამურ ტენდენციის დაცვა სკოლაში\*). სკოლის გარეშე ჩვენ პიროვნებათა გათანასწოების იდეა პროგრესულად და ხშირად სათაყვანოდაც მიგვაჩნია. თუ სკოლის გარეშე სასურველად მიგვაჩნია აზროვნების ეს მიმართულება, უნდა ვცდილობდეთ ის დავიცვათ ჩვენი მომავლის კეთილ საფუძველში—სკოლაში. სადი აღმზრდელობის იდეა უეჭველად ამას მოითხოვს. ჩვენს დუხჭირ ცხოვრებაში ისედაც ყოველ ნაბიჯზე შეგხვდებოდათ ნორჩ თაობის სულის გამრყენელი მაგალითები. ნორჩი თაობა მათ ხომ ძალაუნებურად ეჩვევა—ხშირად კიდევ ეწაფება,—ჩვენი ცხოვრება ისე არაა მოწყობილი, რომ მისი მაგალითები პედაგოგიკას მიეშველოს თუნდაც ზნეობრივად აღზრდის საქმეში.

ამ შემთხვევაში პედაგოგიკა ობოლი მარგალიტივით დგას მარტო და ზოგიერთ ოჯახებიდან თუ მიიღებს გამამხნეველ გამოძახილს.

ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი ხსნა საღ აღზრდაშია, ზნეობრივ დაწინაურებაში, ამას ხშირად ვამბობთ.

მაგრამ ადამიანობის გულის ყურს,

საუბედუროთ, ხშირად ეფექტები იმონავებს: მას ხშირად ის უფრო აინტერესებს, თუ როგორ გამოიგონა კრუპმა უზარმაზარი ზარბაზანი, ან როგორ უნდა გამოიყენონ კაცობრიობის ამოსაყლეტად სულის მხრჩოლავი გაზები, ვიდრე თავის ეზოს წინ აგებულ სკოლის ვითარება. ადამიანობას რომ ყოველ ნაბიჯზე მსჯელობა, გასაკეთებელ საქმის აწონდაწონვა უყვარდეს, მისი წვერი არა ადამიანურ საზიზღრობას არ ჩაიდენდა. კაცობრიობის მომავალი რომ კეთილი იქნეს, ამისათვის მისი ნორჩი თაობის კეთილ აღზრდას უნდა მივაქციოთ ყურადღება. ვინ არ იცის, რომ კრუპის ზარბაზანი კაცობრიობისათვის სასიკეთო არ არის, ან სულის მხრჩოლავი გაზები?

ყველა გავიძახით კი—მომავალი საღ პედაგოგიურ საფუძველზე დამყარებულ სკოლამ უნდა მოგვეცესო. თუ ასეა, ჩვენი მთავარი ყურადღება სკოლას უნდა მივაპყრათ და არა იმ მეცნიერთა გამოგონებას, რომლებიც ზარბაზნებით და მოწამვლით გვიმასპინძლდებიან. ამაზე ვთანხმდებით, მაგრამ სკოლა, ნამდვილი სკოლა მივიწყებულია. ის სკოლა სკოლა არ არის, რომელიც ბავშვს მარტო წერა-კითხვას ასწავლის: მან ბავშვს აღზრდილი სულიც უნდა გამოატანოს თავის კედლებიდან. როცა ასეთი სკოლებით მოიფინება ქვეყანა, მაშინ ახლოს იქნება ბედნიერი ცხოვრება. დღევანდელი სკოლა თუ ბებუთის დანებით

\*) იხ. ჩემი წერილი „ნათლიმამობა და ნიშნები“. ჟურნალ „განათლება“ № 8—9 1916 წლისა.



შეიარაღებულ მოწაფეებს გვაძლევს ხშირად, მაშინდელი სკოლის მოწაფეები სრულებით მოსპობენ ბებუთის დანების ჰედვას. რომ ეს ასე მოხდეს, საკმაო არ არის იმ პირთა მუშაობა, რომლებიც დღეს პედაგოგიკას უდვანან სათავეში.

მათ ენერგიული დახმარება უნდა მისცენ საზოგადოებიდანაც.

კიდევ არ იქნებოდა იმდენად სავალალო, რომ ვინც დღეს პედაგოგებათ ითვლებიან, ყველანი მართლა პედაგოგები იყვნენ. საუბედუროთ, მათში ასეთები სანთლით არის საძებარი. დაკვირვებული და ნამდვილი პედაგოგი მარტო თავის გამოცდილებას არ ენდობა, — უღირსი კი მარტო თავის ცოდნას ემყარება, მას ასე ჰგონია, თუ ყველაფერი მე ვიცოდა და ის მრავალი ტომები, რომლებიც სწავლა-აღზრდის შესახებ დაწერილა, მისგან უზილავი რჩება.

ბევრს კი პედაგოგიკა სრულებით არ აინტერესებს. ასეთები კი ისე იქცევიან, როგორც მოებრიანებათ; საკმაოა მათთვის უფროსის გულის მონადირება. აშკარაა, რომ ასეთებისგან სკოლაში არა სასურველ ატმოსფერის შექმნა ყოველთვის მოსალოდნელია. ჩვენს წინა წერილებში ჩვენ ზოგ ასეთ მოვლენებს შევხვით მოკლეთ. აქ შევეხებით მასწავლებლების მიერ მოწაფეთა ამორჩევას, რასაც თითქმის ყველა სკოლაში შეხვდებით. მოწაფეთა ამორჩევა გავრძელებაა ნათლიმამური ტენდენციების დაცვისა; შედეგად ისეთი მოყვება როგორც მას. ყველა გაიგონებდა რომელიმე მასწავლებლიდან, — ეს და ეს მოწაფე რაღაცა ყველას მიჩვენიაო. შესაძლებელია მასწავლებელს მოსწავლე კარგ სწავლისათვის, ან ბეჯითობა — ერთგულობისათვის უყვარდეს, ეს დანაშაული არ

დათ სწავლობს, მაგრამ მასწავლებელს ის ყველას ურჩევნია. ეს სხვა და სხვა მიზეზებით აიხსნება: შესაძლოა ის მოწაფე ან მოყვრის, ან საყვარელ ადამიანის, ან «დიდი პიროვნების» წვილი იყოს. ბევრისთვის აშკარა უნდა იყოს, რომ კარგი სწავლა მარტო ნიჭისგან არ არის დამოკიდებული: ხშირად მოწაფე აკვდება გაცვეთილების სწავლას, მაგრამ მაინც ცუდ მოწაფედ ითვლება; ხშირია ისეთი მოწაფეც, რომელიც ერთი წაკითხვით ითვისებს გაცვეთილს. პირველი უნიჭოა და მაცადინი, მეორე ნიჭიერია და მას იმდენი მაცადინობა არ სჭირია. არის მესამე ტიპიც: შესაძლოა მოწაფეს საშუალო ნიჭი ჰქონდეს, დიდს მაცადინობდეს, მაგრამ ნიჭიერ მოწაფეს მაინც ვერ გაუტოლდეს. ამას გარდა ყურადსაღებია მოწაფეთა ოჯახური მდგომარეობაც. ბევრია ისეთი ღარიბი მოწაფე, რომელიც კლასში უქმელი მოდის, ხოლო სახლში დაბრუნებისას იმედი არ აქვს, რომ საქმელი დახვდება და სხ. და სხ. ამ რიგად შეიძლება ერთსა და იმავე კლასში ყველა სხვა და სხვა მდგომარეობის და სულიერ ორგანიზაციის მოწაფეები მოჰყვეს. თუ რომ მასწავლებელი ცუდი ფსიხოლოგია, ან ცალმხრივი, ბევრი მოწაფე სწავლასთან ერთად სულიერ ტანჯვასაც ეწაფება. მაგალითად, ივანე კარგათ სწავლობს, მაგრამ ის როგორღაც თვალში არ მოეწონა მასწავლებელს; პეტრე მოუსვენარია, ცუდათ სწავლობს, მაგრამ მასწავლებელს როგორღაც ის «თვალში მოეწონა». ან და ივანე კარგათ სწავლობს, მაგრამ ის ბეჩავი კაცის შვილია; პეტრე ცუდლუტია, მაგრამ მამა მისის წინაშე მთელი სოფელი, ან ქალაქი ზანზარებს. პეტრე ორსავე შემთხვევაში ბედნიერი მო-



ოთხებ-ხუთები მზადდება, ივანესთვინ დიდის გაქირვებით სამ-ოთხები. ყოველ შემთხვევაში პეტრეს ნაკლებათ ეშინია დარჩენის: მას ან მასწავლებლის მომხრობის იმედი აქვს, ან «პაპა» და «მამას» მასწავლებელზე გავლენის.

ამ სახით მწვავედება დამოკიდებულება მასწავლებლის და მოწაფეთა შორის. დაჩაგრული მოწაფე ცდილობს მასწავლებელს «თვალში მოეწონოს», მის წინაშე ლაქუცობს, ფარისევლობს და ფლიდური ხასიათი მტკიცდება მასში\*). თვით მოწაფეებში კი მტრული განწყობილება მკვიდრდება. მოწაფეთა ღმერთი ხომ დღევანდელ სწავლის სისტემაში ნიშნებია. მასწავლებელმა რომ უთხრას მოწაფეს, — კარგ ნიშნებს დაგისვამ, თუ ამ მდინარეს გადაცურავო და მოზრდილ მდინარეზე მიუთითოს, იმ მოწაფეს ბევრი მოცილე სხვა მოწაფე აღმოუჩნდება. უმართებულოთ ერთი რომ დაუსვათ, ზოგი ისეთი ხასიათისაა, რომ თავს მოიკლავს.

მოწაფეთა ამორჩევა კი, გარდა იმისა, რომ ყოველის მხრით არასასურველია, სწორედ ამ ნიშნების დასმაზე აჩენს ყველაზე მძლავრ კვალს. ამის მოწმე, დარწმუნებული ვართ, ყველა მკითხველი იქნება. ჩვენ ვიცით ისეთი მაგალითი, რომ მასწავლებელმა და მასწავლებლის უფროსმა ერთი უაღრესად ღარიბი, საკმარისად მომაცადინე და ჩინებული ყოფა-ქცევის მოწაფე იმისთვის დასტოვეს კლასში, რომ მისი პირადი შეხედულება ცხოვრებაზე არ მოსწონდათ. იმავე დროს პროტექციით და «თვალის მოწონებით» ორიოდე ისეთი მოწაფეები გადაიყვანეს, რომლებიც ყაჩაღობაზედაც მოაწერენ ხელს; მათ ყო-

ფაქცევას კარგათ იცნობდენ, მაგრამ საქმე ხომ «თვალში მოწონება» ყოფილა?

ერთ-ერთ საშუალო სასწავლებლის ჩემს ყოფილ უფროსს «თვალში მოეწონა» ერთი მოწაფე, ფრიად ჩქარი ხასიათის, ცუდი ყოფა-ქცევის და ცუდი მომაცადინე. ის უფროსი მთელ კავკასიის ოლქში უსასტიკეს უფროსად მიაჩნიათ და მართლაც რომ ნამდვილი დესპოტია. საკმაო მისმა მოწაფემ ცოტა დანაშაულობა ჩაიდინოს, რომ მას დაბადება აწყევლინოს და მარადის დაუფიწყარი სასჯელი მოხადოს.

აი, ეს დესპოტი უფროსი სრულ თავისუფლებას აძლევს მის „მოწონებულ“ მოწაფეს. სხვებს ქუჩაზე სიარულისათვის სტუქსავს, მას კი ქეიფობა-ჩხუბისთვისაც არ სჯის. თვითონ ჩვენ, უფროსის ასეთი «მოწონების» წყალობით, სრული ბატონი—მოწაფე განხლდით ერთ-ერთ მოსაშუალო სასწავლებელში. ჩემი დანაშაული უფროსს დანაშაულად არ მიაჩნდა. რაკი «მოვესწონდი», ასე ეგონა, ეს დანაშაულის ვერ ჩაიდენსო. ჩემთან დანაშაულში სხვა მოწაფეები რომ დაექირა, ყველას ან აპატიებდა, ან მსუბუქ სასჯელს გადაუწყვეტდა.

მოგეხსენებათ, ქართულ წრეთა არსებობა დღევანდელ უფროსებისთვის სახელმწიფო დალატის ტოლი დანაშაულია. ეს უფროსი, რომელსაც მე «თვალში მოვეწონე» სწავლა-აღზრდის უბედურობას სწორეთ ასეთ წრეთა არსებობაში ხედავდა. მისი ლოზუნგი იყო—დაჯექი და იზეპირე გაკვეთილები (сиди и зубри уроки). ასეთ უფროსის ხელშიც მოვახერხეთ რამოდენიმე მოწაფემ წრის დაარსება. საუბედუროთ, მუშაობის სწორი გეგმა არ გვქონდა და ვარჩევდით ყველაფერს, რაც კი ხელში მოგვხდებოდა.

\*) იხ. ამავე საგანზე ჩემი წერილი „გაცრცხილი სული“ ჟურ. „განათლ.“ № 10—1915 წ.



პირველად ხელი დავსტაცეთ რენანის ცნობილ თხზულებას—«ცხოვრება იესოსი», გარჩევის დროს დიდი კამათი ატყდა წრის წევრთა შორის, რაც ექვს საათს გაგრძელდა. ერთ-ერთ ამხანაგს ამ დღის ჩვენი რეზოლუცია მამისთვის გაეცნო. მამა ღვთის მოყვარე კაცი აღმოჩნდა, ჩვენი რეზოლუცია ანტიქრისტეს მოახლოვების ნიშნად ჩათვალა და ჩვენი უფროსისთვის ეთქვა ყველაფერი, წრის წევრებიც ჩამოეთვალა. ერთ დღეს ჩვენი რისხვა უფროსი ჩვეულებრივზე უფრო გაგულისებულ იყო. ხუმრობა როდი იყო: მისი ფიქრით წრის არსებობა გიმნაზიის გადაწვას უდრიდა... ერთ გაკვეთილზე კანცელარია ჩაეკეტა და მე დამიბარა. თუმც გულმოსული იყო, მაგრამ მაინც გამიღიმა და მითხრა:—არ მეგონა, თუ შენც მიიღებდი მონაწილეობას ქრისტეს გაკაცებაშიო. ტანში ჟრუანტელმა გამიარა. მივხვდი, რომ ჩვენი სიკეთე ვილაცას მისთვის გადაეცა.

მე თავი მოვიფხანე და პასუხი ვერ გავეცი. უფროსმა ჩამომითვალა სამი ჩემი ამხანაგი და მითხრა:—ვიცი, შენ წრეში არ შეხვიდოდი, მაგრამ შენმა მტერმა დაგაბეზლა, მე შენ არ დავსჯიო. ამ პასუხის ძალით მე ვთავისუფლდებოდი, მაგრამ სამ ამხანაგს უფროსი აუცილებლად გამოორიცხავდა. ენა უნდა ამება და კიდევ დაუწყე:—თქვენ კარგათ მოგეხსენებათ, რომ ეს ამხანაგები განუყრელად ჩემთან არიან. გარწმუნებთ, რომ წრეში ამათ მონაწილეობა არ მიუღიათ. იმათ რომ მიეღოთ, მეც მათთან ვიქნებოდი და მე რომ ასეთ საქმეებში არ გავერევი, ეს თქვენც იცით მეთქი.—ასეთი წრე არ არსებობს, თორემ უჩემოთ ვერ იმუშავებენ, რადგანაც ამხანაგობაც კარგი მაქვს და ქართულიც კარგათ ვიცი მეთქი, და-

ვუმატე და მორბილებულ უფროსს გადავხედე. რა გზა მქონდა, რომ არ შეეცდოდა, როცა „ცხოვრება იესოსის“ გარჩევის დროს ოქროპირობას ვჩებულობდი და საქმის გამწვავების დროს ეს არ დამალებოდა.—მე ყველაფერი ვიცი, შენ სულელო, რათ არ უფრთხილდები თავს? შენთვის მიბატებიან სხვებიც, ოღონდ დღეიდან არ გავიგონო არაფერი ამისგვარი!—მითხრა უფროსმა და კარებისკენ მიმითითა.

— კარგი, მაგრამ... არაფერი...—ჩავილაპარაკე მე და გარეთ გამოვიპარე. როგორც შემდეგშიც მითხრა, წრეში მე რომ არ ვყოფილიყავ, წრის წევრებს ყველას გამოორიცხავდა ჩემი ყოფილი უფროსი. ასეთ დიდ დანაშაულის ის ძვირად თუ ვინმეს აბატებდა, მაგრამ საქმე „თვალში მოწონებამ“ გამოგვიკეთა.

იქნება ვინმემ იფიქროს, აქ „თვალში მოწონება“ კარგათ გამომდგარა, თორემ ოთხი კაცს გამოორიცხავდნო. ეს ერთის მხრით მართალია, მაგრამ ზოგი ამხანაგები ალმაცერად უყურებდნენ ჩემს ამ „ბედნიერებას“ და მიუხედავად იმისა, რომ ლაქიაობა ჩემს ბუნებას ვერ ეგუებოდა, მაინც ჩემს ლაქიაობას აწერდნენ უფროსის გულის მოგებას. ზოგან სამართლიანი შუროთ შემომყურებდნენ: გაცხელებულ გამოცდების დროს მოვიდოდა ის უფროსი და მომმართავდა,—შენ ნუ გეშინია, რაც უნდა მოხდეს, არ დავტოვებო. ვინც მოწაფეთა სულიერ მდგომარეობას დაკვირვებია გამოცდების დროს, ის დამეთანხმება, რომ ასეთი სიტყვები უფროსისადილ შურს გამოიწვევდა ამხანაგების მხრით ჩემს მიმართ. ჩემი ღრმა რწმენაა:—სამი-ოთხი უფროსის მომადლიერებას ფეხი უნდა დაადგა, თუ ეს მომადლიერება თუნდაც ერთი კარგი ამხანაგის ჩამოშო-



რებას გამოიწვევს.

უფროსების მიერ ზემოთნაჩვენებ სახით მოწაფეთა ამორჩევა კი ამორჩეულის წინაღობდევ მთელ ამხანაგობას ამხედრებს. სკოლის ამხანაგების მიერ ათვალაწუნებას სჯობს სკოლის გარედ ყველა შენი მტერი იყოს. მე თქვენ გეტყვით და ამხანაგების მაგიერობას თუნდაც ორიოდ სიტყვით გაგიწევდენ მასწავლებლები? ესეც რომ არ იყოს, მარტო ის რათ ღირს, რომ მოწაფეში ლაქიური ხასიათი მკვიდრდება? სკოლათა ღირსებაზე, როცა ლაპარაკობენ, ხშირად ხმარობენ ასეთ სატყეებს:—სკოლამ განვითარებული გონება უნდა გამოატანოს მოწაფეს და სწორეთ ამისთვის უნდა ვალმერთებდეთ მასო. ასეთი მსჯელობა ნაკლებათ გულისხმობს ახალგაზდის სულის აღზრდას. მარტო გონება მახვილი კაცი კი ხშირად ზედმეტი ბარგია ცხოვრებისათვის. საკმაო გავისხენოთ ქრისტეს დაბადებამდის არსებული სკოლა სოფისტებისა: ამ სკოლაში, უეჭველია, პირველი ალაგი გონების გამახვილება-განვითარებას ეკავა. ამის შედეგებიც სასურველი იყო სოფისტებისთვის, მაგრამ ჩვენთვის სოფიზმი უგულო მოძღვრებაა, მშრალი რამეა. ამ მსჯელობით, სკოლამ ზედმიწევნით განვითარებული გონება რომ გამოატანოს მოწაფეს, ეს უსარგებლო იქნება, თუ გონებასთან ერთად მოწაფის გრძნობის საღაროც სასურველად მდიდარი არაა. ლაქიაობა და ფლიდობა, რომელსაც ზემოთნაჩვენები სისტემა გულისხმობს, განვითარებულ გრძნობისგან მეტად დაშორებულია. ამ რიგათ, სკოლა იმდენად უნდა ცდილობდეს გონების განვითარებას, რამდენად ის გრძნობის განვითარებას ეცდება. მასწავლებლების მიერ მოწაფეთა ამორჩევა უნდა ემსგავსება, რომ ვინმემ ერთხელ

მოფერებით გადაგისვან თავზე ხელი, ხოლო ათჯერ გაგულისებულად დაგარტყან.

კიდევ მეტი. ნეტავი რა უნდა მოგიტანონ უფროსის ორი თუ სამი წლის „თვალში მოწონებამ“, თუ თქვენი ხასიათი სამუდამოთ გაიხრწნება?

მე ვიცი ისეთი მაგალითები, რომ უფროსისგან გათამამებული მოწაფეები ყოველგვარ ოხრობას მიეჩვივნენ. რაც სხვისთვის სასტიკად იყო აკრძალული, ის მათთვის სანახევროდ ნებადართულივით იყო; მათ უფროსის არ ეშინოდათ და ამხანაგების მოსაჩვენებლად—რომ მათ არვის ეშინიათ, ხოლო ამხანაგებს კი ეშინიათ—არც ერთ ნებადაურთველ ხილებს არ უშვებდენ გაუშინჯავად. ზოგმა ასეთთაგანებმა, უფროსების მფარველობით სასწავლებლები დაამთავრეს, მაგრამ ცხოვრებაში პირველ ხარისხოვანი „განათლებული კულტურები“ არიან; ზოგნი გამოყარეს და ქუჩის კაცებში პირველობას არ თმობენ. ასეთ ყვაილებს ხშირად იძლევა ჩვენი სკოლა.

ამის ზოგნი ვხედავთ, ზოგნი ვერა. ისე კი ძლიერ გვიკვირს, როცა ჩვენი წვადაგვით აღზდილი შვილები გახრწნილი გზით მიდიან. ასეთი შედეგი ბევრს მთლად ააღებინებს ხელს შვილის სწავლაზე; ბევრი კი ფიქრობს: ვშინჯავ, შევიყვან შვილს სასწავლებელში, თუ კარგი იქნა, ხომ გავკეთდი, თუ არა და; რაც სხვას არ დამართია ისეთი მე რა დამემართებაო. ამ რიგათ მომავლის იმედისთვის გზას არჩევანით ვეძებთ. საიმედო სკოლა კი არ გვაქვს. როცა ასეთი სკოლებით გვექნება მოფენილი ქვეყანა, კაცობრიობის ბედნიერებასაც მაშინ ჩაეყრება მკვიდრი საძირკველი.

არ. ფანცულაია.



# ქართველები და ქართული ენა

(გაგრძელება)

არცა. არცა ითვლება ბერძნების ღმერთად. მისი ბარი იყო მარსი, რომლისაგან დაენათლა სახელი თვესა მარტს. მაგრამ არის სხვა და სხვა ცნობა, რომლის მიხედვით შეგვიძლიან ვიფიქროთ, რომ არცა ქართველების წინაპრების ღმერთიც იყო.

მისი სახელით ჩვენში იწოდება სამშაბათი: არიასი—არეასი (მეგ. თახაშ-ხა, სვან. თახაში ე. ი. დღე თახასი).

არეას ჩვენში გრძელი ისტორია აქვს. არგონავტელები რომ მოვიდნენ, მისი ტაძარი ნახეს აქაურ საღმთო მუხის ქალაქში. თვით აქაური მეფე აიეთი უშველებელი ღონით ეფარდებოდაო არეას (ჰან, 47).

არგონელებმა მარცხნივ დაინახეს მაღალი კავკასიონი და აიეთის ქალაქი ქუთაისი, ხოლო მარჯვნივ—მინდორი არეასი საღმთო ქალაქი ამ ღმერთისა. აქ გველი ჰხმილავედაო ფართოდ გადაშლილ მუხსზე გადაფენილ საწმისს (ჰან, 48).

აი კიდევ რა ცნობებს იძლევიან იგივე ბერძნის მწერლები: პერიეგეტი (30 წ. ქრ. შ.) ამბობს: „სპარტიდამ მომავალ გზაზე არის საყდარი არეასი. ამბობენ მისი კერპი დიოსკურებმა მოიტანესო კოლხიდიდამ. ქალაქ თერეატონმა თვისი სახელი მიიღო თეროსაგან. იტყვიან ეს იყოო არეას გამდელი. ამ ქალაქის სახე-

ლი ბერძნებმა ალბათ შეითვისეს კოლხებისაგან, რადგან თვითონ არ იცოდნენ, რომ თერო იყო არეას გამდელი (ჰან, 130—131).

ლაკედემონიაში არის ნანგრევები აზიის ათინისა, რომელიც ააგეს კოლხიდიდამ მოსულ პოლიდეიკმა და კასტორმა. თვით კოლხებსაც აქვთ ათინა (იქვე, 131). ამბობენ ამბონებისაგან, როგორც არეას ნაშობთაგან, ათინაში სახელი მიიღო თვით არეოპაგმა (ჰან, 133).

ყველა ამის წაკითხვა ჩვენ უნებლიეთ გვაგონებს ჩვენებურ საღმთო ქალაქებს თავიანთ საღმთო მუხებით. თქმის ხეობის მუხა ცასთან შეერთებული იყოო ოქროს ჯაჭვით და გაწყდაო მაშინ, როდესაც შეეხოო ტყუილ-ფიცოლა. უფრო საყურადღებოა გადმოცემა ლაშარის მუხის შესახებ.

ლაშარის-ჯვარის დიდი და დიდებული წმიდა მუხა ოქროს შიბით (ჯაჭვით) შეერთებული იყოო ცასთან. მას კაცი ვერ ეკარებოდაო, მაგრამ კატის სისხლი მიაკურაო მოლალატემ და მუხაც ძირს დაეცაო, და ჯაჭვიც აიკრიფაო და ცად აღიმართაო, მხოლოდ-ღა იმ მუხის წვერის ანგელოზის სახელით იკურთხებაო დღეს ამ ხატში მიტანალი საქმელ-სახმელი („ივერია“ 1888 წ. № 179, № 177). ყველა ამ გადმოცემებს არგონავტე-





ბილამ ჩვენამდე დაშენილებს, გვეგონია, აერთებს სიწმიდე ჭყონდიდი (=მუხადიდი) და მასში დაწესებული უწმიდესი მოხელეობა — ჭყონდიდლობა.

წ. შ. დიდად დაგვაფალებს ყველა, ვინც საღმთო მუხების შესახებ ცნობებს მოგვაწვდის.

ჯუშა=ჯიმა. ოთხშაბათს მეგრულად ჰქვიან ჯუმაშხა, ხოლო სვანურად ჯიმაშ (ჯერი გამოთქმით ჯუმას—დღე ანუ ჯუმასი, ჯიმარ). საბას ლექსიკონით ამავე ოთხშაბათის ძველანდელი სახელი იყო ერმისი, ხოლო ერმი უდრის მერკურის. ეს იყო ძე იუპიტერისა და ითვლებოდა მოციქულად ღმერთებსა და თვითც ღმერთად მჭერმეტყველობისა და სულთამძღოლობისა საიქიოს. მისგან, ჩვენი ფიქრით, შერჩენილა სახელები: ჯუმათი (გურიაში) ჯიმითი (ზუგდ.), ჯიმარა (დუშ.), ჯიმასტარო (ქუთაისის მაზ.), ჯიმითი (სიღნ. მაზრა), ძიმითი შეად. ციმციში—ქიმქიში, ქიმქიმელი.

აბიშა. პარასკევის სახელია დიოსი (ქართ.) ოზიშხა (მეგრ.) და ვობიშ (სვან.), ანუ ქართულის გამოთქმით აბისა.

ჩვენ გვეგონია, ეს არის ნათესაობითი ბრუნვაში დასმული თავდაპირვანდელი სახელი ობა=უბა=ბა. შატბერდის ქრონ. (გვ. 461) არმაზსა და გაცისთან ერთად ნაჩვენებია ბა. აღბად მას ნათესაობა აქვს ქართველების უწინდელ უდიდებულეს ღმერთთან ბაჩი და აფხაზურ ღვთაებასთან აფი.

ჩვენს მოსაზრებას თითქო მხარს უჭერს ისიც, რომ ობიშ-ხას ფარდი დიოსი (=ზევსი) ითვლებოდა ატმოსფერულ მოვლენათა ღმერთად და ნართაული სახელიც ჰქონდა—მეხ-მტეხი, მქუხარი. მას აქანდაკებდნენ სკიპტრით მარჯვენა ხელში და ელვით მარცხენაში... პ. ჭარბიას

აღწერით, აფხაზთა აფიც მბრძანებელია ქუხილისა, ელვისა და ყოველ სხვა ატმოსფერულ მოვლენათა. ვინ იცის აქვე იმალებოდნენ ფორმები ოფალი-უფალი-მეუფე-მეფე-მაფა (მეგრ.), აგრეთვე საფიქრებელია მისითგანვე მომდინარეობდნენ სახელები აბიშა (თავდაპ. ობისისი!), აბიშ-ქვითი (ობისი ქვითი), ობის ციხე (თრიალეთში), ეგების აგრეთვე აბისი უბისი, უფლის ციხე და სხ.

ამას გარდა შუამდინარის ძველი რუკები ორგან თუ სამგან აღნიშნავენ ეფრატის პირად აბისს, მაგრამ ვინ იტყვის, რომ იგი იყოს ჩვენი ოპიზის იგივეობა. საყურადღებოა აგრეთვე ლურსმულ წარწერების ბიაჰსა, ხალდინა (იგულისხმება ქვეყნები ბიაჰს, ხალდის), მაგრამ ამას მხოლოდ აღვნიშნავთ ისე. ყოველ შემთხვევაში შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ ჩვენებურ სიტყვიდამ ბაა=შაა, ვით ბერძნულის ფვა-დამ უნდა წარმოებულყო მრავალგვარი სხვა სიტყვა, მაჩვენებელი არსებადის დასაწყისის (დასაბამი), გაჩენის (დაბადება), გაჩენილის (ბა ბავში-ბაღლი, ბალახი), გამოსახულის (მოიბა, მიება, დაიბა, ძირკვი და სხ.), ყოვლის გამოსახეკულის (ბუნება=სვან. ბინაბ. ნ აქ უნდა იყოს მრავლობის მაჩვენებელი, ვით მოიბნა, დაიბნა და სხ.), თვით მიზეზი დასაბამის და ფაფის (ოფალი-უფალი, მეუფე), ცხოვრების შექმნისა (ბაბუა-ბადიდი-ბადიში-მბადი-ბეზია-ბიცოლა...), ზრდის (ბიბინი, ამობიბინება), გამკეპის (მაფა-მეფე, მამფალი—დედფალი=დედუფალი=დედოფალი), გამაჩენისა (ბარი-ველი-ვე) — სვან. ვერ (მიწა). კაჰაჰა — კოპალე. ფშავ - ხევსურეთში

\*) შეად. თათრული ჰერ—მიწა, პარათმად — გაჩენა, პარათან — გამჩენელი, დამბადებელი.



ითვლება წმინდანად, გმირად. მისი სახელი გამოისმის საინგილოშიაც (კობახა ხევის სახელია).

კოპალეს იხსენიებს თვით დავ. გურამიშვილიც. ერთს მის ლექსს ასეთი სათაური აქვს (გვ. 112): „ხარებობის დღის შესხმა“ „ახა წმინდა კოპალეს სანაცვლოდ სათქმელი“. რა იყო ეს „ახა წმინდა კოპალე“ არა სჩანს, მხოლოდ ლექსში გურამიშვილს მოჰყავს ცნობები ყრმაზე (იესო ქრისტეზე), რომელმაც „სცა და კერპნი გაყარა“, ხოლო „თვით შეგვექმნა ღმერთადა, დაგვიცო და დაგვფარა... ჩვენთვის სისხლი დაღვარა“.

ამასთანავე ღვაწლი დაუდვია კოპალას ფშავ-ხევსურეთისათვის. გაუჭლეთია იქაური ღმრები, რომელთაც სურდათ არაგვი დაეგუბებინათ და მის წყლისთვის წაეღეკინებინათ მთელი ქვეყანა. ღმერთს მისთვის მიეცა „ძალი, არვისგან ძლეული“. წინად უბრალო ბერი იყო იხინჭისა და მერე სასპარეზოდ გამოვიდა ლახტითა ღმრეილდ-ისარ-შურდულით.

„სნეულ ვის ყვანდეს, უჩხინეო და ლხენის წამალი დაუყარეო; მაცილი და აშორეო, დაფარეო.“

„ველთ ვინ გავიდოდეს სახლიდგანაო—მეველე, მონადირე—გაჰყვით, გაუმარჯვეო. მტერზედ სახელი მიეცითავე, ნადირზედ ვახშამიო.“

„წმინდაო გმირო კოპალავ! მაცილის საქმე ეღირებოდეთ მთასად და ბარსა, მაცილს დააშორიდი; თუ სხვები ანგელოზი უჩიოდნენ, მადლი დაუთხოვე, ანგელოზებს სამსახური აართვი და ღთის კარზედ საქრთამოდ შაართვი. სხვანი ღთის შვილნი თუ რას უწყებოდნენ, მადლი ხოეშანი დაუთხოვე; თითონ პირწაღმივ და გულ-წაღმივ დაუბრუნდი, უშველიდი. სახელიან სამსახურ ღთის კარს

შიტანდი, ღთის კრით თუ რა ისაულო ხთის ბრძანებით გამოვიდოდეს, გმირო კოპალეო, შენით სარდლობით ხორციელზედ ბრუნდებოდეს. ამათ ყუდრო ჯალაფობას ნუ მაჰყვრდიდი, მეეკერძებოდეს—ახდიდი, გადაუგდიდი ავ საქმე მკაზედ კეთილად მოუქცივიდი, დაწუხებულს უშველიდი. შენი ზღვენთა და ულუფად შეემატების. თქვენ თქვენის მეხვეწურისა ამათ ჯალაფობისა—კაცისა, საქონლისა, მანდილოსნის მეშვილიმც იქნები“ (ივერ. 1889, № 271).

მის სარდლობით შეიმუსრნენ მტრები—ღმრები.

ღმრებს ებრძოდნენ ამირანი, კოპალა და პირქეში. პირქეში მჭედელი იყო და მოქმედებდა ხევსურეთში, კოპალა კი იყო საკუთრად ფშავეთის მფარველი. ბრძოლის დროს ამას ჰშველოდა მთავარ ანგელოზი, ხშირად ჯვარსაც იშველიებდა (ვაჟა-ფშ., ივერ. 1889, № 9, 40, 43).

მისი სალოცავებია ხახმატში, იხინჭას, კარატს. ხახმატის წმ. გიორგის პაწია საყდარში უხილავად იმყოფებაო წმ. კოპალა. აი ამ საყდრის ლოცვა:

„დიდება ღმერთსა. მადლი ღმერთსა. დიდება დღეს დღენდღელსა. რჯული ქრისტიანსა. დიდება მზესა, იმის მყოლს ანგელოზსა.“

„შენად სამთავროდ, შენად გასამჯავროდ, ძალი ხთისაო, ძალი წმ. გიორგი კოპალესაო, შენ გეძახიან, გეხვეწებიან; შენ ნუ მაუწყენ და ნუ მოიძულე ქრისტიან ხალხსა, შენსა მლოცავსა.“

„დიდება შენდა, გმირო კოპალევ! შენ გეძახიან და გეხვეწებიან ეს სამსახურის პატრონები, ქუდოსან-მანდილოსანი: და ეხმარიდი ავის დღისად, ლადის მტრისად, მწარის სიკვდილისად.“

„წული ვის ყავს, გაუხარდევ, არა





ყავდეს—და თუ ვინმე გეხვეწებოდეს, ღმერთსა და კვირიას გამოუთხოვეო.

დიდი წყევლაა კოპალას სახელი: „შე გმირის კოპალის ლახტაქრავო, დავლახეროს გმირმა კოპალამა (ვაჟა-ფშავე, 1889, № 41—43). ლახტს გარდა მის იარაღად იყო შვილდ-ისარი, შურდული (კობულა), რომლითაც იგი კიდევ ნადირობდა, კიდევ დევ-ალქაჯებს ებრძოდა.

ზოგჯერთა სახელები. ქალდეველთა ისტორიკოსი ბეროზი, ასახელებს-რა წარღვნის წინა-დროინდელ ბაბილონის ათ მეფეს, დასძენს, ამათ იმეფესო სულ 432,000 წელიწადი. მათგან უკანასკნელი იყოო ქსისუთრი, რომლის დროს იყოო მსოფლიო წარღვნა, მისი ნაგ-კილობანი გაჩერდაო მთაზე გორდიენების ქვეყანაში. წყალი რომ დაშრაო, მან უბრძანაო მასთან ერთად გადარჩენილებს, დაბრუნებულნიყვნენ ბაბილონს, ამოეთხარათ წარღვნის წინ მიწაში დაფლული წიგნები და თვითონ კი ეღირსაო აღეტაცათ ღმერთებთან საცხოვრებლად. მათაც საღმთო შესწირესო ღმერთებს, ფხვით წავიდნენო ბაბილონს, ამოთხარესო წიგნები, აღადგინესო ქალაქები და განაახლესო ბაბილონი (ლენორმან, 433).

ქალდეური თარგმანი მოსეს 5 წიგნისა, შედგენილი ონველოსის მიერ, აცხადებს, რომ ნოეს კილობანი შეჩერდა არარატის მთაზე. ონკელოსი არარატის მაგიერ სწერს კარდუკის მთას.

ებიფანე (4 საუკ. ქრ. შ.) სწერს: ნოეს კილობანი გაჩერდაო სომხეთ-ქურდისტანს შორის, მთაზე, რომელსაც ერქვა ლუბარ და რომელიც დაჰყურებდა სენაარს, ე. ი. ნაირს, შუამდინარეს (უსლარი, 23).

სტრაბონი აღნიშნავს მთასა ბარის. აქნიანების ნაწილი დასახლდაო უფტიას, ნაწილი კი სომხებს იქით. მთის ახსნა-

დაღმა და აგრეთვე მთისა იშპაჲს. აბოლი მდებარეობსო გზაზე, რომელიც ბარდის (της Βαρδίας νεαν) ტაძრის გვერდით მიმართება ეკატინისკენ. სხვა ადგილას იგივე სტრაბონი ახსნ უჩვენებს ეფორატის და არეზის სათავეებზე (იქვე, 24—25).

ძალიან ძნელიაო, განაგრძობს უსლარი. ახსნათ, რომელ ღვთაების პატივად იყო აგებული ეს ბარიდი, ამიტომ რომ ამ სახელის ქალ-ღმერთი უცნობიაო. ამ კითხვის გამოსარკვევად დაიხარჯაო მრავალი მეცნიერება, მაგრამ სიმრავლემ კითხვა უფრო გაართულაო და დაამტკიცაო სრული უნაყოფობა მეცნიერებისთვის (იქვე, 25).

თვით უსლარიც სცდილობს თავისით ახსნას სადაოდ გამხდარი კითხვა, მაგრამ უმეტესად ართულებს მას, რადგან ქართულ მასალას არ იშველიებს. თუ არარატი იყო ქორღუების (ქართველების) ქვეყანაში, თვით დანარჩენი სახელების ახსნაც შეიძლებოდა მხოლოდ ქართულ ენის მიხმარებით.

ბარისი. სიტყვის დაბოლოება წმინდა ქართულია. ტფილისი, ქუთაისი, ეგრი-სი... ბარისი სიტყვიდამ ბარი.

ლუბარ. ვანურ ლურსმურ წარწერებშიაც გვხვდება სახელები ლუნუნინი, ლუტიბრი, ლუგურ და სხ. აქ ისეთივე წარმოებაა, ვით შვან (სვანი)—ლუშნუ სვანეთი, სასვანო, ზან—ლუშნუ (საზანო), ლურუს რუსეთი, სარუსო, ლუსუ (ოსეთი). ამიტომ ლუტიბრი უნდა უდრიდეს სატიბროს, სატიბაროს, სატიუბალოს (ტიბარი—ტიბრანი მიაჩნათ ტუბაღად), ლუნუნინი—ნუნუნეთს ანუ სანუნოს, ლუბარ ბარეთს ანუ საბაროს.

ასეთი წარმოება აზრით სრულად ეფარება თორმას სანისი. რუსისი. ზანისი.



ტიბარისი, ბარისი. კოლხეთის მეფის ერთს სატახტო ქალაქსაც ერქვა სიბარისი.

ჩვენ გვგონია, რომ მთის სახელი ლუბარ ეფარდება ტფილისის ნაწილის სახელს ავლაბარი (=ავი ბარეთი, ავი-საბარო (ძველი ლა=სა). და ეგების „აბოს“ იყოს აბოცი, წარმოებული სახელიდამ ბოჩი (ფოცხოვი თუ ბოჩო-ხევი!).

მა=მანი, ეს სახელები ისმის ფიცილში: ინგ. ღმერთი-მა=ღმერთმანი. იმავე აზრით ინგ-ში: ზის-მა (მზის-მანი), წყლის-მა, ცის-მა და სხ.

რაა ეს მა=მანი?

იგივე გვხვდება ბერძნულში, ლექსიკონში მა-ს მიუძღვის ასეთი განმარტება: „*μα*, დამტკიცებით ნაწილაკი ფიცილში: *μα τος* *μεις* ვფიცულობ ღმერთებს; ხშირად *μα=μη*-ს დამატებით: *μα μα τῶν σκηνων* ჭეშმარიტად, ვფიცულობ ამ გვირგვინით. *οσ μα τῆς δέσποινῆς Αρτεμιν*

არა, ვფიცულობ ქალწულ არტემიდას: *μα Ζηνᾶ* ვფიცულობ (ზენას, ზეესს, იუპიტერს). ატტიკელები ხშირად საფიცილო სახელებს გამოსტოვებდნენ ხოლომე და ფიცულობდნენ ასე: *μα τῶν*, ე. ი. იგივე აზრი გამოითქმოდა მართო სიტყვით *მა=მა*.

ეგვიპტეში მა იყო მეტად პატივცემული ქალღმერთი და ეფარდებოდა ბერძნების თემიდას, ე. ი. მართლიერების ღმერთს. მა-ს მეორე სახელი იყო მათ (ბრუგში, გვ. 13, 786, 804, 731).

ძნელია ითქვას, რომ ამ დროთა უკუნეთში აქვსო დასაწყისი ჩვენს მა-ს, მანი-ს, თუმცა იმ დროინდელ ეგვიპტურ მათსაც ეხმაურება კიდევ ჩვენი მართლა (=ყმაწვილურ ენაზე მათჯა). ამას ხომ არ ენათესავება მადლი, ფიცილში მადმა.

მ. ჯანაშვილი





# სულთამხუთავი გაზი და მისგან თავის დაცვა

**ს**ულთამხუთავი გაზი—არის ნაყოფი მე-  
ტრიეტის მუშაობისა. ჩემი სურვილია ამ უკა-  
ნასკნელის შესახებ ქართულ მეტალურგულ ცო-  
ტა რამ გაუზიანო, თუმცა კავკასიის ფრან-  
ტზე ამ საშუალებისთვის არ მიუძღვრება, (დ-  
რატომ ამას ქვემოთ დავინახავთ) მაგრამ ქარ-  
თული მეომარი, როგორც ვიცით გაფანტუ-  
ლია მთელ რუსეთის ფრანტზე და არა ერთი  
და ორი გამხდარა მსხვერპლი ამ საზიზღარი  
იარაღისა.

სულთამხუთავი გაზი ზირველად გერმანე-  
ლებმა იხმარეს ფრანგების წინააღმდეგ აშ-  
რელში 1915 წ. ხელთ რუსების—იმავე  
წლის მაისში. რასაკვირველია როგორც მოუ-  
ლოდნელმა იარაღმა, მთავრადიანი მხარეს სა-  
შინელი ზიანი მიყენა და როგორც უკანონო  
საშუალების ხმარებამ უფლებას აღმოფხვრის  
გამოიწვია. ცნობილია, რომ დიდმა სახელ-  
მწიფოებმა, ამამდი, ხელშეკრულება დასდგეს:  
„ხელშეკრულები სახელმწიფოები ზირობას სდე-  
ბენ არ იხმარონ ისეთი იარაღი, რომელთა  
დანიშნულება იქნება სულთამხუთავი და მანვე  
გაზების გავრცელება“. როგორც ვსთქვი,  
ზირველად ეს გერმანელებმა დაარდვიეს, ხო-  
ლო შემდეგში ფრანგებმა და რუსებმა შე-  
მოიღეს. (ამობენ ლუკის რაიონის გარ-  
დვივსში ამ საშუალებამ დიდი სამსახური გაუ-  
წია რუსებსა). ამრიგად ამამდე უკანონო  
ცნობილი საშუალება დღეს „კანონიერია“ და,  
რასაკვირველია, სჭირთა, როგორც მისი  
თვისების, ისე მისგან თავის დასაცავი საშუა-  
ლებების ცოდნა.

გაზის თვისება. გაზი მუდამ სცდილობს  
გარშემო, რაც შეიძლება, მეტი ადგილი დაი-  
კავოს და მომწვედელი ჭურჭელს უფველ  
მხრიდან აწევს. თუ ჭურჭელი გააღდეთ, გა-  
ზიც გაიწვია, გაფართოვდება, უფველგან შეი-  
ჭრება, თუმცა, რასაკვირველია, ამავე დროს  
ის უფრო თხელი ხდება, მაგრამ თავისუფალ  
ადგილს მაინც არ დასტოვებს. აგრეთვე გა-  
ზის თვისებაა, გათბობის დროს სივრცეში  
მოიმატოს. (გელიუსაკის კანონი) თუ გაზს  
გათბობთ, მაგრამ გაფართოების ნებას არ  
მისცემთ, მაშინ ის შეიკუმშება და უფრო  
მძლავრი გახდება. ჩვენთვის სჭირთა აგრეთ-  
ვე ვიცოდეთ, რომ გაზები ერთმანეთისგან  
განსხვავდებიან ესრედ წოდებულ „შეთარ-  
ბითი წინით“ და დუდილის წერტილით.

გაზის ისეთი ტალღის მისაღებად, რომ  
გამოდგეს შტრის წინააღმდეგ რამდენიმე ვერ-  
სის მანძილზე და რომ არ დატოვოს მიუს-  
ვლელათ ადგილი არც სანგრებში, არც მიწუ-  
რებში, არც თხრილებში და ზამთარ-ზაფხულ  
ივარგოს, გაზს უნდა ქონდეს: დიდი შეთარ-  
ბებითი წინა, მცირე დუდილის წერტილი  
და მალე კრიტიკული ტემპერატურა.

ასეთი თვისებებით შემკულია ქლორი (Cl)  
და გოგირდოვანი გაზი (SO<sup>2</sup>). ქლორი, აგ-  
რეთვე ძლიერ ადვილი და იაფი საშოვარია;  
ჩვეულებრივი საჭმლისთვის სახმარებელი მა-  
რილი შესდგება ნატრისგან (Na) და ქლო-  
რისგან (Cl). მარილის ფორმულათ (NaCl) და  
აი ამ იაფ მარილიდან იღებენ Cl. სწორეთ  
ამიტომ, რომ ორივე მხარე უმთავრესად ამ





ამ პირობათა შემწეობით გაზის გამომშვების შესაძლებლობა ადრე იცინა და მომზადებულნიც დახვდებიან ხალხე. მაგრამ ვსთქვამთ ამინდმა გვიმტყუნა, შეთვალეურე მოატყუა; ამ შემთხვევაში გვშველის კრუგის, ფიშერის და ტენტერშვერისგან გამოგონილი იარაღი, რომელიც შესდგება მილით (რომელშიაც ვერცხლის წყალია ჩასხმული) შეერთებული ორი შუშის ჭურჭლისგან. ორივე ჭურჭელი ერთგვარი სითხით დასველებული ტილქოა შესვეული. მიღში შეკავშირებულია ორი ელექტრონი, უკანასკნელი ოდნავ ეხება ვერცხლის წყალს. თუ ჭიკრში გაჩნდა ცოტადენი, ერთიმეხუთედი პრეტენტი ან ერთიმეათედი პრეტენტი გაზისა, მაშინ ჭურჭელი თბება, მასში მოთავსებული ჭიკრი ფართოვდება და ვერცხლის წყალს დ—სკენ უჯიკავებს. აქ კი ხდება ელექტრონული ძეწკვის შეერთება.

ამრიგათ ეს „ხელსაწყო“ ნამდვილი შიკრიკის რაღს ასრულებს, მაგრამ მხოლოდ სავი წამით ადრე, მიუხედავათ ამის მისი სამსახური დაუფასებელია შემართათვის, რადგან ამ სავ წამს შეიძლება მოასწრონ პირბადის და სათვალეების გაკეთება.

თუ სულთამხუთავი გაზის ხმატებს ტვინდა, უნდა ქრადეს ქარი მტრისკენ ნელა და თანასწორათ, ჭიკრის ქვეითა ნაწილი, რომელსაც სწამლავი მიაქვს, არ უნდა შეერიოს ზევითა ნაწილს, თორემ სწამლავი, სანამ მტრის ბანაკს მიაღწევდეს, გათხელდება და სასურველ შედეგს ვერ მოგვიტანს. ხელსაწყოლია, რაღა ქარი წამში ერთი მეტრის სიჩქარით ჭქრის, ამ შემთხვევაში ჭიკრი 17 წამში მიღის ერთ კილმეტრს (<sup>14</sup>/<sub>15</sub> ვერსტი), ე. ი. სიჩქარე უდრის ფეხქვეითა ადამიანისას. ამნაირ პირობაში გაზი ერთ საათში 3 ნახევარი ვერსს გაიარს. საჭიროა რომ ქარმა 2—3 საათის განმავლობაში მიმართულება არ იცვალეს, რადგან სულთამხუთავი გაზი რამდენიმე საათს იხანავს თავის ძალას და თავისიანებს ავნებს \*).

აქვე საჭიროთ მიმანია ვსთქვა, რომ ზემო ჩამოთვლილ სწამლავებს სხვათა შორის ერთი ცუდი თვისებაც აქვთ: ისინი ჩუმათ, ქურდულათ მიიზარებიან თავის მისვერძლისკენ — მაგ. ფასკენ თითქმის სისიამოვნო ხილის სუნი აქვს, და თუ ქლორი ნელ-ნელა ძლიერდება, ესეც სუნით შეუმჩნეველია, ხოლო მოწამლვა კი ხშირად სწრაფია.

**ექიმი პ. ქავთარაძე**

(დასასრული იქნება)

\* ასეთი შემთხვევა არა ერთხელ ყოფილა, როგორც გერმანელების, ასე ჩვენი მხრითაც.


გაზის ტალღა რამდენიმე ასი ათასი მანეთი ჯდება და რასაკვირველია თვით ხარჯი უნდა აანაზღაუროს რაც შეიძლება მეტად ცოცხალი ძალის დასახიჩრებით.

პ. ქავ—ძე

პ. ქ.







## † ალექსი გესარიონის ძე ჭიჭინაძე

(1851—1917 წ.)

ამ წლის იანვრის 27 საღამოს შვიდ საათზედ უეცრად გარდაიცვალა თავის ბინაზე ჩვენში კარგად ცნობილი დამსახურებული პედაგოგი, ტფილისის ქართული გიმნაზიის დირექტორი ალექსი ჭიჭინაძე. მისმა ასე უეცრად გარდაცვალებამ დიდად დაალონა მისი ყოფილი მოწაფეები, თანამოსამსახურენი, გიმნაზიის მოწაფენი და ყველა, ვინც კარგად იცნობდა განსვენებულს. ალექსი ჭიჭინაძის მოღვაწეობა კარგად უნდა იცოდნენ „განათლების“ მკითხველებმა, ვისაც წა-

კითხული აქვს მისი ვრცელი ბიოგრაფია, დაბეჭდილი 1911 წლის „განათლების“ № 1 და აგრეთვე მოკლე წერილი 1914 წლის იმავე ჟურნალის № 7-ში.


საუკეთესო დამფასებელი ყველა პედაგოგისა მისი მოწაფეებია და ვინცკი წაიკითხა ალექსის გარდაცვალების შესახებ მისი დღეს ჰადარა შერთული ყოფილი მოწაფეების მწუხარებათ სავსე სამგლოვიარო წერილები, დარწმუნდებოდა, რომ განსვენებულს ბევრი სიკეთე დაუთენია მოწაფეების გულში. მართლაც ამ





იშვიათ ადამიანს, ისეთს დროს გამოსულს საპედაგოგო ასპარეზზე, როცა ჩვენში სწავლა აღზრდის საქმეში სრული ანტი-პედაგოგიური მიმართულება იყო გამეფებული, როცა სამკალი ფრიად იყო და მუშაკნი-კი მცირე, დიდი სამსახური მიუძღვის ჩვენი ერის წინაშე. განსვენებულმა თავისი ენერგიულა მუშაობით, საქმის სიყვარულით დიდი ამაგი დასდო ქუთაისში ჯერ თავის კერძო სკოლას და შემდეგ სათავად-აზნაურო სკოლებს ქუთაისში და ტფილისში, შემდეგ კი ხონის საოსტატო

დირექტორმა და მასწავლებლებმა საერთო თათბირი იქონიონ იმის შესახებ თუ, რა პედაგოგიური წესი იქნეს შეტანილი სწავლებაში, რომ უკეთ სწარმოებდეს სწავლის საქმე სახალხო სკოლებში. ეს იყო საზოგადო განკარგულება ყველა გუბერნიებისათვის, სადაც საოსტატო სემინარია არსებობდა. განსვენებულმა ალექსიმ 1912 წლის 18 ქრისტეშობისთვის მოიწვია ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორ-ინსპექტორები, რომელთაც აღძრეს საკითხი რუსული ენის



„ალექსი ჭიჭინაძე კუბოში გადასატული მოწაფის ს. ბერეჟიანის მიერ“.

სემინარიას, რომლის დირექტორად იყო ათი წლის განმავლობაში.

განსვენებულის მოღვაწეობას ხონის სემინარიაში თავისი ისტორია აქვს, მაგრამ აქვე გვინდა აღვნიშნოთ ერთი ფაქტი, რომელიც დღემდის იშვიათად თუ ვინმემ იცის. 1911 წელს ბორჯომის კურსებზე, რომელსაც დაესწრნენ სახალხო სკოლების დირექტორები, სასწავლო ოლქის მზრუნველის წინადადებით გადაწყდა, რომ სახალხო სკოლების დირექტორ-ინსპექტორებმა და საოსტატო სემინარიის

სწავლების შესახებ სახალხო სკოლებში და ამტკიცებდენ, რომ რუსული ენის სწავლება სახალხო სკოლებში პირველ ენკენისთვის უნდა იწყებოდეს, პარალელურად უნდა ისწავლებოდეს სამშობლო ენის წერა-კითხვასთან. განსვენებული ალექსი და მისი თანამოსამსახურე მასწავლებლები წინააღმდეგს ამტკიცებდენ და საბუთიანადაც. მოწინააღმდეგენი კი საბუთს არ დაგიდევდენ, მხოლოდ დაჟინებით მოითხოვდენ ასე უნდა იყოს.

ყოველივე ოქმში ჩაიწერა, მაგრამ მო-



ქართული  
ლიტერატურა


წინააღმდეგეებმა ოქმს ხელი არ მოაწერეს და სთქვეს ჩვენს აზრს თვითონ ჩვენვე წარვუდგენთ მზრუნველსაო. ცხადია თუ რა დაბეზღებას წარუდგენდნ მზრუნველს ალექსიზე, რომლის ყოფილი მოწაფეები მტკიცედ იცავდნ სკოლებში 81 წლის სასწავლო გეგმას და სახალხო სკოლების დირექტორის სურვილს ანგარიშს არ უწევდნ. ყველა ამას, რასაკვირველია, ალექსის გავლენას აწერდნ. ცხადია, ამიტომაც რომ სახელმწიფო სამსახურში განსვენებული სულით იტანჯებოდა და მოვლოდა იმ დროს, როცა სამსახურს დაასრულებდა და პენსიით გამოვიდოდა. ეს სურვილი შეუსრულდა განსვენებულს, სამსახური დაასრულა, მაგრამ არა ახალის პენსიით, რის მოლოდინშიაც იყო.

ორმოცი წლის განმავლობაში საპედაგოგიო ასპარეზზე მოქანტულს მოსვენება და ძალის შესაფერი სამუშაო ერჩია, მაგრამ გარემოებამ აიძულა ბოლოს ისეთი მძიმე ტვირთი მიეღო თავზე, რომლის ატანა მისს დაუძლეველს სხეულს არ ძალედვა. მაინც გასაოცარის მხნეობით შეუდგა იგი გიმნაზიის ხელმძღვანელობას

და უკანასკნელი ჯანი მას შეაღწია. შეუძლებელია სახელმწიფო სამსახურში პენსია დამსახულებულს ადამიანს, რაც უნდა უმწიკვლო იყოს იგი, ცოტა რამ დალი მაინც არ გამოაჰყვეს. შეიძლება განსვენებულიც ზოგიერთ საკითხში არა სასურველ გულმოდგინეობასაც იჩენდა, რასაც ზოგიერთები შეიძლება არც კი თანაუგრძობდნ, მაგრამ უცოდველი ქვეყნად არავინ არის და არც განსვენებულის შესახებ შეიძლება ცუდი რამ ითქვას, ვინაიდან მას ფრიად თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის, რასაც კიდევ აფასებენ და მომავალში მიუდგომელი ისტორია კიდევ უკეთ დააფასებს განსვენებულის მოღვაწეობას.

განისვენე მშვიდად, კეთილო ადამიანო, გზა ცხოვრებისა განვლე, მაგრამ შენი ხსენება უკვდავი იქნება როგორც მონაზარდ თაობის, ისე შენი ყოფილ მოწაფეთა გულში, სადაც უხვად ნერგავდი სათნოებისა და კაცურ-კაცობის თესლს. საუკუნოდ იყოს შენი ხსენება.

კახაბერი



## ნ. ბარათაშვილის ხსოვნას.

(დაბადებიდან ასი წლის შესრულების გამო)

სულმნათო მადლი შენს გამჩენს  
დიდება ერსა შენს მშობელს,  
და ძეგლად სამარადისოთ  
ნეტარ ხსენება ამ სოფელს.

აკაკი

როდესაც ირგვლივ შეება იყო გამეფებული,  
განცხრომის ძენი ეძლეოდნ ღებნას, სიხარულს,  
როს თვისი ვალი ყველას ჰქონდა დავიწყებული,  
ქარმან ჩრდილოსმან როს დაჰბერა შენს ობოლ მამულს,



როდესაც ყველგან ქართველის ჰენი განცხრომას გრძნობდენ,  
 და გაისმოდა კვლავ: „ლოთებო ნეტავი ჩვენა“.  
 როცა ყველანი განცხრომაში დროს ატარებდენ  
 და დაევიწყათ თვის სამშობლო, მის ტანჯვა-ლხენა; —

მაშინ განგებით მოველინე შენ ერს მგოსანო,  
 სევდიან ჰანგზე კვლავ მომართე ჩანგის სიმები,  
 და შენს გარშემო შენ იხილე, მზევ სხივოსანო,  
 მხოლოდ ღალატი, ცბიერება, სამშობლოს მტრები.

შენ დასტიროდი უდროთ ჩამქრალ ბედსა ქართლისას,  
 თავისუფლების მზეს ივერთა ჩასვენებულსა,  
 შენ დასტიროდი ამა სოფლის ამაოებას,  
 და მარტოობას მწუხარებით შეზავებულსა.

სცხოვრობდი მარტო სულით მწირი, მიუსაფარი,  
 ამა ქვეყნისა არ გიგრძენია შენ შვება-ლხენა;  
 ამ ქვეყანაზე არ გყოლია შენ მეგობარი,  
 თუმცა კი გსურდა შენნი წყლულნი სხვისთვის გეჩვენა.

ხშირად მთაწმინდას სევდიანი ესტუმრებოდი,  
 მას ერთს ანდობდი შენსა სევდას, ფიქრსა გულისას,  
 ხან მტკვრისა ტალღებს წარსულ ამბებს ეკითხებოდი,  
 მასში ხედავდი უტყვ მოწამეს შენ წარსულისას.

და თუმც გიმუხთლა ავმა ბედმა, არ გაგახარა,  
 შენი სიცოცხლის თუმცა აღრე მზე ჩაესვენა,  
 მაგრამ, მგოსანო, შენს საქებრად ნუ თუ არ კმარა,  
 რომ შენი ლექსი სიკვდილითაც არა გკლავს შენა?

აჰა, აზვირთდა საქართველო, ერი ქართველი,  
 დღეს ზეიმს გიხდის, გიხდის შენი ერი, შენი ქვეყანა,  
 ვინცა უკვდავ ჰყო თვის დიდებით თვისი სახელი,  
 იგი მშობელი ერის გულში მოჰკვდება განა?

შენც უკვდავი ხარ სათაყვანო ჩვენო მგოსანო,  
 ვიდრე არსებობს საქართველო, ერი ქართველი,  
 მარად თაყვანს გცემს საყვარელი შენი სამშობლო,  
 და ქართველ ერთან კვლავ იბრწყინებს შენი სახელი.



# ჰუმარისტ გზაზე

(შილდერ მიხაილფსკისა)

(გაგრძელება \*)

## IV

3 იცილდე ყველაფერი და წიგნებისთვის აღარაფერი გადამრჩა. მიშა კი იძლეოდა და იძლეოდა სხვა და სხვა კითხვებს—ქიმიდან, ბოტანიკიდან და, რწმუნდებოდა ჩემს უცოდინრობაში.

ძნელი ასატანი იყო ჩემთვის ეს ფიქრი, რომ ბოლოს სრულიად დაჰკარგავდა ეს ბავშვი ჩემდამი პატარისცემას; აღარც ვეყვარებოდი და იქნება სრულიად უგულოდ და მომისმენდა ჩემს მარტო ღრამატიკის წესების ახსნას. გადავწყვიტე უარის თქმა ამ ჩემთვის ძვირფასს საყვარელ ბავშვის სწავლებაზე. ვერ შევძელი კი პირდაპირ ბავშვისთვის ამის თქმა და იმის მოზობლებს მივწერე ჩემი განზრახვა. მეგონა ამით გათავდებოდა ყოველივე, მაგრამ შევცდი. მოვიდა ჩემთან მიშას მამა, ის ჯერ ისევ ახალ გაზდა იყო. სცხოვრობდა მივარდნილ მიყრუებულ ალაგს არა თავისი სურვილით, არამედ აუცილებელ საჭიროებისათვის.

— ალექსანდრე ნიკოლოზის ძევ, რას ნიშნავს ეს? ალბად უკმაყოფილო ხართ რითიმე ჩვენი, — მკითხა სასიამოვნო ხმით.

— არა. მე დიდად კმაყოფილი ვარ თქვენი, — დავიწყე აღელვებით.

— თუ უარს გვეუბნებით, ეს იმას არ ამტკიცებს, რომ კმაყოფილი ხართ. თუ

ფასი გეცოტავებთ, მზად ვარ მოგიმატოთ, მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩემთვის აღვილი არ არის.

— ფასი საკმარისია. მხოლოდ დრო არა მაქვს.

ენა არ მემორჩილებოდა მართალი მეტყვა და, ვტყუოდი. მიშას მამას სახე მოეღრუბლა.

— ეხ, ალექსანდრე ნიკ—ძევ, არ არის კარგი აგრეთი მოქცევა — მითხრა და საყვედურიან კილოში. გულკეთილობა გამოკრთოდა; — წინედ უნდა მოგეფიქრნათ სწავლებისათვის გეჰქმნებოდათ დრო, თუ არა. კარგათ იცით, ეს ბავშვია ჩემთვის ერთად ერთი საუნჯე. იმედი მქონდა, გამოცდების ჩაბარების შემდეგაც გაუწევდით დახმარებას გაკვეთილების მზადებაში; მინდოდა აღზრდილიყო ფხიზელ-გაგებულ ერთად-ერთ მასწავლებლის გავლენის ქვეშ. გონება ამერია, დავიბენ. ეს კაცი გამოსტკვამდა იმ შეხედულებას და აზრს, როგორსაც ესაა, ამ წუთს თვით მე ვულოლიავებდი. მიშას მამა განაგრძობდა მასწავლებელი ხომ ფეხსაცმელი ან ტილოს ნაქერი არაა, რომ აღვილი გამოსაცვლელი იყოს, თქვენ რომ მამა იყოთ, უეჭველია უფრო სერიოზულათ შეხედავდით ამ საგანს. მიხვდებით რა სიბოროტე სუფევს მასწავლებლის გამოცვლაში. ამაზე აღარას ვამბობ, თუ მიშასთვის რა ძნელი იქნება ახალი მასწავლებლის მეთოდის შეთვისება, რაკი თქვენი მეთოდის ხასია-

\*) იხ. „განათლება“ № 1, 1917 წ.





ოსაა შეჩვეული. ეს კიდევ, ვსთქვათ, არაფერი! თავს ძალას დაატანს—შეეჩვევა! მაგრამ რით აუხსნა მას, რისთვის ანებებთ თავს,—იმით, რომ გასამჯელო იკოტავეთ? ეს ანებს, ბურუსს მოჰფენს იმის შეხედულებას მასწავლებელზე. უთხრა, რომ უკმაყოფილო ხართ ჩვენს,—აღძრავს მასში იქვს ჩვენს მიმართ,—ამიტომ რომ, ამით თქვენ უცხადებთ უკმაყოფილებას თვით ბავშვს.—ეს კი, იმას სულით დასცემს—დაამარცხებს.

თავხარსა მცემდენ ეს აზრიანი სიტყვები და, ეს-ღა ჩავილაპარაკე, გაბნეულად: უთხარით, რომ მივდივარ აქედან.

— უთხრა და ერთი კვირის შემდეგ კი გზაში შეგხვდეს? მიშამ იცის, რომ ჩვენ მეზობლის ბავშვებს ამხადებთ ეგზამენისთვის,—მომიგო მწარის გაღიმებით და განაგრძო: გულახდით მითხარით რათ ამბობთ უარს ჩემი შვილის სწავლებაზე? მომკიდა ხელი ხელზე;—არ მინდა იმ აზრით დავრჩე, რომ თქვენ ამას უბრალო ეინიანობით სჩადიოდეთ.—ამ სიტყვებზე თვალები ძირს დაუშვი, თითქო ცეცხლში ვიწოდი, ისე მენტებოდა პირი-სახე. ვერ გამოვტეხილიყავ პატიოსნურ საქციელში—თანაც მტანჯავდა ის ფიქრი, რომ თუ არ მეთქვა სიმართლე, ნამდვილი მიზეზი, ექვს ჩაუგდებდა ჩემს პატიოსნებაში. ვყოყმობდი.

— საქმე ის არის, რომ თქვენი შვილი მეტად ჭკუიანია, მეტად ცოდნის მოყვარე და... აქ საშინლად გავწითლდი, ხეა ამითრთოლდა. მას ეჭირვება ნამდვილი შეგნებული მასწავლებელი, რომელმაც უნდა ყოველივე იკოდეს კარგად... მე კი... მე... ჩემი სწავლა-ცოდნა მცირეა... იმდენი სწავლა არ შემწევს, რომ... ამ სიტყვებზე კინალამ ავტირდი. ძალიან ახალგაზდა ვიყავ. მიშას მამამ გაჩუმებულმა

მომისმინა და, რა დავასრულე ლაპარაკი, გაიარ-გამოიარა ოთახში ჩაფიქრებულმა და გაჩერდა ჩემს წინ, ამ სიტყვებით: არა უშავს-რა, განაგრძეთ ჩემი შვილის სწავლება, მცირედის მკოდნე პატიოსანი სჯობიან—ღრმა ნასწავლ ფოიღს.

— ვერ შევიძლებ სწავლებას, არ შემიძლიან, წამებაა ეს ჩემთვის. სირცხვილით ვიწვი, როდესაც ვერ ვახერხებ მიშას მოცემულ კითხვებზე პასუხის მიცემას. ძნელი ასატანია ჩემთვის, რომ ვამჩნევ როგორ ეკარგება თანდათან ჩემდამი ნდობა.—ძლიერ შემიყვარდა თქვენი ბავშვი.

ღრმად ჩაფიქრებულმა ხელ-ახლოვ გაიარ-გამოიარა და ამოახვრით დაილაპარაკა: მშვიდობით! თუ შეხვდეთ მიშას, უთხარით, რომ ღრო არა გრჩებათ გაკვეთილებისთვის, და რომ აუცილებელი საქიროების გამო განაგრძობთ მეზობლის ბავშვების მზადებას—გიმნაზიაში მისაღებათ.

კეთილმა ადამიანმა გამომიწოდა ხელი და დაუმატა:

— იქნება შემოიაროთ ჩვენსას. ვისურვებ თქვენ და მიშა წინანდებურად მეგობრებათ დარჩენილიყვეთ— ისეთის ალერსიანის კილოთი მელაპარაკებოდა, როგორც თავის ნამდვილ შვილს. მადლობის ნიშნად გრძნობით ჩამოვართვი ხელი.

V

„ვინც პატიოსნურად მოქმედებს—დამშვიდებულიც არისო“ უთქვამს ვილაც— სიბრძნის დამჩემებელს ტუტუცს, რომელსაც არა სცნობია ცხოვრება, არც ადამიანის გული და, უმეტესად სიმშლილი. პირველად ვკრძნობდი ჩემ სიცოცხლეში, სრულის სიცხადით, რომ, მოვიქეც ნამ-



დვილ პატიოსნურად და იმავე დროს კი, არაოდეს ამ ნაირ მოუსვენარ მდგომარეობაში არა ვყოფილვარ. პატიოსნება რომ მეხმარა, ამისთვის დამჭირდა ჩემთვის ძვირფას ბავშვთან დაშორება, მის აღზრდაზე ხელის აღება.

მეორე დღეს, ჩემი ბინის პატრონის— მკერვალ „პარიჟიდან გადმოსულ“— ტრიფონოვის ლხინში ვიყავ.

— ნუ დაგვიწუნებთ კამპანიას, დალიეთ, ალექსანდრე ნიკოლოზის ძე! მაწოდებდა ხშირად ჭიქით სასმელს, ტრიფონოვის მეუღლე.

— აბა, თქვენც მოგვეთ სიმღერაში, ალ, ნ—ძვე, — მეუღლეზე უმეტესის სითამამით მომმართა ტრიფონოვმა.

ოთახის ერთ კუთხეში, საკინძ ჩამოხსნილი იჯდა ცილა და გარმონას აჭყვიტინებდა.

— რას მოგიღუშია სახე, — გადამეტებულის სითამამით „შენობით“ დამიწყო ლაპარაკი: სულ წიგნები და წიგნები! წიგნი რა არის? წიგნებით ჭკუაზე ირყევიან. კითხულობენ, კითხულობენ და შეიბრკებიან. დალიე, მოქანცულ ტვინს შეღავათს მისცემს. კუთხეში მჯდომარის გულის გამაწვრილებელ მუსიკასაც დასასრული არა ჰქონდა; თანაც ზედვე დამღერდა და ფეხსაც აყოლებდა იატაკზე ბაკუნია.

— თუნდ\*გაკვეთილები, — განაგრძობდა ტრიფონოვი; საიტკენ მიჰყავს ამ გაკვეთილებს კაცი? რა სარგებლობაა? არც შენ გასუქდები იმით, არც არაფერი აზრიანი გამოდის. მხოლოდ ნასწავლ ვირთავგებს გაამრავლებთ... მერე რა ნაყოფიერია ეს ხალხი, — ვერავითარი თრიქი ვერ ამოყოფტს.

— ცხადია, ჭინჭრის თესლის არიან... შენიშნა ერთმა სტუმართაგანმა.

— სწორედ, ჭინჭრისა, — დანათანხმებული ტრიფონოვი და გადმომწვდა ისევ მე: ალექსანდრე, დალიე. ბოთლს რას უცქერი, კიდევ გვაქვს. სასმელზე უარს ნუ ამბობ.

მე არც მიფიქრია უარის თქმა.

— თავი მოსტყვებია, მთვარესავით უზინავს და ხუჭუჭ თმებზე კი მღერის. ეტყობა შენი თმა დედაბერს უვარცხნია! დაუკარ ტრეპაკა ვითამაშო. საშა, არ იცი თამაში?

— არა. — ვუბასუხე ტუტუცურად მოლიმარემ.

— მარტოც კარგად ვითამაშებ. შენ კი, იმღერე.

იწყეს ყველა იქ მყოფთ ხტუნვა, თანაც იმათ ფეხ ქვეშ. კაკლის ნაჭუჭებს გაჰქონდათ ტკაცუნნი. ყოჩაღ! — დაასრულა ტრიფონოვმა. ახლა, დავლიოთ! საშა, მღერა იცი?

— ვიცი.

— მაშ, იმღერე!

— ვიმღერო? — წამოვიღულღულდე გაშტრებულმა.

— ჰო, იმღერე როდესაც გიბრძანებ! რა თავპატიჟს იღებ!

სულ ერთიან მოვიკრუნჩხე სავარძელში. არ ვიზიარებდი ტროფონოვის მხიარულებას, ჩემს თავში გამოინასკვა მარტო ის ფიქრი, რომ ეს მკერვალი თავხედათ, უდიერად მეპყრობა, მიზრძანებს კიდევ. სასმელიც თანდათან მერეოდა... ბურანში წავეღ.

— მასხარავ, რა ვირივით ჩამოგიყრია ყურები, გაჭყვიროდა მკერვალი. იმღერე!

— არა, შენ... მასხარას ნუ მეძახი, ნუ მიბედავ მე... მასხარა არა ვარ, — დავიწყე გულნატკენმა, ენა დაბმით.

— მაშ, ვინა ხარ? — გაიცინა მკერვალი. რა ნაციის მასხარა ხარ, ნამღვილი





მასხარა! ერთი დახეთ როგორ გაცხარდა.  
 — არა, მაგას ნუ მიბედავ შენ... ეს მე ძალიან მწყინს. ძალიან შეურაცხმყოფს... და... უეცრად მწარედ ავტირდი, თავ ჩაკიდებული შუბლზე ჩამოყრილი აბურდული თმები მთელ პირისახეს მიფარავდა.

დელა-კაცი ყოფილხარ შენ, ლაჩარი! არ მეშვებოდა ტრიფონოვი.

— შეურაცხმყავით, ძალიან, ძალიან... ვიმეორებდი განუწყვეტლივ მტირალი.

— ძალიან დავეძებ შენს შეურაცხყოფას, აი!

ამაზე უფრო მწარედ მოვმართე ტირილი... ვილაც თითქო მეფერებოდა, მკოცნიდა და, მერე დამაწვინეს დასაძინებლად,

**ნატ. გიგაური-გაბაევისა.**

(შემდეგი იქნება)

**„შენ კვლავ მარტო ხარ!..“**

მეც ვიცი სიმღერა... მეც ვაყოლებ გულს მის სინარნარით...

არტახებიდანვე მომესმის იგი... არტახებიდანვე, როდესაც მომშორდა დელა უწყვეტლივ მესმის ის უცხო, ჰანგი...

ის ჩემი სიმღერაა...

მას მღერის ჩემი სული...

დედის ნანინის ნაცვლათ მან მიფსალმუნა, მან მომგვარა სევდიანი სიზმრები, რომელნიც ეხლაც მავალალებენ და მაგლოვებენ...

ყური დაუგდეთ:

შენ... შენ მარტო ხარ...

მარტო ხარ... ტლუ ხარ...

ობოლო... მწირო...

და მე ვიცი, რომ მას ვერ ჩაახშობს გერარა ძალა...

შეიძლება გასაულოთ მშვენიერება... შეიძლება მოსპოთ მხიბლავი ზღაპარი, შეიძლება გააცამტვეროთ ოცნების კომკი... მაგრამ მას... მწარ-ტკბილ ნანინას თქვენ ვერ ჩამიკლავთ...

როდესაც ქარიშხალი ზრიალებს და ივა-წივით ჰქსაქსავს ფოთოლ ყვავილებს, როდესაც იებს ასაფლავებს მკაცრ სულთათანით,— მაშინ გულის სიღრმიდან მომესმის იგი ნაცნობი ჰანგი:

ობოლო მწირო, ობოლო მწირო,

ხომ, ხომ მარტო ხარ ობოლო მწირო?!

როდესაც გაზაფხული უხვად ჰფანტავს ოქროს სიზმრებს... როდესაც გაზაფხულის გარიჟრაჟი სხივთა ამბორით აარწივებს და აფრთა-შავარდნებს თვით ბეჩავმონებს...

მაშინაც კი... მაშინაც კი...

უდარდელი შიქასტის ნაცვლად იგი სიმღერა აღნება სმენას:

შენ კვლავ მარტო ხარ...

შენ კვლავ მარტო ხარ...

ჩემო სულიკო...

და მაშინაც კი... მაშინაც კი, როდესაც მეგობრის სახე წარმომიდგება ნათელ ღიმილით... როდესაც მისს სურათის წინ მუხლ-მოდრეკილი ვაფრქვევ მწველს ცრემლებს, როცა მას ველი ვით მზეს დღე ბნელი,— მაშინაც კი, ვაგლახ მაშინაც სულის სიღრმიდან შემომესმის იგივე სიმღერა:

ჰხა, ჰხა, ჰხა, ჰხა, ჰხა!..

შენ კვლავ მ-რტო ხარ...

შენ კვლავ მარტო ხარ ობოლო, მწირო..

შენ კვლავ მარტო ხარ!..

**დ. თურდოსპირელი.**

ქ. ტარნაპოლი.





# მ ა რ ი

ოთხშაბათ დილით მეზადური იდგა ნავში. აფურთხებდა წყალში და გულიანად ილანძლებოდა.

— აგერ თითქმის ერთი კვირაა არაფერი გამიკეთებია აღმოსავლეთის ქარის მოლოდინში, — სთქვა იმან. — რამდენი ხანია რაც დასავლეთის ქარი ჰქრის. ჩემი თევზები ღვებთან და, რასაკვირველია, გავლარიბდები. ყური დამაგდე, ქარო, ნუ თუ შენ, შენ მიმართულებას არ შესცვლი?

— არ შემიძლიან, — მოწყენით მიუგო ქარმა.

— აი შე, ბორიატო, საძაგელო, დაუნდობელო? — მიაძახა მეზადურმა.

სამშაბათ დილით ვაშლის ხის კოკრები გადაიშალნენ.

— დღეს ჩემთვის ძალიან დიდმნიშვნელოვანი დღეა, — სთქვა ვაშლის ხე. — დღეს ჩემი ბედი სწყდება. საყვარელო, ძვირფასო ქარო... დღეს მე ვიფურჩქნებ... თუ ღმერთი გწამს ნუ წამომიქროლავ. ყვავილები რომ დამცვივდეს ქარისაგან, აღარც ერთ ვაშლს არ მოვიბამ. გემულარები, დღეს სიცელქეს თავი დაანებე, ჭკუიანად იყავ.

— მე თვითონ მინდა, რომ არა ექროდე, მაგრამ არ შემიძლიან — უპასუხა ქარმა.

ამ სიტყვებთან ერთად ქარმა ერთი თავისებურად გიჟმეურად წამოუბერა და გაიტაცა ვაშლის თეთრი ყვავილები.

— ქარო, ბორიატო, ავო, ავო! — შეუტია ვაშლის ხემ.

ოთხშაბათ დილით ქეწისქვილე იდგა თავის წისქვილთან და ცას უცქეროდა.

— აბა, დაჰქროლე, დაჰქროლე, ჩემო ქარო, — სთქვა იმან. — დღეს უნდა დავფქვათ. მე ისეთი სულელი არა ვარ, როგორც მეზადური. ჩემთვის სულ ერთია აღმოსავლეთიდან წამოუბერავ, დასავლეთიდან, სამხრეთიდან თუ ჩრდილოეთიდან. საიდანაც გინდა იქროლე, ოღონდ იქროლე კი. მაგრამ თუ არ დაჰქროლავ, მაშინ იცოდე ძალიან გაგრიჯავრდები.

— აქა ვარ, აქა, — წაიხურჩულა ქარმა და ამოდრავდა ქარის წისქვილი.

— ეხლა კი დროა ჩავდგე, — სთქვა ქარმა. მიუხრდა და წისქვილიც დადგა.

— ფუი, საზიზღარო ქარო, — უკმაყოფილოდ ბუტბუტებდა მეწისქვილე.

ხუთშაბათ დილით ფანჯარასთან იდგა ავადმყოფი ბიჭიკო და მოწყენით ქუჩაში გაიცქირებოდა.

— ქარო, ქარო! მითხარ რომელი მხრიდან ჰქრი? — ნადვლიანად ჩაეკითხა იგი ქარს.

— აღმოსავლეთიდან, — დაიგრილა ქარმა.

— საყვარელო, ძვირფასო ქარო! ან გამოსცვალე შენი მიმართულება, ან სრულიად ჩადექი, — უთხრა ბიჭიკომ. მე ძალიან ავად ვიყავი და ექიმმა ამიკრძალა სეირნობა, როცა აღმოსავლეთის ქარი ჰქრის. მერე რომ იცოდე როგორ მინდა სეირნობა. წრეულს ჯერ სრულიად არა



ყყოფილვარ ტყეწი და არც ერთხელ არ გამისროლია ის ისარი, რომელიც დაბადების დღეს მაჩუქეს. ქარო, ქარო! ჩადექი, შემობრალე ავადმყოფი პატარა ბიჭიკო. იცი მერე როგორ მინდა სეირნობა?

— არ შემოდლიან, — დაისისინა ქარმა და წამოუბერა.

ბიჭიკოს გული ამოუჯდა, მიეყრდო ფანჯარას და ცრემლები გადმოყარა. ბოლოს გაბრაზებით დაარტყა იატაკს ფეხი და შესძახა:

— მაშ მძულხარ, მეჯავრები, საძაგელო ქარო! და მოშორდა ფანჯარას.

პარასკევს დილით მღვდლის ცოლი სარეცხსა ჰყენდა.

— იქროლე, იქროლე ქარო, — იძახდა იგი და თან სარეცხს ჰყენდა. — სადილო-ბამდინ ჩემი სარეცხი სულ გაშრება. მაშ შემედლება ვსთქვა, რომ ბედი მქონია.

შუაღლისას ქარი გრიგალად გადაიქცა.

სარეცხის თოკს ჯოხები გამოსცვივდა, თოკები დაწყდა და მთელი სარეცხი მიწაში ამოივანგლა.

— უი შენ ჩემო თავო! — წამოიყვირა მღვდლის ცოლმა და მუხლები გამოითქვიფა ცემით. — რასა ჰგავს ეხლა ჩემი სარეცხი, ხელმეორედ გასარეცხი გახდა. ამ წყეულმა ქარმა ყველაფერს შნო და ლახათი დაუკარგა.

— ჩემი ბრალი არ არის, — დაიხუზუნა ქარმა.

შაბათ დილით დამწიფდა ბაბუას წვერას თესლი. რა საყვარლად გამოიკვირება იგი მწვანე ბალახიდან. მოუთმენლად ელოდა როდის წამოუბერავდა ქარი და როდის გაიტაცებდა მინდორზედ. ბაბუას წვერა ამაყობდა ლამაზი თესლებით.

— რა სასიამოვნოა, როდესაც შვილები ახარებენ მშობლების გულს, — სთქვა იმან. — მე მავათვის ვყვოდი, გამოვზარ-

დუ ასინი, ეხლა კი თავიანთ თავზედ თვითონ იზრუნონ. თუ ყველანი ერთად დავცემიან ძირს, დედა-მიწაზედ, ღმერთმა დაიფაროს, ამოსვლის დროს ერთმანეთს დაახრჩობენ. ამიტომაც თვითველ მათგანს ქოლგა მივეცი, რომ იმით ცოტა შორს გაფრენა შესძლონ. ასე იფანტება აქეთ-იქით ჩვენი ოჯახი მთელს ქვეყნიერებაზე. მოფრინდი საყვარელო ქარო და წაიღე ისინი. მე არაფერი მინდა გარდა ზაფხულის წყნარი სიოსი.

— არ ძალმიძს, — მიუგო ქარმა და არ იქროლა. ირგვლივ სიჩუმე სუფევდა.

— ბოროტო ქარო, — ილანძღებოდა ბურბუშელა. — გუშინ ისე გლეჯდი არემარეს, რომ მთლად გაუფუჭე სარეცხი მღვდლის ცოლს, დღეს კი არ შემედლიან მინდორში წაიღო ჩემი პაწაწა შვილები?! როგორ არა გრცხვენიან? ჰა?!

— არ შემოდლიან, — ოხვრით მიუგო ქარმა.

კვირა დილით ქარი ლობესთან იწვა-გვერდით თავგი ეჯდა და თათს ილოკავდა.

— რასა ოხრავ, ქარო? — ჰკითხა თავგმა.

— როგორ რასა? — წაიტუტუნა ქარმა. — განა ქვეყანაზედ ჩემზედ უბედური იქნება კიდევ ვინმე?

— შენ მეტის მეტად აჭარბებ! — დაიწრიბინა თავგმა. თუმცა ახლო კი არ გიცნობ. მე პატარა ვარ, დედა-მიწაზედ დავრბივარ, შენ კი მუდამ თავზედ დამტრიალებ. მაგრამ ამ ცოტა ხნის წინად შენზედ სრულიად სხვა გავიგე.

— მაქებდნენ? — ჩაეკითხა სიხარულით ქარი — ვინა? მიაშვე ჩქარა!

— მგოსანი, — მიუგო თავგმა. — აი აქ იჯდა თავის სატრფოთი და უკითხავდა მას ლექსებს, რომელშიაც შენ ქებათაქებას გასხავდა.

— ეჰ, მგოსანი!... — უკაყოფილოდ ჩაი-



შრილა ქარმა.—რას ამბობდა იმ ლექსებში?

— ის ამბობდა, რომ შენ ნაზი და ალერსიანი ხარ, რომ შენ ეალერსები მის სატრფოს ლოყებს, ეთამაშები მის კულულებს,—უთხრა თავმა.

— რასაკვირველია,—სთქვა ქარმა.— ამას წინად კი ძალიან მლანძღავდა, რომ ჩემის მეოხებით მას ცხვირი გაულურჯდა და თმაც აეწეწა.

— იგი შენ ამაყს და ლამაზს გეძახდა, მეტადრე მაშინ, როდესაც აბუტბუტებ ზღვას და ტალღას-ტალღაზედ მიაგორებ.

— ამ სამი დღის წინდ კი, როდესაც იგი ნავით დაცურავდა და ზღვის ავადმყოფობა დაეშართა, მაშინ ისე მლანძღავდა, რომ შემზარა. არა, არა, ის სხვებზედ უკეთესი არ არის.

— ჰოო! თუ ყველანი შენზედ ესე გაბრაზებულები არიან, მაშ საქმე კარგა არ არის,—დაუწრიბინა თავმა.

— ოხ, ღმერთო ჩემო!—ოხრავდა ქარი. ოხრავდა და უჩიოდა თავის მწარე ბედს.

— იცი რა?—უთხრა თავმა.—თუ რამე გაწუხებს, მითხარი, ამით შეღავათი მოგეცემა. მე წელანაც გითხარი და ეხლაც ვიმეორებ, რომ შენს საქციელს ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს. შენ ჩემთვის არც სიკეთე გიქნია და არც სიავე.

— მე, ყველაზედ უბედური არსება ვარ ქვეყანაზედ,—დაიშრილა ქარმა.— ყველას მე ძლიერი ვგონივარ და ხან რასა მთხოვენ და ხან რასა. მე კი მხოლოდ საბრალო მსახური ვარ, რომელიც ასრულებს თავის ბატონის ბრძანებას და უბრძანებლად განძრევის ნებაც კი არა მაქვს.

— ჰოო! ამას მე სრულიად არ მოველოდი,—სთქვა თავმა.

— სრულ ქეშმარიტებას გეუბნები,—

მიუგო ქარმა.—ყოველ დღე მე მიმეტყობ მლანძღავენ, რომ ჩემი ბატონის ბრძანებას ვასრულებ.

— ვინ არას შენი ბატონი?—ჩაეკითხა თავგი.

ჩემი ბატონი მზეა,—უპასუხა ქარმა.— ის არის მიზეზი ყველა იმ ბოროტებისა, რომელიც მე ხალხს მივაყენე იმის წყალობით და მე კი მსჯიან.

— აბა მიაბე,—უთხრა თავმა.

— გეტყვი მოკლედ. ყური მიგდე. აი ეხლა მე ჩემთვის ჩუმი ვწევარ, კატასაც კი არ ვაწყენებ.

— ოჰო!—წამოიყვირა თავმა.—იცი თუ ვისთვისმე მე სიავე მომინდომებია, ეს კატისთვის.

— კარგია თუ ცუდია, ეს ჩემთვის სულ ერთია—მიუგო ქარმა. მე ჩემ თავად არაფრის გაკეთება არ შემიძლიან. მაგრამ ყური დამიგდე. საქმე აი რა არის: როდესაც აღმოსავლეთისკენ მზე ძალიან ანათებს, მაშინ მე—მინდა თუ არა—სწრაფად აქედან უნდა გაფრინდე და გადავიქცე დასავლეთის ქარად.

— მე რომ ვერ მოგეწევი,—უთხრა თავმა.

— რასაკვირველია,—განაგრძო ქარმა.—მზისაგან გამთხარი ჰაერი ზემოთ ადის. თბილი ჰაერი მუდამ მაღლა მიდის, რადგანაც იგი ცივზედ ბევრად სუბუქია.

— ეგ ჩემთვის სულ ერთია,—უთხრა თავმა, რომელსაც არ ესმოდა რას უამბობდენ და თავის თავს შეურაცყოფილად სთვლიდა.

— ჩემთვის კი სულ ერთი არ არის,— შეტყვირა ქარმა.—რადგანაც იქ, სადაც წინად ჰაერი იყო, ცარიელი ადგილი რჩება, ამიტომ მე მიბრძანებენ: „ე. ი. შენ ქარო, აბა ჩქარა დაჰქროლე, სუფთა ჰაერი მიიტანე იქ!“ ვიდგე თუ





ვიწვევ, გინდა თუ არა. უნდა მაშინვე გავკურცხლო იქითკენ, რაც ძალი და ღონე გაქვს; თუ აღმოსავლეთის ქარი ვიყავი, ეხლა დასავლეთის ქარად უნდა გადავიქცე.

— ჰოო! აი საქმე რაყოფილა, — წაიბუტბუტა თავგმა. შენ მხოლოდ ბრძანებას ასრულებ!

— დიანს! მიუგო ქარმა, — მე წინდაწინვე არ ვიცი საით დავქროლავ, გამოვობრძანება და მეც მზათა ვარ. თუ ჰაერი არა თბება, მაშინ ჩემთვის ჩუმად ვწევარ და იძულებული ვარ მოვისმინო ლანძღვა-გინება იმ ადამიანებისა, რომლებსთვისაც მე საჭირო ვარ. მე თვითონ არ ვიცი სად გავჩერდები. თუ ბრძანება აღმოსავლეთიდან გამოიცა, მე დასავლეთიდან ვქრი. გზაში კი აუარებელი წყევლა-კრულვა მესმის იმათგან, ვისაც იმედი ჰქონდა, რომ მე აღმოსავლეთიდან დაუბერავდი.

— ეს ცოტა არ იყოს სასიამოვნო არ არის, — სთქვა თავგმა.

— საშინელებაა, — ჩიოდა ქარი. — იცი, თუ მზეს მოესურვა ერთ რომელიმე ალავის მეტად გაშუქება, მაშინ მე ქედ მოგლეჯილი უნდა გავექანო იქით, რომ დროზედ მივასწრო. აი მაშინ გადავიქცევი ხოლომე საშინელ გრივლად, ვგლუჯხეებს, სახლის სახურავებს, ვამტვრევ ვემებს. ხალხი კი მე მდებს ბრალს ამ საშინელ სიავეში და მე მივაჩნევართ უბედურების მიზეზად. მაგრამ შენც კარგად ხედავ ეხლა, რომ მე აქ არაფერ შუაში არა ვარ.

— შენ მძიმე ბედი გხვდა წილად, — დაეთანხმა მას თავგი. — ცხადია, რომ შენ კი არა ხარ საცემი, საცემი მზეა.

— რასაკვირველია. მაგრამ მზეს ისინი

თავყვანსა სცემენ, თითქმის მასზედ ცულობენ.

— განა არ შეგიძლიან შენ დაავალო ვისმეს აუხსნას ხალხს საქმის ვითარება?

— ვის დავავალო? — თავის ქნევით ჩაკითხა ქარი.

— მოელაპარაკე მგოსანს.

— შენც კარგი ხარ, ეგ რას მიშველის! შენა გგონია მგოსანს აინტერესებს საქმე? იგი ბევრ რასმე ამახინჯებს ლექსების წერის დროს. ეს მე სრულიად არა მწყინს. იგი მე ხან ნაზს და ალერსით სავსეს მუცხის, ხან ამყს და გოროზს. განა იტყვის ის რომ მე საბრალო მსახური ვარ, რომ მე გიჟივით დავქროლავ ერთ კუთხიდან მეორისკენ ჩემი ბატონის ბრძანებით? როგორა გგონია შენ, განა ამას დასწერდა იგი?

— შენი სიტყვები სიმართლეს მოკლებული არ არის, — მიუგო ფიქრში გართულმა თავგმა.

— ყური მიგდე! აგერა ხალხი ბრუნდება ეკლესიიდან. ყური დაუგდე იმათ და მაშინ გაიგებ, რომ მე არაფერს ვამეტებ.

ქარი ღობეს ამოეფარა, თავგი კი ერთ ფოთოლს ამოეფარა და იქიდან ყურ დატკეპტილი გამოიციკრებოდა.


გაიარა მღვდლის ცოლმა პატარა ავადმყოფ ბიჭიკოს დედასთან ერთად. უკან მოდიოდნენ მეზადური, მეწისქვილე და სხვები.

— როგორ არის თქვენი ბიჭიკო? — ჰკითხა მღვდლის ცოლმა.

— გმადლობთ, ნელ-ნელა ღონეზედ მოდის. — მიუგო დედამ, — მაგრამ ქარში გარეთ გამოსვლა მაინც არ შეუძლიან.

— უჰ, ეგ ქარი, — წამოიძახა მღვდლის ცოლმა. — წარმოიდგინეთ... პარასკევ დღით დაფინე სარეცხი. მშვენიერი ამინ-





დი იყო, მშრალი ქარიც ჰქროდა ნელ-ნელა. მიხაროდა, სარეცხი სადილობამდინ დამიშრება მეთქი. მაგრამ, ერთბაშად ამოვარდა საშინელი გრიგალი და მთელი ჩემი სარეცხი ძირს დასცა. დაწყევლილ ქარის გამო ხელმეორედ გასარეცხი გამიხდა ყველაფერი.

— მაპატიეთ, რომ აქამდინ ხორბალი ვერ დაგიფქვით, — ეუბნებოდა მეწისქვილე გლეხ-კაცს. ეს ქარის ბრალია. სხვა დროს მთელი დღე ჰქრის და იმ დღეს კი რაღაც ღმერთი გაუწყრა, ფოთოლიც კი არ ინძრეოდა. მისი იმედი ტყვილად არ უნდა ჰქონდეს აღამიანს.

— ქარი, ყველაზედ უიშველო ყმაწვილია ქვეყნიერებაზედ, — იძახდა მებაღური. თქვენ თუ გულით აღმოსავლეთის ქარი გინდათ, სანაძლეოს დაგიდებთ, რომ იგი დასავლეთიდან წამოუბერავს. როცა არ გინდათ მაშინა ჰქრის, როცა კი სულით და გულით ელით, მეშინ ღმერთი გაუწყრება ხოლმე და გაჩუმდება.

ხალხმა გაიარა.

— სრული ქეშმარიტებაა, — სთქვა ვაშლის ხემ. — სამშაბათს ქარმა მომტაცა ყვავილები უდრო-უდროთ.

— მხეცია, მხეცი ქარი, — იძახდა ბურბუშელა. — შაბათს იმ წყეულმა უარი მითხრა, შენ თესლს ვერ წავიდებო.

— გაიგონე? — ჩეკითხა ქარი თავეს მოწყენით.

— კი და სწორედ გითხრა ძალიანაც მებრალეები, — მიუგო თავგმა.

— ეხლა ხომ იცი ჩემი ბედი. იცი ისიც, რომ თუ რაიმე სიბოროტეს ჩავიდენ ხოლმე, ჩემი ბრალი კი არ არის, არამედ ჩემი ბრძანებლისა. მე მხოლოდ უნდა ყველა ლანძღვა-გინება მოვითმინო, ავიტანო, ხმა არ ამოვიღო. და განა ამის შემდეგ გასაკვირველია, რომ ხალხზედ გაბრაზებული ვიყო?

— რასაკვირველია არა, — უთხრა თავგმა. — სხვა უშენო ამისთანა ცხოვრებას ვერც კი აიტანდა.

— ხედავ... განა გასაკვირველია ამის შემდეგ რომ მე ხშირად სიბრაზით ვღუი და ვკვნესი? ჩემი საშინელი ბედი მაწუხებს, მტანჯავს იქამდინ, რომ ღრიალით მიექროლა ზღვისკენ, ვამტვრევ გემებს, მინდა სახლში შეუვარდე ხალხს, ვაწვები კარებს და თუ ვერ გავადე, ჩავიჭრები ხოლმე ბუხარში და ვღმუი გამწარებული. და იცი მაშინ ხალხი რას იძახის?

არა!

— ხალხი იძახის: ყური დაუგდე რა რიგ ღმუის გრიგალი... ყური დაუგდე, რა საძაგლად უსტვენს ქარი, რა საშინელებაა.

— საწყალო ქარო! — ღრიბინებდა თავგი. ქარმა არაფერი უთხრა, მხოლოდ ამოიოხრა. თავგიც გაჩუმდა, სანუგემო სიტყვის თქმა ვეღარ მოეხერხებინა.

ერთბაშათ ჰაერი შეეშფოთდა, შეინძრა.

— მესმის! — დაიღრიალა თავგმა. — კარგი. სამხრეთისკენ? მივდივარ, მივდივარ!

თავგი გულგახეთქილი გამოვარდა, რომ გაეგო რა ამბავი იყო, მაგრამ ქარმა ის ისე ძლიერ დაატრიალა, რომ თავის სოროსკენ გზა ძლივ-ძლიობით გაიგნო. როცა თავის თავი სოროში უვნებლად დაინახა, ცოტა სული მოითქვა, და ტანის კანკალი აუვარდა.

— ოჰ, საზიზღარო, დაუნდობელო ქარო, — წრიბინებდა თავგი. მე არხეინად, გულ დადინჯებული ყურს ვუგდებ მის სულელურ როშვას, ის კი, ბატონო, მამვარდა, დამატრიალა, თავარცნება დამიკარგა. ავაზაკი! მტარვალის! ეჰ, მართალი უთქვამთ, სიკეთისთვის სიკეთის იმედი ნუ გექნება!



# საისტორიო ფაქტების დამახინჯების ნიმუში

საერთაშორისო ომის რუსის საზოგადოების შეგნებულ ნაწილში ინტერესი გამოიწვია რუსეთის იმპერიის ფარგლებში მქცეულ ერებისადმი. დაიბეჭდა და იბეჭდება მრავალი წიგნი ზოლანელებზე, უკრაინელებზე, ქართველებზე, სომხებზე და ებრაელებზე, რომლითაც რუსის საზოგადოებს საშუალება ეძლევა გაეცნოს ამ ერთა წარსულ ისტორიას და კულტურას, ახლანდელ საჭიროებებს, ერთნაირ ინტერესებს და მით ნათელი წარმოდგენა იქონიონ „ინოვაციებზე“, რომელთა საკითხის გადაწყვეტა ადრე თუ გვიან უნდა მოხდეს. ამიტომაც ასეთი თხზულებები და წიგნაკები უნდა გვიხატავდეს ამ თუ იმ ერის ცხოვრების და საჭიროებათა ნათელ სურათს, მიუდგომელათ და დაუმახინჯებლათ გადმოგვცემდეს ისტორიულ ამბებს და არამც და არამც არ შებღავდეს და დაამტკიცდეს სხვა რომელსამე იმავე ბედშივე მყოფ ერთვინებს.

უკვლავ ამის ვერ გვხვდავთ 134 გვერდის წიგნში, რომელიც გამოიცა გასულ წელს პეტროგრადში: Н. Лаговъ. Армения.

ავტორს, როგორც თვითონ წინასიტყვაობაში ამბობს, უხელმძღვანელებია ლინის ცნობილი შრომით და ბრესკის ნაწარმოებებით, მაგრამ წიგნის გადაკითხვა გვარწმუნებს, რომ ავტორი ან სრულიათ არ იცნობს ზემოდასახელებულ მკვლევარებს ან და უგველივე წაკითხული გაუტარებია მეტად ტენდენციურ შრომაში. აი მაგალითები. მე 14 გვერდზე სომხეთის ისტორიულ მიმდინარეობაში იგი სწერს: „Не-счастное положение страны (Армении), раздираемой на части такими силь-

ными сосѣдями, какими были Византия и турки, отягчилось еще наше-ствиемъ Грузіи.

Въ 1089 году грузинскій царь Давидъ II, пользуясь ослабленіемъ страны, завладѣлъ всеѣмъ сѣверомъ ея“ და სხვა.

რომელ შემოსევაზე ლაშარაკის ავტორი ისტორია გვიჩვენებს, რომ არავითარი ქართველთა შემოსევა, ისე როგორც ამას ლაგოვი ამბობს, სომხეთს არ განუტღობია. დავით აღმაშენებელმა მართლაც აიღო ქ. ანისი 1123 წ., მაგრამ თვით ახელების თხოვნით და ძახილით და ამით განთავისუფლდა იგი თურქების დიდი ხნის ბატონობისაგან. უური დაუგდოთ თვით ისტორიას: სომხის ისტორიკოსი მათე ურჭაველი ამბობს, რომ „ქართველთა მეფემ დავითმა აიღო სომეხთა სამეფო ქალაქი ანისი და მანუხეს შვილები წამოიყვანა ანისიდან ტფილისში და განთავისუფლდა სამეფო ქალაქი ანისი, რომელიც 60 წლის განმავლობაში მონაბაში იყო“ (ივ. ჯავახიშვილი. ქართველ ერის ისტორია გვ. 526). მეორე სომეხი ისტორიკოსი ვარდანი ამბობს: „ამ დროს (ე. ი. დავით აღმაშენებლის მეფობაში) რაკი ანისის ამირა მანუხე მოკვდა, ქალაქს ჭოფლობა და მისი შვილი აბლსოვარ, მსდალი და ლახარა ადამიანი, რომელსაც უნდოდა ანისი კარის ამიქსსთვის მიეუბნა 60,000 დონაზად; აგრეთვე სხათითგან ერთი ძვირფასი და საურსოფო ხალი (მთავრის სახე) მოატანინა, კათალიკო-ეკლესიითგან ჩამოაღებინა წინაშართა მიერ აღმართული (ჯვარი) და გუმბათზე გააკეთებ-



ნა. ამით გუგუშობა ქრისტიანებმა დავით მეფე მიიწვიეს და ქალაქი ანისი მისცეს. (იქვე). ახა სად არის ის შემოსევა, რომელიც სომხებს ტვირთად დაწოლია? არასოდეს სომხებს არ განუცდიათ ქართველების უღელი. ქართველი მეფეების დავით II და გიორგი III დროს თუ ანისი და ჩრდილო სომხეთი გრძობდნენ ქართველ ჯართა სიმძიმეს, ეს თვით სომხეთის ზოლიტიკურ მდგომარეობით იყო გამწვეული. იგი მაშინ თურქების ხელში იმყოფებოდა და სწორედ ამით წინააღმდეგ იყო მიმართული ქართველთა ხმალი, და თუ ნაწილი ამის სიმძიმისა სომხის ხელსაც აწებობდა, მხოლოდ მისი განსაკუთრებული მდებარეობის წყალობით. ანისის ადგა დავით აღმაშენებლის მიერ მოხდა 1123 წელს და არა 1089 წ., როგორც ამ წიგნის ავტორს ჰგონია.

არის ამ წიგნში უფრო განსაკვირველი ცნობა. თუ ეკ პირველი დამახინჯება ისტორიული ფაქტის ავტორის უგუნურებით შეიძლება ჩაითვალოს შეცდომით, მეორე არამც და არამც არ შეგვიძლია ამასვე მივათვალოთ. ავტორი ასწერს სომხეთის მიწა-წყლებს და საზღვრებს და ამბობს: „Это пространство (ასმაღეთის სომხეთი) раздѣлено на пять пашаликовъ: Карскій, Эрзерумскій, Ванскій, Діарбекирскій и Ахалкалакскій или Акискскій; этотъ послѣдній городъ съ прилегающей къ нему мѣстностью отняты были русскими у турокъ въ 1829 г. (გვ. 35). მეორე ადგილას: „Часть Арменіи, принадлежащая Россіи, находится къ сѣверовостоку; она включаетъ мѣстность, ограниченную съ сѣверо-южнымъ склономъ Кавказа; съ востока—Каспійскимъ моремъ; съ юга течениемъ Аракса и съ запада Карскимъ пашаликомъ и Чернымъ моремъ“ (გვ. 36).

მაშ ჯავახეთი, საქართველოს ძველი ნაწილი, რომელსაც ამ სამცხე წლის წინათ მხოლოდ დაუწვეს ხელგუნრათ დასახლება უცხო ტომის ხალხით, ავტორს მიუთვლია სომხეთის ნაწილად და სომხური სახელიც გამოუძენია! სომხეთის საზღვარი ჩრდილოეთით კავკასიონის ქედი ყოფილა და დასავლეთით აღწევს შავ ზღვამდე. სად არის, ახა, საქართველო? რა უფო ავტორმა ქართლ-ჯავახეთს, იმერეთს, რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთს, აფხაზეთს, აჭარა-შავშეთ-ლაზისტანს და სხვა ნაწილებს საქართველოსად, რომელსაც ჯერ კიდევ ასურეთ-ბაბილონელები, ებრაელები-რომაელები იხსენიებენ, რომელიც მუდამ ებრძოდა მაჰმადიან ადამსავლეთს ქრისტიანობის დაცვის დროს და თვით სომხებს თავშესაფარად ემსახურებოდა, საითაც მიეშურებოდნენ კათოლიკე მისიონერები რომის ეკლესიის დასამკვიდრებლად და რომელთანაც რომის ზანებს ისეთი მიწერ-მოწერა ჰქონდათ განადგობული? სად არის ის საქართველო, რომელიც რუსის იმპერიას ნებაყოფლობით შეუერთდა? თითქმის არც კი არსებობდეს იგი დედა-მიწაზე. შეუძლებელია უკვე ამის შეცდომით მიხსნა. აქ ვხვდებით ფაქტების განკვეთს დამახინჯებას და სურვილს თვალში აუხვიონ რუსის საზოგადოებას. ნუ თუ ეს ამოკითხს ავტორმა ლინჩის და ბოლსეს შრომებში?

ცნადი ტენდენციით არის გაუქმებული ნ. ლაგოვის დაწერილი წიგნი, იგი მავნებლად უნდა ჩაითვალოს როგორც სიმართლეს მოკლებული იმართვინაც, ვის სადიდებლადაც ავტორს თავი შეუწუხებია.

ძალა უხებურად დათვიქრებს ყველას ასეთი მწერლის ნაცოდვილად. რით აიხსნება ასეთი მოკლებულობა, ავტორის სრული უმეცრებით სომხ-ქართველთა ისტორიაში, თუ განსვენებული პრაფ. ზატკანოვის ტრადიციების დაცვით, რომელიც უტყუარ ისტორიული საბუთებით მეცნიერების მიერ უარყოფილია.



# რუსეთი

სახალხო განათლების მინისტრის გამცეცა. სრულიად რუსეთის საშუალო სკოლების რუსული ენის მასწავლებელთა ყრილობა.


**წ**არსული წლის მიწურულში სამსახურიდან გადადგა სახალხო განათლების მინისტრი გრაფი ივნატიევი და მის ადგილს დაინიშნა პეტროგრადის სასწავლო ოლქის ყოფილი მზრუნველი ნ. კ. კულჩიცი, რომელიც 1916 წლის 20 იანვარს ივნატიევის მინისტრობის დროს გადაყენებული იქმნა ამ თანამდებობიდან და დანიშნული სენატორად.

არც ერთს სახალხო განათლების მინისტრს ისეთი მტკიცე სიმპატია ფართო საზოგადოებისა მასწავლებლებისა და მოწაფეების მხრით არ დაუმსახურებია, როგორც ივნატიევი. გრაფი ივნატიევი მართლა საოცარის ენერგიით, იშვიათის მხნეობით და ცოდნით ატრიალებდა სწავლა-განათლების საქმეს რუსეთში. ის სხვა და სხვა ზომები, რასაც იგი მიჰმართავდა ხოლმე სწავლა-განათლების საქმის მოსაწესრიგებლად იმედს უსახავდა ყველას, რომ რუსეთში სწავლა-განათლების საქმე წაღმა მოტრიალდებოდა და მით რუსეთის ბედიც საუკეთესოდ შეიცვლებოდა. ამიტომაც სწყინთ ყველას ვისაც კი სწავლა-აღზრდის საქმე საშვილიშვილო საგნად მიაჩნია, რომ ივნატიევი განშორდა იმ საქმეს, რომლითაც მან ადაფრთოვანა რუსეთის ერობა და მთელი შეგნებული საზოგადოება.

ახალი მინისტრის პიროვნება და მისი შეხედულება საგანმანათლებლო ასპარეზზე საზოგადოდ ჯერჯერობით საზოგადოებამ არ იცის. მან აღიარა: „ჩემს შესახებ საზოგადოებას მართალი წარმოდგენა არ აქვს, ახლო მომავალი გვიჩვენებს, რომ მე მტერი არა ვარ იმ რეფორმებისა, რომლის შესრულებაც განძრახული ჰქონდა ჩემს წინამოადგილეს. მე მხოლოდ შევიტან უმსჯელობას, რასაც საჭიროდ დავინახავ“... დღემდის, კულჩიცი მოქმედებდა როგორც სხვისი ნების ამსრულებელი, ახლა კი, როგორც სამინისტროს სათავეში მდგომი, გვიპირდება გამოიჩენს თავის ნებას, რის უფლებაც მას აქვს როგორც ადამიანს, რომელსაც 40 წელიწადი საქმე ჰქონდა მეცნიერებასთან. საზოგადოთ კულჩიცი ფიქრობს ისე დაყენოს საქმე, რომ ნდობა მოიხვეჭოს სახელმწიფო საბჭოში. მომავალი გვიჩვენებს თუ რამდენად ნაყოფიერი გამოდგება ახალი მინისტრის მოქმედება.

შობის უქმეებში (27 დეკ.—4 იანვრამდის) მოსკოვში გაიმართა სრულიად რუსეთის საშუალო სკოლების რუსული ენის მასწავლებელთა ყრილობა, რომელსაც დაესწრო ორი ათასზე მეტი მასწავლებელი 1100 კაცი და 970 ქალი. მთელი სამუშაო დაყოფილი იქმნა ოთხ სექცია-





ში. ყრილობაზე წარმოითქვა მრავალი ყურადსაღები სიტყვა, რამაც გამოაცოცხლა საერთო მუშაობა. პრეზიდენტის თავმჯდომარის ამხანაგმა პ. ნ. სკუფინმა დაასურათა აწინდელი მდგომარეობა სიტყვიერების მასწავლებლისა, რომლის ყოველი ნაბიჯი განსაზღვრულია სახელმწიფო პროგრამებით და სახელმძღვანელოებით და გამოარკვია მასწავლებლის მძლე დანიშნულება უკეთეს თავისუფალ სკოლაში. სიტყვიერებაო, — სიტყვა საკუთნმა, მარტო სასწავლო საგანი კი არის, იგია ნაზი იარაღი აღზრდისა, მასწავლებელს ჩაბარებული აქვს დედაენა სიტყვაკაზმული მწერლობა, იგი სდგას პირველ წყაროსთან, სადაც იბადება სიტყვა და ხორცს იხხამს. აქ კი შეურაცყოფა იქნება და საშიშიც დამახინჯება მისი შემოქმედებითი მუშაობისა, როცა მასწავლებელს გარს ახვევია უნაყოფო რუტინა და ფორმალიზმი. ორატორს სწამს, რომ რუსთა ცხოვრება განახლების გზას ადგას და მასწავლებელიც ახალი ცხოვრების კარზეა. მასწავლებელს თვალ წინ ეშლება შემოქმედებითი გზა.


პროფესორმა ვაგნერმა გაარჩია „რუსული მწერლობა სკოლაში, როგორც იდეალიზმისა“. ლიტერატურა ღრმად სწვდება სულის ყოველ მხარეს, მაგრამ, რასაკვირველია, უფრო ახალი მწერლობა, აღმოცენებული მე XIX საუკუნეში აწინდელი ხელოვნების ხარისხზე. ამას უნდა დაეთმოს სკოლაში მთელი კურსის ორი მესამედი მაინც. ძველი მწერლობა ღარიბია წმინდა-მხატვრული ნაშთებით და ამ „არხეოლოგიაში“ ჭაბუკის მგრძობიარე სული ვერ ჰპოულობს მაღალს გამოძახილს. თუ გვინდა, რომ ჩვენს ყმაწვილებში აღვზარდოთ „სულით გმირები“, მგრძობიარე მოქალაქენი, თვალწინ

უნდა გადაუშალოთ მომჯადოებელი სიმშვენიერე აწინდელის სიტყვაკაზმულის მწერლობისა. სიტყვიერების მასწავლებელს მოეთხოვება განსაკუთრებული ნიჭი, იგი რამდენადმე მაიც თავის ნიჭით მწერალს უნდა უახლოვდებოდეს.

მესამე ორატორი ჯეკუდევი შეეხო კრების დანიშნულებას დედაენის სწავლებაში რეფორმის შეტანაში. დედაენა გადავაქციეთ მოსაწყენ საგნად და ხშირად გამოტვივებამდის მიგვყავს მოსწავლეები. ამ საგნის სწავლებაში დღემდის არეულობაა, ვერ ვარჩევთ ენის ლოგიკურსა და ფორმალურს სწავლებას, მართლწერის საფუძველიც მერყეობაშია, ლიტერატურის სწავლებაშიაც და წერით სავარჯიშოებშიაც მრავალი სხოლასტიკაა. საშიშია მასწავლებლის განმარტოებაც. ჩვენც უნდა დავადგეთ საზოგადოებრივს გზას, რომელსაც უკვე დაადგა სახალხო მასწავლებელი. თუ ასე არ მოვიქცით, მოსწავლეები წინ გაგვისწრებენ, რასაც უკვე უჩივიან კიევის პედაგოგები.

დიდის ყურადღებით მოისმინეს ზოლოტაჩინის მოხსენება „პედაგოგიური მნიშვნელობა მასწავლებელთა ერთობისა და მისი რეფორმები“. სახალხო სკოლების მასწავლებელთა კავშირი უკვე შესდგა, ახლა საჭიროა კავშირი საშუალო სკოლების მასწავლებლებისა. ფაქტიურად და ზნეობრივად დაკოდილნი მთელ ქვეყანასთან ერთად იძულებულნი ვართ ხელი ჩავსვიდოთ ამ კავშირს — დიდი ერთობაა საჭირო, ბევრი უსისტემოაა ჩვენს სკოლებში. გაღრმავება სასწავლო კურსისა, უფრო ლიტერატურისა შეიძლება მოფიქრებულ გეგმაზე სწავლებით დაბალიდან მაღალს კლასებამდის. ეს პირობა თხოულობს კოლექტიურს მუშაობას მასწავლებლების მხრით. მასწავლებელთა შე-





კავშირება გამოწვეულია საპედაგოგო საქმეთა გასაუმჯობესებლად. საჭიროა მონაწილეობა სპეციალ პედაგოგიურსა და საპროფესიო ორგანოებში, ახალ საპედაგოგო საზოგადოებათა დაარსება და სხ. მომხსენებლის აზრით საჭიროა მუდმივი კავშირი ადგილობრივი საზოგადოებისა სრულიად რუსეთის პედაგოგიურს საზოგადოებასთან. საშუალო სკოლების მასწავლებლებს აკლია „საორგანიზაციო აღლო“, განცალკევებულთ და ერთმანეთს დაშორებულთ ვერ შეაქვთ სასკოლო სამუშაოში სასურველი თანხმობა და ზომიერება. ზოლოტარიოვის მოხსენების შემდეგ კრებამ გამოთქვა სურვილი:

„რომ სიტყვიერების მასწავლებლებმა ცხოველი მონაწილეობა მიიღონ საპროფესიო და საპედაგოგო პრესაში, აგრეთვე არსებული საზოგადოებათა გამოცოცხლებაში და ახალ საპედაგოგო საზოგადოებათა დაარსებაში.

პირველი სექციის რეზოლუციები ასეთია:

ა) ნიშნების დასმა, გადასაყვანი და გათავების გამოცდები და ხელახლად გამოცდა საშუალო სკოლაში, როგორც საშუალებანი, რომელნიც ავიწროებენ დედანისა და ლიტერატურის სწავლების სეუკეთესო მეთოდებს, უნდა გაუქმებულ იქნეს.

ბ) მოწაფეების ცოდნის შემოწმების წესი და მათი საბოლოო დახასიათება უნდა მიენდოს საპედაგოგო საბჭოს.

გ) მაღალ სკოლაში მიღება ატესტატების კონკურსით ხელს უშლის ნიშნების დასმის სისტემის გაუქმებას საშუალო სკოლაში.

დ) საშუალო სკოლამ ყოველგვარი ზომბ უნდა მიიღოს და დაეხმაროს სწავლაში ჩამორჩენილ მოსწავლეებს; იმ ყმა-

წვილებისათვის, რომელთაც ცხადი ჩამოქვეითება ეტყობათ, უნდა დაარსდეს სპეციალი სასწავლებელი.

ე) მოთხოვნების საფუძვლად პირველ კლასში მისაღებად სახელმწიფო და საზოგადოების საშუალო სკოლაში და მაღალს დასაწყისს სკოლებში შემოღებული უნდა იქმნეს ერთხანის-სანიშნო პრაგმა. ეს პროგრამა უნდა ეგუებოდეს სკოლაში მისაბარებელ მოწაფეთა წლოვნების მინიმუმს და დასაწყის სკოლებში სწავლების ხასიათს და საფუძვლად უნდა დაედოს რუსული ენის შემდეგ სწავლებას.

ვ) რაკი შემოღებული იქნება ერთგვარი პირობები და წესები საშუალო სკოლაში მისაღები ყველა ბავშვთათვის, სახელმწიფო სკოლებთან მოსამზადებელი კლასები უნდა მოისპოს.

რუსული მართლ წერის შესახებ კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლუცია.

ა) მართლწერა შეისწავლება ყოველგვარ სავარჯიშოების მიზანშეწონილად გამოყენებით, როგორც სიტყვიერის ისე წერილობითის და აგრეთვე მოწაფის გონების განვითარებით.

ბ) სპეციალი სავარჯიშოები მართლწერაში უნდა ემყარებოდეს თვალსაჩინოების პრინციპს გრაფიულს და იდეოგრაფიულს; პირველის მიხედვით სავარჯიშოების საფუძვლად უნდა გახდეს მოხაზულობის მხედველობისა და მოძრაობის წარმოდგენათა წესიერი განვითარება—ერთოგვარა, ე. ი. წესი: ყოველის დანახებით უნდა გააფრთხილონ მოწაფეები შეცდამებში.

გ) გრაფიულ თვალსაჩინოებასთან ერთად აუცილებელი მნიშვნელობა აქვს იდეოგრაფიული თვალსაჩინოების პრინციპს (წერის შეგნებას), რომლითაც ყოველგვარი მართლწერის სავარჯიშოსთან უნდა



ახლდეს ტექსტის შინაარსის სრული შეთვისება და უნდა წარმოადგენდეს ცოცხალ აზრის გამოხატვას.

დ) არც ერთი სავარჯიშო, რომელსაც მიზნად აქვს განსაზღვროს ან გამოცდა, მაგ. საექვო ასოების გამოტოვება და სხ. და აგრეთვე თან არ ახლავს ცოცხალი შეგნება, სასურველი ან ანის.

ვ) სპეციალ ორთოგრაფიულმა სავარჯიშომ არ უნდა განდევნოს წერითი სხვა სავარჯიშოები.

საკლასო და საშინაო კითხვების შესახებ კრებამ ასეთი რეზოლუცია შეიმუშავა:

ა) რუსული ენის პროგრამაში დაბალ კლასებში საკლასო და საშინაო კითხვებს ვრცელი ადგილი უნდა ექიროს და სკოლამ საკმაო დრო უნდა მისცეს მოწაფეებს კლას გარედ კითხვისათვის.

ბ) საკმაო ყურადღება უნდა მიექცეს აღმზრდელიობითს კითხვას მთელის, სისტემატიურად დალაგებულის მასალებისას სიტყვაკაზმულ ნაწარმოებიდან და საბავშვო ლიტერატურიდან.

გ) შემოწმება და თვალყურის გდება კლას გარედ წაკითხულის წიგნების შესახებ უნდა მოხდეს წაკითხული წიგნების ჩაწერით, ამასთან კლას გარედ საბავშვო კითხვას, აგრეთვე წაკითხულის ჩაწერას საფაქტურად ხასიათი არ უნდა ჰქონდეს.

დ) სასკოლო ბიბლიოთეკა უნდა შეივსოს იმ სიით, რომელსაც შეადგენს მასწავლებელი და ამტკიცებს საპედაგოგო საბჭო, რომელიც ხელმძღვანელობს ამ შემთხვევაში განსაკუთრებით ჰელპგაგოურის მხსაზრებით, სხვა მოსაზრებათა გარეშე.

ე) საჭიროა განხორციელებული იქმნას ცხოვრებაში დადგენილებანი პირველ სრულიად რუსეთის კრებისა საბიბლიოთეკო საქმეში და მოწყობა კომისიებისა საბავშვო კითხვების მოსაწყობად სკოლებისა და ოჯა-

ხების წარმომადგენლების საშუალებით. ვ) შემდეგი სამუშაო პედაგოგებისა საბავშვო კითხვების ფსიხოლოგიურად შესწავლაში უნდა სწარმოებდეს სამეცნიერო-პედაგოგიურს დაწესებულებებთან ერთად.

დიდი კამათი გამოიწვია ლიტერატურის სწავლების საკითხმა ამ საგნის შესახებ მესამე სექციაში კრებაზე მიღებული იქმნა შემდეგი დებულებანი:

1. ლიტერატურა, როგორც ნაყოფი ემოციონანალ-მხატვრობითის აზროვნებისა, შეადგენს მეთოდითა და მნიშვნელობით განსაკუთრებულ სასწავლო საგანს.
2. იმ დროს, როცა ლოგიკურს აზროვნებას ბევრი მასწავლებელი ასწავლის, სიტყვიერების მასწავლებლის განსაკუთრებული ვალია განუვითაროს მოწაფეს მხატვრული აზროვნება.
3. სიტყვა-კაზმულ მწერლობას უპირატესობა უნდა ჰქონდეს რუსული ენისა და სიტყვიერების შესწავლაში.
4. საჭიროა საშუალო სკოლის ყველა საფეხურზე სიტყვიერების მასწავლებლის მუშაობა, დამყარებული მხატვრულ სახეებზე, გაღრმავება მოწაფეთა ინტუიტიური მიმღეობისა.
5. სალიტერატურო ნაწარმოები შეისწავლება სიუჟეტის, სტილის, კომპოზიციისა და საზოგადოდ მხატვრული შემოქმედების მხრით, რაც შედის პოეტიკის ფარგლებში.
6. სამუშაოს არსებით მომენტად შემდეგში უნდა ჩითვალოს სალიტერატურო ნაწარმოების შესწავლა ფსიხოლოგიურის, ფილოსოფიურისა და იდეურ-საზოგადოებრივის შინაარსის მხრივ, ამასთან საზოგადოებრივი-იდეური მომენტი უნდა განსაკუთრებით განხილულ იქმნას ახალი ლიტერატურის შესწავლის დროს (მე XIX საუკ. მეოცე წლებიდან) იმ მიზნით, რომ მოსწავლეები ცოცხლად გაეცნენ ცოც-





ხალს აწმყო დროს. 7. სწავლების იმ საფეხურზე, სადაც მოწაფეთა ასაკის მიხედვით შესაძლებელი იქნება, საჭიროა სალიტერატურო ნაწარმოების შესწავლა საევოლუციო და საისტორიო თვალსაზრისითაც. 8. ეპოქის მხატვრულ მოვლენათა პარალელში (ლიტერატურა, მხატვრობა, ქანდაკება, მუსიკა) პოეტური სტილის თვალსაჩინო საშუალებად გამოდგება. 9. ისტორიზმის იდეა თხოულობს, რომ არც ერთი ხანა ლიტერატურის ისტორიის სასკოლო კურსიდან არ უნდა იქმნეს გამოტოვებული. 10. საისტორიო-ლიტერატურის კურსის სწავლება ისე უნდა მოეწყოს, რომ სიმძიმის კენტრო ახალ ლიტერატურის ფარგალში მოხდეს. 11. ძველ პერიოდიდან შეისწავლება მხოლოდ ისეთი ნაწარმოები, რომელნიც შეეხებიან პოეტურ შემოქმედების დარგს (ლეგენდები, აპოკრიფები, მოთხრობები, და ამგვარი ნაშთი ძველი მწერლობისა). 12. ხალხის სიტყვიერ პოეზიას თვალსაჩინო ადგილი უნდა ექიროს ლიტერატურის ისტორიის კურსში. ხალხური მხატვრული ნაწარმოების უფრო სისრულით შესათვისებლად სასურველია შეიქმნას ისეთი პირობები მოწაფეთათვის, რომ ისინი დამოუკიდებლად ეცნობოდნენ სახალხო პოეზიას, მაგ., სახალხო მომღერლებისა და მოზღაპრეთა მოწვევით, ხალხურ-პოეტური მასალების შეკრებით, განსაკუთრებით ადგილობრივ და ამ მასალების გამოყენებით გაკვეთილებზე და სალიტერატურო საღამოებზე. 13. ახალსა და აწინდელს ლიტერატურას ადგილი უნდა ჰქონდეს ჩვენს საშუალო სკოლებში. ეს საქმე უნდა დამოკიდებული იქმნეს თვითოეული მასწავლებლის პედაგოგიურს უნარზე. 14. სიტყვიერების მასწავლებელმა რომ წარმატებით

დააკმაყოფილოს მოწაფეთა სულის მოთხოვნილებანი, საჭიროა უზრუნველ იქმნას მასწავლებლის სწავლების თავისუფლება და მისი მეცნიერულ-პედაგოგიური თვითგამორკვევა.

წერთი სამუშაოების შესახებ კრებამ ასეთი რეზოლუცია მიიღო:

1. საერთო მიზანი სასკოლო თხზულებისა არის მოწაფის ენის ზეპირი და წერილით შემუშავება.
2. თხზულებების წერას უნდა ეჩვეოდნენ დაბალ კლასებიდან.
3. თხზულებების ტემა ისეთი უნდა იყოს, რომ იგი შეესაბამებოდეს მოწაფეთა ინტერესებს და ხელსუწყობდეს ბავშვის შემოქმედებითი ძალის ყოველ მხრივ განვითარებას.
4. მოწაფის ინდივიდუალური შემოქმედების მხრივ სასურველია მივაწოდოთ კლასს რამდენიმე ტემა, აგრეთვე ხანდახან თვითონ მოწაფეებსაც ავარჩევინოთ ტემები თხზულებისათვის.
5. საკითხს ამა თუ იმ თხზულების უპირატესობის შესახებ და მათს რაოდენობას სწყვეტს თვითონ მასწავლებელი.
6. საკითხის გადაწყვეტა მოწაფეების მიერ გეგმის შედგენის აუცილებლობის შესახებ მასწავლებლის შეხედულობაზე იქნება დამყარებული.
7. მოთხოვნილება იმის შესახებ, რომ სასწავლო მთავრობას წინდაწინ წარედგინოს ტემების სია მიზნის შეუფერებლად უნდა ჩაითვალოს.
8. საჭიროა წესად შემოღებელი იქმნეს ყველა სასწავლებლებში (როგორც მთავრობის, ისე საზოგადოების და კერძო სკოლებში) განცალკევებული შრომის ფასი თხზულების გასწორებისა შრომის გაწევის კვალობაზე.
9. სასურველია, რომ სხვა საგნების მასწავლებლებმაც, შესაფერი დაჯილდოებით, შემოიღონ თხზულებების წერა ისეთს ტემებზე, რომელიც მათ სასპეციალო საგნის ფარგალს შეეხება.



მეოთხე სექციაში გარჩეული იქმნა საკითხი არა რუსთა სკოლებში სწავლების მოწყობის შესახებ, სადაც რუსული ენა არ შეადგენს მოწაფეთა დედა ენას. სამწუხაროდ ამ ჩვენთვის ფრიად საჭირო საკითხის შესახებ მოხსენება არავის წარუდგენია, თუმცა ჩვენებიც დაესწრნენ ამ ყრილობას, რომელმაც ასეთი რეზოლუცია შეიმუშავა.

1. არა რუსთა სკოლებში რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდი სხვანაირი უნდა იყვეს, ვიდრე იმ სკოლებში, სადაც რუსები სწავლობენ. 2. რაკი რუსული ენის სწავლება არა რუსთა სკოლებში სხვანაირად უნდა მოეწყოს აუცილებლად საჭიროა გაიმართოს რუსული ენისა და სიტყვიერების მასწავ-

ლებელთა ყრილობა. 3. ადგილობრივ კულტურულს ენებს შესაფერი ადგილი უნდა ჰქონდეს როგორც პროგრამებში აგრეთვე გაკვეთილების რაოდენობითაც და მათ განაწილებითაც. 4. ის სკოლები, სადაც სწავლებას 1914 წლის 1 ივლისის კანონით აწარმოებენ, უფლებიანი უნდა იყვეს როგორც მოწაფეთათვის, ისე მასწავლებლებისთვისაც, თუ ამ სკოლების პროგრამები მთავრობის სკოლების პროგრამებს შეესაბამება და სხ.

ყრილობა დასრულდა კაროლენკოს სიტყვებით: „ენისა და სიტყვიერების მასწავლებელი მეგობარი და მოკავშირეა მწერლისა. ვუსურვოთ თავისუფლება და სივრცე სკოლასა და მწერლობას“.

ლ. ბ.



## ლადო ბზვანელის წერილის გამო.

როგორც ბ. ლადო ბზვანელის წერილიდან „უსაფუძვლო ბრალდებისა გამო.“ (განათლება № 1—1917) სჩანს, ის განაწყენებული ყოფილა მასწავლებელთა კავშირის გამგეობასთან ერთად სარევიზიო კომისიაზედაც, რომელსაც აწერს „აჩქარებას“ და სხვა და სხვა უზბო მოქმედებას. ასეთი უსაფუძვლო გამოლაშქრებისა გამო მე საჭიროდ მიმაჩნია განვმარტო შემდეგი: 1) სარევიზიო კომისიამ გააკეთა ახალი წლის დღესასწაულებში რევიზია მასწავლებელთა კავშირის საქმეებისა საკუთარის თაოსნობით და არა თანახმად გამგეობის სურვილისა, როგორც ეს, არ ვიცი რატომ, წარმოუდგენია ბ. ლადო ბზვანელს.

მა, რადგან მესამე უარი განაცხადა სარევიზიო კომისიის წევრობაზე, ხოლო კანდიდატის მოწვევა იმ დროს არ მოხერხდა. 2) რევიზიის დროს ჩვენ შევეხეთ უმთავრესათ გამგეობის მოქმედებას და ჩვენს ოქმში აღვნიშნეთ როგორც ნაკლი, ისე ღირსება მათი ნამოქმედარისა. სხვათა შორის საქმეებიდან სჩანს, რომ გამგეობა ცდილა დახურული ჟურნალის „სკოლა და ოჯახის“ აღდგენას და გაუმჯობესებას და ჩვენც ასეთი ნაბიჯი გამგეობის მხრივ ჩავუთვალეთ მას ღირსებათ. რაც შეეხება იმ შენიშვნას, რომელიც ჟურნალის ოფიციალურ და „ფაქტიურ“ რედაქტორის შესახებ გავაკეთეთ, ამ შემთხვევაში დავემყარეთ იმ წერილობით განცხადებას, რომელიც ბ.

რევიზია გააკეთა მხოლოდ ორმა წევრ-





ბზვანელს წარუდგენია გამგეობაში და რომლიდგანაც ნათლათ სჩანს, რომ ის წინააღმდეგი ყოფილა გამგეობასთან სოლიდარულ მუშაობისა ჟურნალის საქმეში \*). კალმით დაწერილი სიტყვები ამას გვეუბნებიან და სხვანაირი დასკვნის გაკეთებაც არ შეიძლებოდა. განცხადებანი ხება საქმეებში და, რუსული ანდაზისა არ იყოს, მას ვერავინ ვერ შეცვლის. ამნაირად ჩვენი შენიშვნა შეეხებოდა სარედაქციო კოლეგიის ერთ წევრს, სახელდობრ მას, ვისი განცხადებაც ვნახეთ საქმეებში. სარევიზიო კომისია ახალი წლის დღესასწაულებშივე აპირებდა სარედაქციო კოლეგიის საქმიანობის გაცნობას, მაგრამ კოლეგიის თავმჯდომარის ქუთაისში არ ყოფნისა და სხვა მიზეზებისა გამო რევიზია შემდეგისათვის გადაიდო. ვიმედოვნებ, რომ კოლეგიის მხრივ მოწვევა არ იქნება საჭირო და კომისია ახლო მომავალში თვითონ გააკეთებს რევიზიას და დაწვრილებით გაეცნობას სარედაქციო კოლეგიის საქმიანობასაც.

3) ბ. ლადო ბზვანელს ჰგონია, რომ სარევიზიო კომისიამ აღნიშნა გაზეთ „ჩვენი მეგობრის“ ქრონიკაში საყვედური მისდამი და ამის გამო გულ-ღვარძლიანად სწერს: „შემდეგ ასიამოვნეს გამგეობის წევრთ მით, რომ „ჩვენი მეგობარის“ 252 ნუმრის ქრონიკაში აღნიშნეს საყვედური რედაქტორისადმი, და მით მოიფხანეს გულიო“. საკვირველი ბრალდებაა

და თან გულუბრყვილო! „ჩვენი მეგობრის“ რედაქციასთან მე არავითარი კავშირი არ მაქვს, ხოლო მეორე წევრი სარევიზიო კომისიისა ჩამოვიდა ართვინიდან და რევიზიის შემდეგ ქუთაისიდან გავიდა და ვერ წარმომიდგენია როგორ შეეძლო ქუთათური გაზეთის ქრონიკაობა. მე არ ვიცი ვინ იკისრა გაზეთის ქრონიკაობა, ვიტყვი მხოლოდ ამ ქრონიკის შესახებ და სამართლიანობაც ამას მოითხოვს, რომ სარევიზიო კომისიის ოქმის შინაარსი აქ სისწორით არ იყო გადმოცემული: იყო აღნიშნული გამგეობის ღირსება, ხოლო ნაკლი კი-არა.

„საყვედურიც“ ჩვენ არავისათვის არ გამოგვიცხადებია. ჩვენ მხოლოდ გამოვთქვით ჩვენი აზრი, ვიმეორებ, იმ საქმეების და საბუთების მიხედვით, რომლებიც ხელთ გვქონდა რევიზიის დროს. გავეცნობით თქვენს ახალ საბუთებსაც და ღმერთმა ქნას, რომ ერთხელ შედგენილი აზრი შეგვეცვალოს. ოღონდ თქვენ აკეთეთ რამე კავშირის სასარგებლოდ და, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, სარევიზიო კომისია და მთელი მასწავლებლობა ღირსეულად დააფასებს თქვენს ღვაწლს და მუშაობას.

პატივისცემით სარევიზიო კომისიის  
წევრი ნ. კიკალიშვილი

ქიათურა, 15 თებერ.

\*) შენიშვნა მართა ერთის განცხადებით თუ ავტორს არ დაეკითხებიან საფუძვლიანი არ არის. ამიტომაც ბ-ნი ბზვანელი ამ შემთხვევაში შარათლავა, რასაც ამოწმებენ თავიანთ წერილში ბ-ნი ა. თურთაშვილი და ან. შუბლაძე.



# სწოგებო

## ქ შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების მთავარ-გამგეობის მოქმედებისა.

ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას.

საზოგადოების მდივნის ვარლამ ბურჯანაძის მოხსენება ყვირილის განყოფილების რევიზიის შესახებ.

(გავრძელება)

ყოველ გვარი შემოსავალი იწერება სერთო საკვიტანტო დავთარში, ანგარიშის შედგენის დროს მოდარე ქტრებს ცნობებს საკვიტანტო წიგნიდან და ანგარიშს ისე ადგენს. კასის წიგნს გამგეობა არ აწარმოებს, რაც, ეტვი არ უნდა, ხელს უშლის ანგარიშის ნორმალურად წარმოების საქმეს. მე წინადადება მივეცი გამგეობას 1916 წლის 1 იანვრიდან შემოიღოს შემოსავალ-გასავლის დავთარი, რომელშიც უნდა შეიტანოს ქრანდლოგიურად ყოველგვარი შემოსავალი და გასავალი. აღნიშნოს შემოსავალში კვიტანტოების №-ბი, ხდლო გასავალში გასამართლებელი საბუთების №-ბი. ეს წინადადება გამგეობამ მიიღო.

გამგეობას აქვს ოქმების ჩასაწერი წიგნი. 1915 წლის განმავლობაში განყოფილებას ქტონია 10 სხდომა, გაურჩევა 18 საქმე. ოქმები თავის რიგზეა შეტანილი ოქმების ჩასაწერ წიგნში. გამგეობას შეადგენს 7 წევრი. მათში თავმჯდომარე, მისი ამხანაგი, მოდარე და მდივანი, დამხმარე კომისიები გამგეობასთან არ არსებობს. სხვა და სხვა ფუნქციებს თვით გამგეობის წევრები ინაწილებენ თავიანთ შორის.

ბიბლიოთეკები.

განყოფილების გამგეობაში ირიცხება 1 წიგნთ-საცავ-სამკითხველო თვით დაბა ყვი-





რილასი, და 9 სამკითხველად: ხარკაულის, ძირულის, საქარის, ჩხარის, ილეშის, თერჯოლის, წევის, ამაშუკეთის და მუხურის. გამგებობის წევრები დრო გამშვებით ათვალეობენ ხსენებულ სამკითხველოებს და ხელმძღვანელობას უწევენ მათ ნივთიერ დახმარებას კი განყოფილება არ აძლევს ხსენებულ სამკითხველოებს, თუ არ მივაღებთ მხედველობაში საჭირო საწარმოვად დავთრებს, რომელნიც ეძლევათ აღნიშნულ სამკითხველოებს განყოფილების გამგებობისაგან უფასოდ. განყოფილება იხსნავს მხოლოდ თვით უფრილის წიგნთსაცავ-სამკითხველოს, რაზედაც დაუხარჯავს 1915 წლის განმავლობაში 327 მ. და 52 კ. აქედან გამგის ჭამაგირი—144 მ., უურნად-გაზეთების ფასი—100—70 კ., წიგნების შესაძენათ—55—20 კ., ავეჯეულობა—14—30 კ., გათბობა-განათება—13—32 კ. ასე რომ თითქმის მთელი მიმდინარე ხარჯები ბიბლიოთეკის შენახვას ხმარდება.

ბიბლიოთეკა-სამკითხველო მთავსებულია თეატრის შენობის ორ ოთახში. აქვე მთავსებულია გამგებობის კანცელარიაც.

როგორც ზეგითაც აღვნიშნე, განყოფილების უმთავრესს საზრუნავს საგანს შეადგენს თეატრის შენობის აღდგენა და სისტემატიური ხასიათის წარმოდგენათა მართვა. თეატრის შენობის აღსადგენათ კი საჭიროა თანხა არა ნაკლებ 10,000 მანეთისა. განყოფილებას აქვს ამ უამად 2322 მანეთი და მასსადავე კიდევ საჭირო იქნება 7700 მანეთამდე.

ამ ფულის მოკროვება, ეჭვი არ უნდა, განყოფილებას გაუჭირდება და სწორეთ ამისათვის ორჯერ მამართეს მთავარ გამგებობას დახმარებისათვის, მაგრამ მთავარმა გამგებობამ უსაღსრობისა გამო უარი უთხრა. მე რჩევა მივეცი განყოფილების გამგებობას ასეთი შუამდგომლობით მიემართა თბილისის ქართ. დრამატული საზოგადოებისათვის და ეთხოვა ერთდროული დახმარება, თუ გინდ სესხის სახით, სრული დარწმუნებული, რომ განყოფილება აღებულს ვაღს გაისტუმრებდა შემოსავლიდან ნაწილ-ნაწილად.

უფრილის თეატრის აღდგენა გარდა დიდი კულტურულ მნიშვნელობისა, ნივთიერ დანისძიებასაც მისცემს ადგილობრივ განყოფილებას და ამიტომ კარგი იქნება, რომ მთავარი გამგებობაც მხარს დაუჭერდეს ყვირილის განყოფილების შუამდგომლობას დრამატული საზოგადოების წინაშე, დახმარების აღმოჩენის საქმეში.

**სახალხო კითხვები.**

ჩემს წინადადებაზე მართავს თუ არა გამგებობა სახალხო კითხვებს, მივიღე პასუხად, რომ სახალხო კითხვებს გამგებობა ვერ მართავს, თუმცა ძლიერ სასურველად მიაჩნია ამ საქმის ორგანიზაციის მოწყობა და იმედიც აქვს ადგილობრივი მასწავლებლების დახმარებით და აკტიური მოხაწილებით მეზობელ სოფლებში გამართოს ხალხე ასეთი კითხვები, თუ, რასაკვირველია, იქმნა ამისათვის საჭირო მასალა—სათილისმოდ ფარანი და რაც აუცილებელია, —სურათები.

მე განუმარტე, რომ მთავარი გამგებობა ცდილობს დაამზადოს მთელი რიგი სურათებისა ჩვენი ცხოვრებიდან, დასურათოს ჩვენი მწერლების მოთხრობები და მიაწოდოს ხალხე სურათები განყოფილებებს აღნიშნულებისამებრ მოსახმარებლად, ხალხე ფარანი კი უნდა შეიძინონ განყოფილებებმა თავიანთ ხარჯით. კრებამ დაადგინა შეიძინოს თავისი ხარ-



ჩემს შეკითხვაზე ადგენს თუ არა გამგეობა წლის ბოლოს მომავალი წლის სამოქმედო გეგმას და ამ გეგმით მუშაობს სახანძრო წლის განმავლობაში, მივიღე უარყოფითი პასუხი. მე განუმარტე გამგეობას აუცილებელი საჭიროება ასეთი გეგმის შედგენის ყოველ წლის დასაწყისს.

**დასკვნა.**

1. უვირილის განყოფილების ნივთიერი მდგომარეობა შეიძლება ითქვას, ვერ არის სასურველ დონეზე დაყენებული; თუ მივიღებთ მხედველობაში მოვატრეთა რაოდენობას, აღგობობრივ მცხოვრებთა შედარებით სიმდიდრეს, განყოფილების შემოსავალი ციცილებით მეტი უნდა იყოს იმაზე, რაც არის დღეს და გამგეობა, რომ უფრო მხნეთ შეუდგებოდეს საქმეს და მთელის შემადგენლობით გარკვევებდეს თავის ენერჯის, ეჭვი არ უნდა შემოსავალი საგრძობლად გადიდებს.

განყოფილების ნივთიერის დონისძიების გასაძლიერებლად გამგეობამ უნდა იზრუნოს წვერთა რიცხვის გამრავლებისათვის: მოაწიოს საწვერო ფულის შესაკრებად აგენტურა, რეგორც თვით დაბაში, ისე მეზობელ სოფლებში, დადგას ყულებები არსებულ ყველა საზოგადო ხასიათის დაწესებულებაში და კერძო მღაზიებში; განყოფილებას წიგნის მღაზიაც მისცემდა შემოსავლის წყაროს, რომ გამგეობა რიგინად გაუძღვებოდეს ამ სავატრო საქმეს და ჯეროგან მეთვალყურეობას დაიჭერდეს.

2. განყოფილების საქმეთა საბუჭალტრო ნაწილში საჭიროა შეტანილ იქმნას სათანადო სისტემა. გამგეობამ უნდა შემოიღოს, რასაც თვითონაც საჭიროდ აღიარებს, შემოსავალ-გასავლის-ჩასაწერი დავთარი. ამ დავთარში უნდა შეიტანოს ყოველგვარი შემოსავალი კვიტანტის № ჩვენებით და ყოველგვარი გასავალი გასამართლებელი საბუთის № აღნიშვნით.

3. ბიბლიოთეკა-სამკითხველოების საქმეთა გასაუმჯობესებლად აუცილებლად საჭიროა, რომ გამგეობამ მოახდინოს ხელმე სისტემატიური რევიზია და სათანადო ხელმძღვანელობა გაუწიოს ადგილობრივ სამზრუნველო კომიტეტებს.

4. თეატრის შენობის აგების საქმე ეს დიდი საკულტურო საქმეა და ამაზე უკეთეს განყოფილება ვერაფერს ვერ გააკეთებს. თეატრის შენობის დაგვირგვინება ხელს შეუწყობს განყოფილებას სახალხო კითხვების მოწყობა და წარმოდგენების მართვის საქმეში და ამით თვით განყოფილებას ნივთიერ საშუალებათა გაფართოვებაში.

ამ მოსზრებით მოავარი გამგეობა ვაღდებულა განყოფილების შუამდგომლობას დრამატიული საზოგადოების წინაშე მხარი დაუჭიროს და თავისი მხრითაც ადძინას ასეთივე შუამდგომლობა ერთდროული დახმარების აღმოჩენის შესახებ. რასაკვირველია, განყოფილებამაც უნდა იზრუნოს და მეტი ენერჯია გამოიჩინოს ფულის შეტროვების საქმეში.

5. საზრდენტო გადასახადს ადგილობრივი განყოფილება იხდის მხოლოდ საწვერო გადასახადის საშუალებით შემოსული ფულიდან. 1915 წელს საწვერო გადასახადი შემოსულა 111 მანეთი. ამის მიხედვით შემოტანილია 1915 წ. შემოსავლიდან 10 ჰროცხტის ანგარიშით 11 მ. 10 კ. იმ დროს, როდესაც განყოფილებას შემოსავალი ქტონდა 500 მ. თუ არ ვინგარიშებთ სპეციალური ფონდის თანხას 2325—61 კ. ასე, რომ უნდა შემოსულიყო მთავარ გამგეობის კასში 50 მანეთი.



# ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების მთავარ გამგეობას.


## მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა .

მთავარ გამგეობის დადგენილების თანხმად 20 ოქტომბერს დამის მატარებლით გაგზავნილ ლანჩუთში იქაური განყოფილების დასთვალაიერებლად. ოქტომბრის 21, მარტო, დღით ლანჩუთში ვიუაჟი და შეგუდექი განყოფილების საქმეთა რევიზიას. ლანჩუთის განყოფილება სულ ერთი წელიწადია, რაც დაარსდა. მარტო ნოემბრის 5-ს საზოგადო კრებას აუჩუქავია გამგეობა: თავმჯდომარე მღვდელი ეპ. ჩხაიძე, ტ. ჯგუშია, ფ. დგებუაძე, ივ. ებრაძე, ეკ. ფხაკაძის ასული, ვლად. გვარჯაღაძე და ნიკ. ფირცხელაშვილი. გამგეობას მჭამელების მიზნად დაუსახავს: ა) არსებული სკოლების დანმარება, ბ) ღარიბ მოწაფეების შემწეობა, გ) სამკითხველოების თავის სახელზე გადმოტანა და მოვლა-პატრონობა, დ) წიგნის მალაზიის დაარსება, და ე) ხალხისთვის სასარგებლო ლექციების მოწყობა. 1915 წელს წევრთა რიცხვი უფილა 37. ამ უმად არის 147. გამგეობა დიდად მოწადინებული უფილა ეგულა წინად განზრახული საქმეები სისრულეში მოეყვანა, მაგრამ ზოგიერთების განხრდიელება მაინც ვერ მოუხერხებია საჭირო თანხის უქონლობის გამო. ვერ მოუწევიათ ვერც სახალხო კითხვები და ვერც სახალხო ლექციები; ამ უმადაც ძლიერ მოწადინებულნი არიან და უფულ ღონისძიებას ხმარობენ მოწვეულ ლექციები ჭიკაძისა და ბავშვთა აღზრდის შესახებ.

გამგეობას დღიდან დასრულების გაუხსნია სამი სამკითხველო დ. ლანჩუთში, ეწერის (ჯერუჟუჟეთის საზ.) და ს. ჯამანაში, უკანასკნელის შესახებ ნებართვა უკვე ხუთი თვეა, რაც მიუღიათ, მაგრამ ადგილობრივ მთავრე-ზიკების ჯარში გაწვევის გამო სამკითხველო ჯერჯერობით ჯამანაში ფაქტიურად არ არსებობს.

ლანჩუთის განყოფილების გამგეობის უწყებაში გადმოსულა უკვე წინად გახსნილი სამკითხველოები გომანურისა, ლესისა და ძიმიტისა. გამგეობას შუამდგომლობა აღუძრავს სამკითხველოს გახსნის ნებართვის შესახებ ზემოხიბათში, ჯოჯოხეთში და ზომღეთში. თავმჯდომარეს და ორ წევრს დაუთვალაიერებიათ გომანურისა და ლესის სამკითხველოები და დაურბებიათ ქუთაისის განყოფილების მიერ გამოცემული პრექტები სამკითხველოების მოწყობის შესახებ... სამწუხაროდ ეს დაბეჭდილი პროექტები ვერსად ვიშოვე, რომ შემედარებია მთავარ გამგეობის მიერ გამოცემულ ბიბლიოთეკების წესდებასთან და ამიტომ რადგანაც ლანჩუთის განყოფილების საქმეებიდანაც არა სჩანს სამკითხველოების რევიზორების წერილობითი მოხსენება შათ მიერ დათვალაიერებულ სამკითხველოების შესახებ და მეც დრო არ მქონდა უგულა სამკითხველოებიც შენა, გარდა დ. ლანჩუთისა, ამიტომ სხვა სამკითხველოების შესახებ, გარდა ზემოთ ნახულებისა, ვერაფერი შენა.





ლანჩხუთის სამკითხველო განსწავლავს ამ წლის აპრილის დამდეგს. იგი მოთავსებულია ქალაქის ცენტრში, ქვეთავის შენობაში. სამკითხველოს კედლებზე ჰქვია ქართული მწერლების შ. რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, ნ. ბარათაშვილის, ი. გოგებაშვილის, ე. ნინოშვილის, აკაკისა და ქართველ მწერალთა ჯგუფის სურათები, რუსეთის ქალაქი, სამკითხველოში ორი განჯინაა წიგნებით, დიდი მაგიდა და სკამები. ლანჩხუთის სამკითხველოს მისდის შემდეგი პერიოდული გამოცემები: „სახალხო ფურცელი“, „ნაკადული“, „მეგობარი“, „ზნი“, „თეატრი და ცხოვრება“, „Знамя Родины“, „Огонек“, „День“. სამკითხველოში არ არსებობს დღიური მოსიარულეთა და მკითხველთა დაფთავება, რის გამო შეუძლებელია დანამდილობით გაგება თუ ვინ და რამდენი მკითხველი ეტანება სამკითხველოს; არსებობს ერთი დიდი დაფთავება, რომელშიაც იწერება ვისაც წიგნები გააქვს სამკითხველოდან შინ წასაკითხად, მაგრამ არც ეს დაფთავება წესიერად ნაწარმოებია, შიგ შიულობით იწერება სახელი და გვარი და ძნელი გასაგებია თუ ამ დაფთავებაში რამდენი მუდმივი მკითხველი ჰყავს ლანჩხუთის სამკითხველოს. კატალოგიც არ არის წესიერად შედგენილი და ნაწარმოებია. კატალოგი შეიცავს უბრალო დაფთავებას, მაგრამ წიგნები იმდენად არეულად არის ჩაწერილი, რომ მოწესრიგება, სისტემატიურად დალაგება და ხელახლად კატალოგის შედგენა საჭიროდ მიაჩნიათ და ზრუნავენ კიდევ, რომ ბიბლიოთეკის უფრო ნაკლები, რასაც ადგილობრივი გამოცემაც ეკმარება, მალე გასწავროს. სამკითხველოში საჭიროა არსებობდეს ხრონოლოგიური კატალოგიც, სადაც უნდა იწერებოდეს ყველა წიგნები მიღებისთანავე დირექტორებისა და სხვა ცნობების აღნიშვნით, თანახმად მთავარ გამოცემების მიერ შემუშავებული და დაბეჭდილის საბიბლიოთეკო წესებისა. სამკითხველოს ჰყავს მეთვალყურედ გამოცემის წევრთაგან შემდგარი სექცია.

**წიგნის მართვა.** გამოცემას და ლანჩხუთში გაუხსნია წიგნის მართვა, სადაც იყიდება უფრო ქართულ-რუსული სახელმძღვანელოები. განყოფილებას აქვს განსწავლავს მთავარ გამოცემის მიერ 500 მანეთის კრედიტი, საკომისიოდ მიაქვთ წიგნები ქუთაისიდან. მართვაში ასეთი წესია გაწარმოების: არსებობს ერთი დაფთავება, რომელშიაც იწერება ერთ გვერდზე მიღებული წიგნები და მათი ნასყიდობითი ფასი, მეორე გვერდზე გასწავრავს იმავე წიგნის გასყიდვი ფასი. წიგნებს ფასს გამოცემა ადებს: მაგ. „დედა-ენა“ 1 ნწ. ნაყიდა 400 ცალი თითო 24 კაპ. ამის ნასყიდობის ჯამი 96 მ. გაიყიდა 400 ც. თითო 32 კ. სულ 128 მან. მოგება რჩება 26 მან. ასეთი დაფთავებით ადვილი შესაძლებელია რა აქვთ მართვაში, რას ვაჭრობენ, რამდენი უვაჭრნიან და რას უდრის მთელი ქანება. 1916 წლის აგვისტოდან იმავე წლის ოქტომბრის 20-დი ამ წიგნით ბალანსი გვიჩვენებდა:

**აქტივი.**

**პასივი.**

1. კასში ნაღდი . . . . .	179 11 კ.	1. ვალი . . . . .	2035 25 კ.
2. საქონელი . . . . .	2266 01	2. წინა წლის მოგება . . . . .	274 52
3. ინვენტარი . . . . .	101 80	3. წრეგანდელი მოგება . . . . .	487 45
4. ფანსად მიტეული მართვის . . . . .	250 —		<hr/>
			2796 92 კ.
	<hr/>		
	2796 92 კ.		

2035 მ. 25 კ. ვალის გამოკლებით (2796 მ. 92 კ.—2035 25 კ.) მოგება რჩება





761 მ. 67 კ. რომლის ნახევარი მიაქვს შალაზიის გამგეს, გამგეობისავე წევრს. ოვ. კობახიძეს და ნახევარიც რჩება გამგეობას. შალაზიაში ვაჭრობა თანდათან იზრდება. სამწუხაროდ შალაზია მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს წიგნების დროზე მიუღებლობის გამო. როცა ღანჩხუთში გახლდით ჰანსსკევი—ბაზრობის დღე იყო. ხალხი ბლამად შემოდოდა შალაზიაში და „დედა-ენა“, „ბუნების კაცს“ თხოულობდა, მაგრამ შალაზიას არც ერთი ცალი ამ წიგნებისა არ ჰქონდა და შალაზიის გამგე მუშტრებს ამ სიტუვებით ისტუმრებდა: „არ არის და გვექნება ამ ერთ კვირაში“. „დედა-ენა“ თავის დროზე რომ მიეღოთ 400-კი ანა 1000 ცალზე მეტი გაიყიდებოდა. შალაზიის შემოსავალ-გასავლის ანგარიშს ცალკე დავთრებით აწარმოებს შალაზიისავე გამგე, რომელსაც ჰქვავს მიჩენილი წიგნის შალაზიის სექცია, წიგნის შალაზიის შემოსავალი არ არის შეტანილი საერთო შემოსავლის დავთარში, რის გამო სწორი ანგარიშის შედგენა შეუძლებელია. საჭიროა, რომ ყოველს ნაწილს შალაზიის გამგისაგან ყოველ დღე თუ ანა დრო გამომშვებით მაინც იბარებდეს ხაზინადარი, რომლის ხელშიაღ უნდა იყოს ყოველგვარ შემოსავალ-გასავლის ანგარიშები. საჭიროა, რომ შალაზიის სექციამ ხშირად შეამოწმოს შალაზიის საქმის წარმოება და ამით დაეხმაროს ბ-ნს ებრაელიც ვაჭრობის გაუმჯობესებაში. ვინაიდან შალაზიაში სახალხო საკითხავი და სუმაწვილო წიგნები თითქმის არც კი მოიხვევება, სასურველია, რომ მთავარი გამგეობა თავის გამოცემათა რაოდენსავე ცალს კრედიტის ანგარიშში ან საკომისიოდ გაუზარინდეს ღანჩხუთის განყოფილების შალაზიას და აგრეთვე ყოველს ახალ თავის გამოცემებს რაოდენსავე ცალს უგზავნიდეს ვეკლა განყოფილების შალაზიებს, რადგანაც ბევრმა არც კი იცის რა და რა წიგნები იბეჭდება. საჭიროა, რომ მთავარ გამგეობის წიგნის შალაზიაში, როცა წიგნებს უგზავნის ამა თუ იმ განყოფილებათა შალაზიებს, თან გააუფლოს დაბეჭდილი კატალოგებიც, რომლითაც შეძლება მიერეშათ განყოფილებებს წიგნები აირჩიონ და დაიბარონ. მთავარ გამგეობის წიგნის შალაზიის გამგეს კი უნდა დაევალოს ყოველგვარი საშუალება მიიღოს, რომ დაკვათილი წიგნები დროზე გაუგზავნოს შალაზიებს და არ მოხდეს ისეთი ამბავი „დედა-ენის“ და „ბუნების კაცის“ შესახებ, რაც ზემოთ მოვიხსენიეთ და რაც შემდეგ მოგახსენებთ სამტრედიის განყოფილების საკრედიო ანგარიშში.

**განყოფილების შემოსავალ-გასავლის ანგარიში.** განყოფილების შემოსავალ-გასავლის ანგარიშებს და აქმებს აწარმოებს გამგეობის მდივანი ნ. ფირცხვალაშვილი. დავთრიდან სჩანს, რომ განყოფილების გამგეობას 1915 წ. შემოსავალი ჰქონია 115 მ. ამდენივე გასავალი. 1916 წლის იანვრიდან 13 სექტემბრამდის შემოსავლით 216 მ. 92 კ. გასავალი ამ დროს ყოფილა 97 მ. 10 კ. კასში რჩებოდა 119 მ. 82 კ. საწევრო ფულს აკრეფებს თითო მანეთს გამგეობის მდივანი საკვიტანციო წიგნებით. შემოსავალ-გასავლის დავთარში აღნიშნულია მაგ. შემოვიდა მომხმარებელ ამხანაგობისაგან 20 მ. შემხსხველ-გამსესხებულ ამხანაგობისაგან 33 მ. 67 კ.; შემოწირულობა შეკრებილი ზაქარია იმნაძისაგან 22 მან. გასავალში სწერია: წიგნის შალაზიას სესხად 49 მან. და კიდევ 22 მანეთი. არც ფულის შემომტანისათვის მიუციათ კვიტანციები და არც გამტანისათვის, ერთი სიტუვით არ არსებობს შემოსავალ-გასავლის ორდერები; შემოწირუ-



1916 წელს 27 ივლისამდის განუყოფილების გამგეობას 8 სსდმა გაუმართავს. გამგეობა წინადადებას აძლევს რაიონის წევრებს განხილვის საშუალებების, უგზავნიან რაგონსამე ვინც მოწოდებას წევრების მოპოვებისა და შემწეობის შეტანების შესახებ. გადაწყვეტილი ვაჭრობა მოწოდებით და ამერიკული წესით, ბოლოს ჩეკებით ვაჭრობა, რადგან ბევრ ხარჯს ითხოვდა, დროებით შეუძლებლად დაუნახავთ. 19 მაისისთვის გადაწყვეტილი სეიონის გამართვა, რომლისთვისაც რაგონსამე სსდმა მოუხდომებია, მაგრამ 19 მაისს დაინიშნული სეიონის არ შემდგარა ავღრის გამო და გადაუღვიათ. სეიონის მანერ ვერ გაუმართავთ.

მარსკვეს სსდმის მხდა ადგილობრივი განუყოფილების გამგეობის წევრთა კრება. კრებას მოვასხენე შთაბეჭდილება განუყოფილების საქმეთა განხილვისა, რაც ზემოთ აღნიშნულთა და ვურჩიე შემდეგი:

ა) წევრთა შესაძენად და საწევრო ფულის შესაკრავებლად დაეგზავნოს სამელო წევრებს საკვიტანციო წიგნები

ბ) მოაწონ სსსახლო კითხვები ბუნდოვანის სურათებით, რომლის დაბრება შეუძლებელია მთავარ გამგეობასთან არსებული სსსახლო კითხვების მომწეობ სექციისაგან. დაარსდეს ლანჩხუთში სსსახლო კითხვებისა და ლექციებისა და წარმოდგენების მომწეობა სექციები. ლანჩხუთში მართალია დამატებული საზოგადოების განუყოფილება არსებობს, მაგრამ გამგეობასთან არსებული წარმოდგენების მმართველი სექცია განსაკუთრებით შეეცდება, რომ რაგონსამე წარმოდგენა განუყოფილების სასარგებლოდ გაიმართოს და ამით ხაღხს სულიერ საზრდოს მიაწოდებს და განუყოფილებსაც მოქმედების სახსარს მოუპოვებს.

გ) მოაწესრიგონ ლანჩხუთის საშუალებების საქმე; სახალო ბიბლიოთეკების დათვალიერების დროს ბიბლიოთეკების სექციამ წერილობითი მოხსენება უნდა წარუდგინოს გამგეობას, აღნუსხოს ყოველი ნაკლი და დიხსება საშუალებებისა.

დ) მალაზიის ნავაჭრი და ყოველგვარი შემოსავალი და გასავალი უნდა იწერებოდეს ერთს დათარში; უნდა შემოღებულ იქმნეს შემოსავალ-გასავლის ორდერები.

ე) მხდას ხშირი რევიზია წიგნის მალაზიის იმის გასაკებად, თუ რამდენად წინან უკან მიდის ვაჭრობის საქმე.

ვ) წლის დასაწყისში სამოქმედო გეგმისა და ხარჯთ-აღრიცხვის შედგენის დროს განუყოფილების გამგეობამ ყოველგვარი დონისძიება უნდა იხმაროს, რომ სისრულეში მოიყვანოს, როგორც წლიური მოქმედების გეგმა, აგრეთვე იზრუნოს შემოსავლის წყაროების შედგენა.

გამგეობა ლანჩხუთის განუყოფილების დაგვეთანხმე ყველა ზემოთ მოყვანილ შენიშვნების საჭიროებაში; ყველა გულით მონდომებულია ემსახუროს საზოგადო საქმეს და ჩვენი ერთი განათლების საქმე წაღმა მოაბრუნონ, მაგრამ დღევანდელი ცხოვრების პირობების ნებას არ აძლევს მათ თავიანთი მოქმედება გააძლიერონ და საზოგადოების ცხოვრებაში უფრო დრო კვალი გაატარონ; ლანჩხუთის განუყოფილება სულ ახალი დაწყებულია, და იმდენი მომავალში მისი მოქმედება გაცილებით უფრო ნაყოფიერი იქნება.

ამასთანავე წარმოვადგენ ლანჩხუთის განუყოფილების გამგეობის თხოვნას 1000 მ-





ნეთამდის კრედიტის გადიდების შესახებ. ამ განუყოფილებას 500 მან. კრედიტი აქვს გასსნილი, ვაჟის დაბრუნებას ამ დღეებში ფიქრობენ. ვინაიდან მთავარ გამგეობის გამცემათა მოთხოვნა ლანჩხუთში დიდია და კრედიტი კი მცირე, ვსთხოვ გამგეობას მათი თხოვნა შეიწყნაროს და გაუხსნას ასი თუმნის კრედიტი.

ამასთანავე ვსთხოვ კანცელარიას აცნობოს ლანჩხუთის განუყოფილებას, თუ საიდან შეიძლება დაიბარონ აკრძალული წიგნების კატალოგი.

22 ოქტომბერს გამოვემგზავრე ლანჩხუთიდან სამტრედიისში, სადაც დავათვალიერე იქაური განუყოფილება. მოხსენებას ამის შესახებ წარმოვადგენ შემდეგის კრებისათვის.

გამგეობის წევრი: ლ. ბოცვაძე

27 ოქტომბერი 1916 წ.